ლევან მამალაძის ძმას ჩვენება ჩამოართვეს A2

ერთი ანტიეროვნული გამოხტომის გამო A8

არა მხოლოდ ლიდერი, არამედ მთელი პოლიტიკური ელიტა უნდა მუშაობდეს B1

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 15 ივლისი, 2004 წელი. №166 (715)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### აჭარაში საგადასახადო დავალიანებების იძულებით ამოღება იწყება



*აჭარაში რამდენიმე კერძო კომპანიას საჯარო აუქციონისთვის ამზადებენ. ოცდაათამდე ორგანიზაცია ამჟამად დაყადაღებისა და გირავნობის რეჟიმში იმყოფება.*

A4

## უცხოეთი

### ახლად შექმნილი სახელმწიფოს ძველი პრობლემები



2004 წლის 28 ივნისს მმართველობა ერაყში ადგილობრივ მთავრობას დაგეგმილზე ორი დღით ადრე გადაეცა

A5

## საზოგადოება

### "ქვიშის კარიერის გენერლები" თუ სამხედრო კარიერის პერსპექტივა



წელს 150 ადგილიდან 15 ადგილი მზრუნველობამოკლებული და ქუჩის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. მათ ბავშვთა სახლებიდან შეარჩევენ.

A6

## სამართალი

### აჭარის ყოფილი შს მინისტრი თავს დამნაშავედ არ ცნობს



გენერალ-მაიორ ილია წულუკიძეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ქრთამის აღების ბრალდებები აქვს წარდგენილი.

A7

## ამინდი

| | 15/7 | 16/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 37 |
| ქუთაისი | 37 | 39 |
| ბათუმი | 36 | 37 |
| სოხუმი | 32 | 29 |
| ფოთი | 35 | 36 |
| თელავი | 34 | 36 |
| ზუგდიდი | 36 | 37 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9100 |
| ევრო | 2.3627 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5518 |
| რუბლი | 0.0656 |

# 14 წლიანი კონფლიქტი

## ფქვილნარევი რუსული პოლიტიკა ადვილად გასაშიფრი ხდება

*უკვე ორი დღეა, "პუტინის საჩუქრად" წოდებული ფქვილის პარტია ერგნეთის მახლობლად, მცხუნვარე მზეზე იხრუკება. თანდათან ნათელი ხდება, რომ ოსური მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული ტვირთის დარიგებას თავიდანვე პოპულისტური სარჩული ჰქონდა და გაჭირვებულ ადამიანებზე ზრუნვის კეთილშობილური მისიისგან ძალიან შორს იდგა.*



იური ლობოდინის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი ბეჯითად ასრულებს მოსკოვიდან მიღებულ ინსტრუქციებს და უარს ამბობს, საქართველოს კანონებს დაემორჩილოს. გუშინწინ რუსი გენერალი იმიზეზებდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მისთვის უცნობია და გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ჰუმანიტარული აქციის ჩასაშლელად ქართული მხარე მხოლოდ საბაბს ეძებდა. ამ ეჭვების გასაფანტად, გენერალ ნაბზდოროვს გუშინ ერგნეთში საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელები შეხვდნენ და სამშვიდობო ძალების სარდალი ქართული მხარის მოთხოვნების სამართლიანობაში დაარწმუნეს.

თუმცა, "დაარწმუნეს" ცოტა ხმამაღლა ნათქვამია - რუსმა გენერალმა კი აღიარა, რომ ჰუმანიტარული ტვირთის "დაპატიმრება", თურმე, კანონიერად მომხდარა, მაგრამ ამ აღიარებით ბევრი არაფერი შეცვლილა: "გაუგებრობის" ცივილიზებული გზით გადაჭრის სურვილი რუსულ მხარეს მაინც არ გაუჩნდა. არადა, პრობლემის მოგვარება სულ ადვილია. ამისთვის საკმარისია, რუსული მხარის წარმომადგენელმა ორიოდე საათი დახარჯოს და საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებში მიბრძანდეს, სადაც მას დაუდასტურებენ, რომ "პუტინის ფქვილი" მართლაც ჰუმანიტარულ ტვირთს წარმოადგენს. ამის შემდეგ რუსებს უკვე ველარავინ მოედავება, მაგრამ, როგორც ჩანს, ნაბზდოროვსა და მის ზურგს უკან მდგომთ ასეთი ნაბიჯის გადადგმა დამამცირებლად მიაჩნიათ და "პრინციპულობას" იჩენენ. მათ, ეტყობა, ნაკლებად აღელვებთ, რომ თუ "სტატუს კვო" შენარჩუნდება და ქართული მხარე ტვირთს არ გაატარებს, რამდენიმე დღის შემდეგ ფქვილი "ჩახურდება" და უვარგისი გახდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## დასაწყისი და ...

სოფო ბუკია

სამაჩაბლოში გავარდნილი პირველი ტყვიიდან თითქმის თხუთმეტი წელი გავიდა. პირველი მსხვერპლი 14 წლის ნინო მეტრეველი იყო, რომელიც რუსული ჯარების ცხინვალში გამოჩენის დღეს დაიღუპა, მას რუსულმა ტანკმა გადაუარა...

დამოუკიდებელ საქართველოს თავისი არსებობის პირველივე წელს საკუთარი ტერიტორიის შენარჩუნებისთვის ბრძოლა მოუხდა. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა სიტუაციიდან გამოსავალი შეიარაღებულ წინააღმდეგობაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებასა და რუსეთთან ღია დაპირისპირებაში ნახა.

საქართველოს მეორე პრეზიდენტი, ზოგადად, პოზიციის არარსებობით გამოირჩეოდა. სწორედ მისი მმართველობის დროს მოახერხა რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება...

გაგრძელება A3 გვერდზე

## "ამ თამაშს არ წავაგებთ!"

### ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის სხდომაზე საქართველოს კატეგორიული პოზიცია უჭირავს

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში შერეული საკონტროლო კომისიის 13 ივლისის სხდომა მხარეებმა ერთმანეთისთვის პოზიციების წარდგენას მოახმარეს. გვიან საღამოს სხდომა ერთობლივი შეთანხმებით შეწყდა, საკუთარ ხელისუფლებებთან კონსულტაციების საწარმოებლად.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს "მიღებების სახლიდან" გამოსვლისას გოგა ხაინდრავამ ქართველი ჟურნალისტები დააიმედა: **"არხეინად იყავით, ჩვენ ამ თამაშს არ წავაგებთ."**

რას ემყარება ქართული დელეგაციის იმედები?

პირველ რიგში იმას, რომ საქართველოს პოზიცია კატეგორიულია და გადახედვას არ ექვემდებარება. ქართულმა მხარემ მოსკოვში მოლაპარაკებების მაგიდაზე დადო წინადადებების პაკეტი, პირველ რიგში მთლიანად კონფლიქტური რეგიონის დემილიტარიზაციის მოთხოვნით. მეორე პუნქტი ითვალისწინებს საქართველო-რუსეთის საზღვარზე ბოევიკთა ნაკადისა და

გაგრძელება A3 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ტერიტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმომწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 "ხალხის პირისპირ" | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# რუსთავში "კანონიერი ქურდების" ძმა დააკავეს

გუშინ გამთენიისას რუსთავის პოლიციამ ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის შედეგად საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დაკავებულ იქნა ოთხი პიროვნება: 26 წლის ალექსანდრე მიგრიაული, 27 წლის ბახვა კუჭაშვილი, 23 წლის ხვიჩა კაკალაშვილი და 40 წლის კობა შუშანაშვილი.

როგორც რუსთავის პოლიციის უფროსი დავით ცირეკიძე აცხადებს, თითოეულ მათგანზე პოლიციაში შესული იყო ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ისინი ნარკოტიკებს და იარაღს ინახავდნენ სახლში. მისივე თქმით, მიგრიაული, კუჭაშვილი და კაკალაშვილი დანაშაულებრივ ცხოვრებას ეწევიან, თუმცა ეს ინფორმაცია ჯერ კიდევ გადასამოწმებელია და ამ საქმით გამოძიება დაკავდება. ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა მიგრიაულის ჯიბეში ნარკოტიკი აღმოაჩინეს, კუჭაშვილის ბინაში - მარიხუანა და სანადირო თოფი, ხოლო კაკალაშვილთან - გადაჭრილი თოფი, 3 ცალი ხელყუმბარა და ავტომატის ვაზნები.

გაცილებით რთულად არის საქმე მეოთხე დაკავებულთან, კობა შუშანაშვილთან დაკავშირებით. მის ძმებს, კახას და ლაშას, რუსთავში ეგრეთ წოდებულ "კანონიერ ქურდებად" მოიხსენიებენ. პოლიციის დაჟინებული მოთხოვნით, მათ უკვე კარგა ხანია, ქალაქი დატოვეს. გუშინ კობა შუშანაშვილის სახლიდან პოლიციამ უცხოური წარმოების პისტოლეტი, ავტომატი და ანტიკვარული ფილთა თოფი წაიღო.

დაკავებულების ოჯახის წევრები, მეზობლები და ახლობლები მთელი დღის მანძილზე რუსთავის პოლიციის შენობის წინ იმყოფებოდნენ. ყველა მათგანი აცხადებდა, რომ პოლიციამ ბინაში აღმოჩენილი იარაღი და ნარკოტიკი თავად მიიტანა.

**"ყველაზე დიდი ცინიზმი ის არის, რომ მე ჩემი თვალით დავინახე, როგორ დადეს ბალიშის ქვეშ პისტოლეტი და საწოლის ქვეშ ავტომატი. თან წამოიღეს კედელზე დაკიდული მე-18 საუკუნის ანტიკვარული ფილთა თოფი, რომელიც მემკვიდრეობით გადმომეცა ბაბუისგან. ნიღბიანები მეზობლებს, რომლებიც სახლში შემოსვლას ცდილობდნენ, უწმაწური სიტყვებით ლანძღავდნენ. ჩვენი მცირეწლოვანი 4 წლის გოგონა სანამ ცუდად არ გახდა, ბინიდან არ გამაყვანინეს. ჩემი ქმარი არ არის ქურდი, არ აქვს კრიმინალური წარსული, მთელ რუსთავში კაცს ვერ ნახავთ, რომ მასზე ცუდი თქვას. მისი ძმები კი აქ არაფერ შუაში არიან, უკვე ძალიან დიდი ხანია, წასულები არიან და ცოლ-შვილის სანახავად ჩამოდიან მხოლოდ,"** - განუცხადა "24 საათს" კობა შუშანაშვილის მეუღლემ.

ნიღბიანი პოლიციელების მხრიდან სასტიკ მოპყრობაზე საუბრობს მიგრიაულის დედა, რომელიც პოლიციელმა კედელზე მიახეთქა და მხარი დაუზიანა. კუჭაშვილის დედის თქმით კი, მისი ვაჟი სამართალდამცველებმა ჯერ კიდევ ბინაში სცემეს და მან თავად დაინახა სახედასისხლიანებული შვილი.

**"საქმე იარაღის უკანონო შენახვის მუხლით აღიძვრება, თუმცა არ არის გამორიცხული, გამოძიებამ სხვა მტკიცებულებებიც მოიპოვოს,"** - განაცხადა რუსთავის პოლიციის უფროსმა დავით ცირეკიძემ. "24 საათთან" საუბარში მან ნაწილობრივ დაადასტურა კობა შუშანაშვილის დაკავების ერთ-ერთი გავრცელებული ვერსია - მისი ძმები მისივე დახმარებით რუსთავის სხვადასხვა საწარმოებიდან ჯერ კიდევ იღებენ "ქურდულ წილებს". ცირეკიძე აცხადებს, რომ ეს არის ერთ-ერთი შესაძლო ვერსია.

**"სამწუხაროდ, ამაზე ღიად არავინ ლაპარაკობს, რადგან ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვთ შიში. ეს ავადმყოფური ქურდული აზროვნებაა - თუ შენი "კრიშა" არ გყავს "შავ სამყაროში", ისე ვერანაირ ბიზნესს ვერ დაიწყებ. მათთვის გადახდილი თანხა არის შავი ფული, რომელიც ბიუჯეტს და ხალხს აკლდება. თუ გამოიჩენენ კეთილგონიერებას ის ადამიანები, ვისაც რეალურად სძალავენ ფულს, თუ ისინი გვერდში დაუდგებიან სამართალდამცველებს და ითანამშრომლებენ მათთან, ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ასეთ შემთხვევებში პოლიციას საზოგადოებამ უნდა დაუჭიროს მხარი,"** - ამბობს რუსთავის პოლიციის უფროსი.

*მაია მოსიაშვილი*

# ფქვილნარევი რუსული პოლიტიკა ადვილად გასაშიფრი ხდება



*გაჩერებული რუსული კოლონით ყველაზე მეტად მაწანწალა ძაღლები სარგებლობენ - მათ მუდმივ ჩრდილს მიაგნეს.*

იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

უბრალო ხალხი რუსების სიჯიუტის მიზეზად სხვა რამესაც ასახელებს: კერძო საუბრებში გამოითქმება მოსაზრება, რომ ფქვილთან ერთად "კამაზებში", შესაძლოა, იარაღიც არის ჩატვირთული და რუს სამშვიდობოებს ოსურ სოფლებში მისი შეტანა უნდათ. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია და მისი რეალობის დამადასტურებელი ფაქტები არავის გააჩნია.

თაკარა მზეზე მუდმივად დგომამ კი გაღიზიანება იცის: რუსი სამშვიდობოები უკვე იმაზეც კი ბრაზდებიან, ფოტოკორესპონდენტები მათთვის სურათის გადაღებას რომ ცდილობენ.

"убери камеру! снимать не положено!" - "ცისფერჩაფხუტიანები" მკაცრი ტონით მიმართავენ "24 საათის" ფოტოკორესპონდენტს. იური ლობოდინს მისი რუსული გვარი და იერი ვერ შველოდა - რუსი სამხედრო მოსამსახურეები როგორც კი იგებენ, რომ ის თბილისის მასმედიას წარმოადგენს, ლობოდინთან თვისტომობის განცდა და მასთან საუბრის სურვილი უმალ უქრებათ.

გაღიზიანება ქართულ მხარესაც ეტყობა. ოღონდ ის, აგრესიის ნაცვლად, უფრო იმედგაცრუებაში გამოიხატება.

**"აჭარის ტრიუმფის ფონზე, თავიდან გვეგონა, რომ ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის საკითხსაც შედარებით იოლად გადაჭრიდა. მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ პრობლემა ადვილად ვერ მოგვარდება. რუსები უკანდამხევები არ ჩანან, მათი შემხედვარე ოსები კი დიდ გულზე არიან,"** - საუბრობენ ერგნეთის ყოფილი ბაზრობის სიახლოვეს უქმად მდგომი სამარშრუტო ტაქსის მძღოლები.

შედარებით ნაკლებად პოლიტიზირებულნი არიან გლეხები - მათთვის ყოფნა-არყოფნის საკითხს ამჟამად სარწყავი არხის გაშვება წარმოადგენს.

**"კოკოითი სარწყავ წყალს გველეშაპივით დაჰპატრონებია და წელს უმოსავლოდ დატოვებას გვიპირებს,"** - ჩივის ხანშიშესული მამაკაცი (კონფლიქტის ზონაში ვინაობის გამხელას თითქმის ყველა ერიდება). იგი გვიყვება, თავისი ნაკვეთის მოსარწყავად რა საფრთხეში ჩაიგდო თავი: "ამას წინათ, ღამის სამ საათზე ფორთხვით მივედი სარწყავი წყლის გამანაწილებელთან, რომელსაც შეიარაღებული ოსები იცავენ. რომ შევენიშნე, ტყვიას დამახლიდნენ, ვიდრე ინათებდა, ხელებით შევუცვალე წყალს მიმართულება და ბედნიერი დავბრუნდი სახლში. მაგრამ, ჩემი სიხარული ნაადრევი გამოდგა. როგორც ჩანს, ოსებმა შენიშნეს, რომ წყალი იქით არ მიდიოდა და კვლავ გადაკეტეს"...

ცხოვრება კი კონფლიქტის ზონაში ჩვეული რიტმით გრძელდება: ქართველი სამხედროები ზანტად ათვალიერებენ ტრასაზე კანტიკუნტად მოძრავი მანქანების საბარგულებს, ბენზინგასამართ სადგურთან თავმოყრილი რამდენიმე მოხუცებული ცხინვალიდან მიღებულ უახლეს ინფორმაციებს "ამუშავებს", უპატრონო ძაღლებს კი რუსული "კამაზების" ქვეშ მუდმივი ჩრდილისთვის მიუგნიათ და გაუნძრევლად თვლემენ.

# ევროსაბჭოს კომიტეტი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევას მოითხოვს

6-9 ივლისს ქ. სტრასბურგში გაიმართა ევროპის საბჭოს "ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიღებული ზომების შემფასებელი კომიტეტის (MONEYVAL-ის კომიტეტი) მე-15 პლენარული სხდომა. სხვა საკითხებთან ერთად, კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს კანონმდებლობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნიკა გეგუჩაძე. დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შედიოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები.

"ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ" ევროსაბჭოს კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, საქართველოს დელეგაციამ MONEYVAL-ის კომიტეტის წინაშე განსახილველად საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარადგინა, რომლებიც შეტანილ უნდა იქნას საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. აღნიშნული ცვლილებები, ძირითადად, შეეხება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისა და დანაშაულის იარაღისა და საგნის ჩამორთმევას, ასევე ქონების დაყადაღების მიზნებსა და საფუძვლებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ახლო მომავალში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ამოქმედდება მუხლი, რომელიც ტერორიზმის დაფინანსებას და შესაბამის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ეხება.

როგორც ნიკა გეგუჩაძემ განაცხადა: "MONEYVAL-ის კომიტეტმა დადებითი შეფასება მისცა როგორც წარდგენილ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, ასევე, ზოგადად, ჩვენს ქვეყანაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს. ამასთან, საქართველოს დელეგაციას მიეცა რეკომენდაცია, 2004 წლის ბოლომდე განახორციელოს ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები და მოამზადოს შესაბამისი მოხსენება MONEYVAL-ის კომიტეტის შემდეგი პლენარული სხდომისთვის".

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ნაწილმა საპროტესტო აქცია გამართა. ისინი გუშინ აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაღში შეიკრიბნენ, თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მოქმედებები დაგმეს და სეპარატიზმის აღკვეთა მოითხოვეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს გაიმართება. ეს გადაწყვეტილება თვითაღიარებული რესპუბლიკის სახალხო კრებამ - პარლამენტმა გუშინ რიგგარეშე სესიაზე მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი ქუთაისის მერის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, თუმცა მიიჩნევს, რომ გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ექნება. "მე ისე ვარ დაპირისპირებული ხელისუფლებასთან, ქალაქისთვის ვერაფერს გავაკეთებ, ასე რომ ამ დარტყმის ქვეშ ქუთაისს ვერ დავაყენებ". - განაცხადა თემურ შაშიაშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისს ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი ვლადიმირ რუშაილო ეწვია. დაგეგმილია რუშაილოს შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან და პრეზიდენტ სააკაშვილთან. ოფიციალური ინფორმაციით, რუშაილოს ვიზიტი სექტემბერში მოსკოვში დსთ-ს სამიტის ზუსტი ვადების განსაზღვრას ისახავს მიზნად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს სპეციალური წარმომადგენელი კონფლიქტების საკითხებში სტივენ მანი დღეს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან და პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან. საქართველოში აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის განცხადებით, სტივენ მანის ვიზიტის მთავარი თემა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირება იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთში "სამართლიანი არჩევნების" ლიგა დაფუძნდა, რომელშიც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციების 25 წარმომადგენელი გაერთიანდა. ახლადდაფუძნებული გაერთიანების ლიდერთა განცხადებით, ლიგის წევრებს უმნიშვნელოვანესად მიაჩნიათ, რომ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში შემოდგომისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს პრესასთან ურთიერთობისა და ტელევიზიით გამოსვლის თანაბარი შესაძლებლობა მიეცეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ერგნეთი.** გუშინ დილით ერგნეთის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საგუშაგოსთან თავი მოიყარეს სოფელ ვანათსა და საცხენეთში მცხოვრებმა როგორც ოსი, ასევე ქართველი ეროვნების ქალებმა. ისინი კოკოითის გადადგომას მოითხოვდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჰუმანიტარული დახმარების სახით 12 მილიონი ამერიკული დოლარი გამოუყო. შესაბამის შეთანხმებას ორივე ქვეყნის თავდაცვის უწყებების წარმომადგენლებმა 13 ივლისს მოაწერეს ხელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 14 ივლისს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების შესვლიდან 12 წელი შესრულდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ბრიტანული ერთობლივი სამხედრო საველე წვრთნების - "ჯორჯიან-ექსპრესს-2004"-ის პროგრამის დამამთავრებელი ეტაპი ხუთშაბათს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ჩატარდება. **პრაიმ-ნიუსი**

# ხაშურის რაიონის ანგარიში



*ხაშურის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა რეზო ჯობაძემ მხარის ადმინისტრაციას ანგარიში ჩააბარა.*

იური ლობოდინის ფოტო

გუშინ ხაშურის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა რეზო ჯობაძემ, გამგეობის წევრებთან ერთად, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილეს ზვიად ხმალაძეს და საზოგადოების წარმომადგენლებს პატაკი ჩააბარა. ხაშურის რაიონმა 6 თვის შედეგები შეაჯამა. მხარის ხელმძღვანელობა ჯობაძის მუშაობით კმაყოფილია, მიუხედავად იმისა, რომ რაიონში, მიღწევებთან ერთად, პრობლემებიც არის. ძირითადი "სუსტი წერტილი" კრიმინოგენული ვითარებაა, მიღწევად კი სოციალური საკითხების ეფექტური გადაწყვეტა ჩაითვალა.

წინა წელთან შედარებით, დანაშაულთა რიცხვმა რომ იმატა, არც ხაშურის პოლიციის სამმართველოს უფროსს ნუგზარ კურტანიძეს დაუმალავს და არც რაიონის პროკურორს ამირან ნოზაძეს. როგორც პროკურორი აღნიშნავს, ეს, სხვა გარემოებებთან ერთად, იმითაც არის განპირობებული, რომ ახლა **"მხარის ხელმძღვანელობა სტატისტიკის შელამაზების ნაცვლად, დანაშაულის რეალურ აღრიცხვიანობას არჩევს".** ნუგზარ კურტანიძის მონაცემებით: 147 დანაშაულიდან (აქედან 107 მძიმე კატეგორიის დანაშაულია) 80 გახსნილია. თუმცა, როგორც მან აღნიშნა, რაიონში არ არის მკვლელობის, ბანდიტიზმის ფაქტი. გამოვლენილია ნარკომანიის შემთხვევებიც. როგორც პოლიციის უფროსის, ისე გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით, კრიმინოგენული ვითარების დამძიმებას ხელი, გარკვეულწილად, "სამხრეთ ოსეთის" ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც შეუწყო. პოლიციის 25-26 თანამშრომელი ცხინვალის საზღვართან პატრულირებით არის დაკავებული. შესაბამისად, უშუალოდ ხაშურის რაიონის ამბებისთვის შედარებით ნაკლებად იცლიან.

რაიონის პოლიცია ჯობაძეს ემადლიერება: **"რითაც შეუძლია, გვეხმარება - საწვავით, ტრანსპორტით, და ახლა მანქანასაც დაგვპირდა."** ხაშურის პოლიციის უფროსმა კი გუშინ ორი პირობა დადო: რომ გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ნაჩუქარ მანქანას "საგულაოდ" არ გამოიყენებს და, გარდა ამისა, ხაშურის რაიონში ბანდფორმირების შექმნას არ დაუშვებს, ხალხის დაყაჩაღების და დაწიოკების საშუალებას არავის მისცემს.

თავად ჯობაძე აცხადებს, რაიონში ჩატარებული სამუშაოების ანგარიშს მიხეილ ქარელს ყოველ საღამოს აბარებს. ჯობაძეს თავის მოწონება, პირველ რიგში, სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის მხრივ შესრულებული გეგმით შეუძლია. 31 ივლისის ნაცვლად, ივნისის ბოლოსათვის 150 ახალგაზრდა ხაშურელი სამხედრო სამსახურისთვის მოემზადა. რაიონის გამგეობა გაწვეულთა ოჯახებს დახმარებას წელიწადნახევრის განმავლობაში დაჰპირდა, ზოგს სურსათ-სანოვაგით თუ მედიკამენტებით, ზოგსაც - თანხით.

ჯობაძე აცხადებს, რომ წელს რაიონის საჭიროებებისთვის უკვე ის თანხა დაიხარჯა, რაც სამი წლის განმავლობაში იხარჯებოდა. რაიონის გამგებლის მოადგილის, ქეთევან ციმაკურიძის თქმით, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულთა ოჯახები ყველანაირი კომუნალური გადასახადებისგან გათავისუფლებულნი არიან. გარდა ამისა, შეღავათები მოქმედებს იძულებით გადაადგილებულ პირებსა და სამამულო ომის მონაწილეებზე.

რაიონის ხელმძღვანელობას კიდევ 22 ათასი ლარის გამოყოფის და დახარჯვის სურვილი აქვს. გეგმები მრავალფეროვანია: ხაშურისა და სურამის სკოლებში კომპიუტერების დაყენება; სამხედრო ნაწილის კუთვნილი შენობის გადახურვა; რუსთაველის ქუჩის ევროპული დონის პროსპექტად გადაკეთება; ბევრი ხაშურელის დასაქმება, ბევრის დახმარება. მათ შორის ერთ-ერთი - აფხაზეთში დაღუპული ციყელაშვილის ვაჟიც იქნება. დედის ამარა დარჩენილ თორნიკეს, რომელიც "ადგილობრივ ვუნდერკინდად" არის მიჩნეული, გამგებლის წინადადებით, "დემირელის სახელობის კოლეჯში" ერთი წლის სწავლების საფასურს გადაუხდიან.

*ლელა მჭედლიძე*

# ბრიტანეთი მხარს უჭერს ქართველ ხალხს და მის პრეზიდენტს




*მოლაპარაკებები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში.*

გუშინ საქართველოს მეთაურმა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში სამდღიანი სამუშაო ვიზიტი დაასრულა. პრეზიდენტის შეხვედრების გრაფიკი საკმაოდ დატვირთული იყო. ვიზიტის ბოლო დღეს, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის პრეზიდენტთან და დირექტორთა საბჭოსთან მოლაპარაკებების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი შეხვდა ლონდონის "ქინგზ კოლეჯის" ქართველ სტუდენტებს. ვიზიტი კი პროგრამა "ბი-ბი-სი ვორლდ ნიუსი"-სთვის მიცემული ინტერვიუთი დააგვირგვინა.

**"რუსეთის დუმა და რუსი სამხედროები ჯერ კიდევ აცხადებენ პრეტენზიას სამხრეთ ოსეთზე, იქ რუსეთიდან მოხალისეებიც კი გააგზავნეს, მაგრამ ფაქტებით არ დასტურდება, რომ ისინი პრეზიდენტ პუტინის პირდაპირი დავალებით მოქმედებენ,"** - განაცხადა ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა. ჟურნალისტ კრისტ ლენგთან საუბრისას, სააკაშვილმა კომენტარი გააკეთა, ასევე, დუმის განცხადებაზე, რომლის თანახმად, სამხრეთ ოსეთი 1765 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია. დუმის ამ განცხადებაზე საქართველოს პრეზიდენტს ასეთი პასუხი აქვს: **"თუ ასე ვიმსჯელებეთ, მაშინ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ პოლონეთი, ფინეთი, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები. გამოდის, რომ მოსკოვი მხარს უჭერს იმპერიის აღდგენის დოქტრინას, რაც ჩვენთვის მიუღებელია".** მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ცხინვალზე კონტროლის დასამყარებლად საქართველოს ხელისუფლება ომს არ აპირებს. **"ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ და სამხედრო კონფლიქტი, განსაკუთრებით რუსეთთან, არ გვჭირდება. საქართველო აცხადებს, რომ არის სუვერენული სახელმწიფო და ამიტომ პატივი უნდა გვცენ,"** - აღნიშნა მან.

ვიზიტის ბოლო დღეს გაირკვა, რომ დიდი ბრიტანეთი საქართველოს 2,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს გამოუყოფს. ხელშეკრულებას ხელი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ და ლონდონში ვიზიტით მყოფმა მისმა ქართველმა კოლეგამ სალომე ზურაბიშვილმა მოაწერეს. თანხა უნდა მოხმარდეს როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ისე სამხედრო რეფორმასა და ქვეყნის შიდა კონფლიქტების დარეგულირებას.

მიხეილ სააკაშვილთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე სტროუმ აღნიშნა, რომ საქართველოს ლიდერის ამჟამინდელ ოფიციალურ ვიზიტს ლონდონში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ზურაბიშვილთან ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად ხელშეკრულებასაც მოეწერა ხელი, რაც ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებას შეუწყობს ხელს. **"მხარს ვუჭერთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების დარეგულირებაზე მიმართულ გაერო-სა და ეუთო-ს ძალისხმევას. მხარს ვუჭერთ ქართველ ხალხსა და პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკას, რომელიც უსაფრთხო, სტაბილური და მდიდარი საქართველოს მშენებლობაზეა გამიზნული",** - განაცხადა ბრიტანელმა მინისტრმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ნაკლებად ოფიციალური ექსკურსიისთვისაც მოიცალა და ლონდონის ღვინის მუზეუმს ეწვია. **"აუცილებელია, ევროპაში გავყიდოთ ქართული ღვინო, მით უმეტეს, რომ არიან წარმატებული ქართული ღვინის კომპანიებიც. ღვინის წარმოება ხალხის დასაქმებასა და ჩვენი ოჯახების გაძლიერებას ნიშნავს,"** - განაცხადა სააკაშვილმა, რომელსაც უცხოელ მეღვინეებთან ერთად ლონდონის მუზეუმში ქართველი ბიზნესმენი, პარლამენტარი ლევან გაჩეჩილაძეც ახლდა.

*24 საათი*

# ლევან მამალაძის ძმას ჩვენება ჩამოართვეს

ქვემო ქართლის უშიშროების თანამშრომლებმა გარდაბნის რაიონის სოფელ კალატაკტარის საკრებულოს წევრი ტოფიკ გარიბოვი დააკავეს. როგორც ამ სამსახურის ხელმძღვანელმა ვასილ სანოძემ "24 საათს" განუცხადა, მის უწყებას მიმართეს მოქალაქეებმა და აცნობეს, რომ გარიბოვი მოქალაქეებს პასპორტის დაჩქარებული წესით აღების სანაცვლოდ 100 დოლარს ართმევდა.

ქვემო ქართლის რეგიონული საპასპორტო განყოფილების უფროსის, სტეფანიას კაბინეტში მყოფ ტოფიკ გარიბოვს უშიშროების თანამშრომლებმა წინასწარ სპეციალური ფხვნილით დამუშავებული 110 დოლარი და 300-მდე ლარი აღმოუჩინეს. სპეცოპერაციის დროს სტეფანია კაბინეტში არ იმყოფებოდა. გარიბოვთან ერთად ოთახში ისხდნენ საპასპორტოს ერთი თანამშრომელი და შს კადრების დაქვემდებარებაში მყოფი სერგო მამალაძე. ეს უკანასკნელი ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის უფროსი ძმაა. სერგო მამალაძეს და საპასპორტოს თანამშრომელს სამართალდამცველებმა ჩვენება ჩამოართვეს და გაუშვეს. როგორც ვასილ სანოძე აცხადებს, ვის რა კავშირი ჰქონდა გარიბოვთან, მომავალში დადგინდება. **"თუმცა ნაკლებად სავარაუდოა ის, რომ ლევან მამალაძის ძმა საპასპორტოს უფროსის ოთახში შემთხვევით აღმოჩნდა,"** - განაცხადა მან.

*მაია მოსიაშვილი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# 14 წლიანი კონფლიქტი - დასაწყისი და ...

პირველი გვერდიდან

დღეს ქართულ-ოსური კონფლიქტის რეანიმირების სერიოზული საშიშროება არსებობს. დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ რუსი სამხედროები დგანან, რომლებიც ახლა უკვე "საკუთარ მოქალაქეებს იცავენ". საქართველოს მესამე პრეზიდენტი გამოსავალს ჰუმანიტარულ ექსპანსიაში - სასუქის, ფქვილის დარიგებასა და რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაში ხედავს...

დაპირისპირება კი ასე დაიწყო:

**"საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: 1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი..."** - ამ კანონს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ 1990 წლის 11 დეკემბერს მოაწერა ხელი.

თოთხმეტი წლის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამბობს: **"ჩვენ მზად ვართ, მოლაპარაკებების მაგიდასთან დავსხდეთ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან და მივცეთ მათ გაცილებით უფრო მყარი გარანტიები, ვიდრე ეს ჩრდილოეთ ოსეთს - ალანიას აქვს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში."**

**"უკანასკნელ დღეებში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შემოჰყავთ საბჭოთა არმიისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების დამატებითი კონტინგენტი! ...ოსმა ექსტრემისტებმა ყოველივე ეს აღიქვეს, როგორც მხარდაჭერა და თამამად დაიწყეს მოქმედება.**

**5 აპრილს, 16 საათიდან დაწყებული, ქართულ სოფლებს თამარაშენს, აჩაბეთს, ქემერტს, სვერს და სხვებს ოსმა ექსტრემისტებმა, შინაგანი ჯარების ნაწილების მხარდაჭერითა და მათი ჯავშანტრანსპორტიორებით, ყველა მხრიდან შეუტიეს...**

**ეს არის აშკარა აგრესია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, გრძელდება მისი მოსახლეობის გენოციდი... ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებით მოვითხოვთ შეწყდეს სამხედრო აგრესია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ... დაიხუროს და გაუქმდეს როკის უღელტეხილი და გვირაბი."** - აღნიშნული განცხადება 1991 წლის 6 აპრილს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა. მას ხელს ზვიად გამსახურდია აწერს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ამ განცხადებით სსრ კავშირის პრეზიდენტს გორბაჩოვს და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ლუკიანოვს მიმართავდა.

დღევანდელ საპრეზიდენტო ლექსიკაში ტერმინი **"ოსი ექსტრემისტები" "კონტრაბანდით დაკავებულმა ოსურმა დაჯგუფებამ"** შეცვალა. შეიცვალა რუსეთთან საუბრის ტონიც. რუსეთისადმი დღევანდელი დამოკიდებულება სააკაშვილმა ნათლად გამოხატა პუტინთან თავისი პირველი შეხვედრისას: **"საქართველოში ყველა იმედით ადევნებს თვალს ჩემს ვიზიტს რუსეთის ფედერაციაში, თქვენს განცხადებებს და იმ შემხვედრ ნაბიჯებს, რომელსაც რუსეთი საქართველოსკენ გადადგამს... რუსეთი დიდი სახელმწიფოა. საქართველო, ცხადია, პატარა ქვეყანაა, მაგრამ ჩვენ ჩვენი ინტერესები გვაქვს, ჩვენი სიამაყე, ჩვენი ისტორია, რომელიც რუსეთთანაა დაკავშირებული. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველა საკითხი მოგვარდება. შესაძლოა, ეს დღესვე არ მოხდეს, მაგრამ თანდათანობით ჩვენ ამას მივაღწევთ..."**

შეიცვალა რუსეთის პოლიტიკაც. ცხადია, "საკუთარი მოქალაქეების დაცვაზე" მათ ხელი არ აუღიათ, მაგრამ დღეს საერთაშორისო საზოგადოების ფოკუსში მოქცეულ საქართველოსთან მეტ-ნაკლებად თავდაჭერილები არიან.

უცვლელი დარჩა მხოლოდ ერთი რამ. ისევე, როგორც თხუთმეტი წლის წინ, დღესაც, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ბატონობით, რუსეთი რეგიონში თავის პოზიციებს ვერც გაიუმჯობესებს და ვერც შეისუსტებს. ღრმა და სტრატეგიული ინტერესების თვალსაზრისით, სამხრეთ ოსეთის მნიშვნელობა რუსეთისთვის, ფაქტობრივად, ნულია, აი საქართველოს მნიშვნელობა კი...

ქართულ-ოსური კონფლიქტი, უფრო სწორად კი, მისი მოუგვარებლობა საქართველოზე ზეწოლის საუკეთესო საშუალებაა. სწორედ ამის გამო, რუსეთი ყველანაირად ცდილობდა, რომ ეს კონფლიქტი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო. რუსი პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ კრემლის ამგვარმა პოლიტიკამ აიძულა საქართველო, პოლიტიკური პარტნიორები დასავლეთში ეძებნა.

ეს არის მიზეზი, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლების ყბადაღებულ არგუმენტებს იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთში "მათი მოქალაქეები" ცხოვრობენ. თუ როგორ ზრუნავს რუსეთი საკუთარ მოქალაქეებზე, ამას დიდი ხანია, მთელი მსოფლიო, მათ შორის, საქართველოს ახალი პოლიტიკური პარტნიორები ჩეჩნეთის მაგალითზე ხედავენ... შეუძლებელია, ამას სამხრეთ ოსეთში ვერ ხედავდნენ...

## ოსები მეტად დაზარალდნენ

ოსი მოსახლეობის ცვალებადობა საქართველოში




ოსი მოსახლეობის წილი საქართველოს მოსახლეობის სხვა ეროვნებების საერთო რიცხოვნობაში




1989 წელს ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებამდე ჩატარებული სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 99 102 მოსახლე აღირიცხა. სულ, საქართველოს ტერიტორიაზე 1989 წლისთვის 164 055 ოსი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა, რამაც საქართველოს მოსახლეობის 3 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, ამ დროისათვის საქართველოში, ავტონომიის ფარგლებს გარეთ, 38 028 ოსი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, რაც საქართველოს მოსახლეობის 0,9 პროცენტს შეადგენს. 2002 წლის აღწერა, გასაგები მიზეზების გამო, არ ჩატარებულა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ, არაოფიციალური მონაცემებით იქ მოსახლეობა არ აღემატება 30 ათასს. ბოლო აღწერის მონაცემებისა და ამ ციფრების შეჯერებით, ცხადი ხდება სურათი - ოსების საერთო რიცხვი საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა და ნახევარზე მეტმა დატოვა საქართველო (მათ შორის ცხინვალის რეგიონი). და ეს მაშინ, როცა ოსური მოსახლეობა ერთ-ერთი ყველაზე ინტეგრირებული ნაწილი იყო საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათაგან, თუ გავითვალისწინებთ ერთობლივი ოჯახების რაოდენობასა და ოსთა მონაწილეობას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ, ეს სტატისტიკაც ნათლად მეტყველებს, რომ კონფლიქტმა ყველაზე მეტად სწორედ საქართველოში მცხოვრები ოსები დააზარალა.

*24 საათი*

## 14 ივლისს 12 წელი შესრულდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების შესვლიდან

*ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების შესვლიდან გუშინ 12 წელი შესრულდა. შეთანხმებას სამხრეთ ოსეთში რუსული, ქართული და ოსური სამშვიდობო ძალების შეყვანის შესახებ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებმა ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა 1992 წელს დაგომისში მოაწერეს ხელი. დღეისათვის იმ დროის ყველაზე აქტიური პოლიტიკური ფიგურები და ეროვნული მოძრაობის წევრები სწორედ აღნიშნული სამშვიდობოებისკენ იშვერენ ბრალდების ხელს და კონფლიქტის არსსა თუ მოგვარების პერსპექტივას მათ უკავშირებენ.*

## 1992 წელი

თამარ ჩხეიძე (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება): **"ის მოდელი, რომელიც დღეს სამაჩაბლოში მოქმედებს, მე მგონია, არ უნდა იყოს საუკეთესო, თუმცა მისი უარყოფითი მხარე სამაჩაბლოში ისე რელიეფურად არ გამოიხატა, როგორც აფხაზეთში. საერთოდ, მშვიდობის შენარჩუნება რუსეთის ძალებზე დაყრდნობით, საქართველოში რუსეთის ინტერესების, რუსეთის პოზიციის გაძლიერებას და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ ტერიტორიაზე კონტროლის შესუსტებას და მთელ რიგ შემთხვევაში - საერთოდ დაკარგვას ნიშნავს. ამდენად ეს გზა მცდარია. გამოსავალი უფრო კომპლექსურ ღონისძიებებში უნდა ვეძებოთ. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, შესაძლებლობისამებრ შეიქმნას ძლიერი სამხედრო ძალა, რათა სწორედ საკუთარ ძალაზე დაყრდნობით დავიცვათ საქართველოს სუვერენიტეტი და მეორე - საჭიროა უაღრესად გაწონასწორებული ურთიერთობა ყველა მეზობელთან, მათ შორის რუსეთთანაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ორიენტაცია რუსეთზე არ შეიძლება."**

ნოდარ ნათაძე (საქართველოს სახალხო ფრონტი): **"ცხინვალის რეგიონში უმძიმესი მდგომარეობაა. ახლა იქ შემოვიდნენ ოსი ბოევიკები, ოღონდ უკვე ჩვენ მიერ დაკანონებული სტატუსით. განსხვავება კიდევ ისაა, რომ ახლა მათ ცისფერსამკლაურიანი ფორმა აცვიათ. რუსები სამაჩაბლოს დღესაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას უწოდებენ. მათი ჯარი, პრაქტიკულად, ჩვენი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მოქმედებს. საჭიროა მათი დაუყოვნებლივ გაყვანა იქიდან. დღეს სამაჩაბლოში ყალიბდება უზარმაზარი სამხედრო ძალა, რომელსაც ყოველდღიურად ემატება ტექნიკა. რუსი სამხედროები წვრთნიან ოსებს. დღეს ჩვენ იქ, მათთან შედარებით, ბევრად უფრო სუსტი პოზიციები გვაქვს, ვიდრე მაშინ, როცა სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. საჭიროა, სასწრაფოდ ავაწყოთ იქ თავდაცვის ორგანიზაცია, გავიყვანოთ იმ ზონიდან "ცისფერები" - საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა იყოს არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი, რომელიც არ ემორჩილება საქართველოს ხელისუფლებას."**

ზურაბ ჟვანია: **"სამწუხაროდ, ჩვენ არ ვფლობთ ინფორმაციას ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების შესახებ. ფაქტია, რომ იქ ვითარება ძალზე ფეთქებადსაშიშია და დღეს არ არსებობს არანაირი დამაჯერებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იქ რაიმე გარდატეხა მოხდა. კი, პრაქტიკულად, შეწყვეტილია პირდაპირი შეიარაღებული კონფრონტაცია, მაგრამ ამის მიღმა რა პროცესებიც მიმდინარეობს, არა მგონია, ჩვენ ის გვაკმაყოფილებდეს. თუმცა, იმის დაუნახაობაც არ შეიძლება, რომ გარკვეული პოზიტიური ცვლილებები მოხდა, ეს ინფორმაციები მე პირადად ბატონ ომარ ელოშვილისაგან მაქვს მიღებული, მაგრამ მთლიანობაში ვითარება უეჭველად არადამაკმაყოფილებელია."**

*გაზეთი "ახალგაზრდა ივერიელი", 1992წ. 21.11*

## დღეს

თამარ ჩხეიძე: **"პირველი, რაც ამჟამად უნდა გაკეთდეს, ეს არის სამშვიდობოების საკითხის გადაწყვეტა. საქართველომ კატეგორიულად უნდა მოითხოვოს ამ ძალების გაყვანა კონფლიქტის ზონიდან, რაც საგრძნობლად მოაგვარებს პრობლემას. არ უნდა მოველოდეთ რუსეთისგან იმას, რომ იგი ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხს დადებითად მოეკიდება. ჩვენი ხელისუფლების მხრიდან კი იმის შესახებ საუბარი, თითქოს რუსეთი დღეს სხვაა და პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც შეიცვალა, მცდარი პოლიტიკაა. ცალსახად იმის განცხადება, რომ პრობლემა მშვიდობიანი გზით მოგვარდება, შეუძლებელია, მაგრამ მისი გადაწყვეტა მინიმალური მსხვერპლით ნამდვილად შეიძლება."**

ნოდარ ნათაძე: **"საქართველოს ხელისუფლება, კონფლიქტის ზონაში ომის საშიშროების აცილების მიზნით, ვალდებულია, რუსეთს სამშვიდობო მანდატი მოუხსნას და კატეგორიულად დააყენოს მათი დაუყოვნებელი გაყვანის საკითხი. ეს ერთადერთი გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან, რადგან რუსების სამშვიდობო მანდატი ქართულ მხარეს აიძულებს, თავი შეიკავოს მათ წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებისგან მაშინაც კი, როდესაც რუსები სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებს იკავებენ. ქართველები და ოსები რუსეთის ჩარევის გარეშე შეძლებენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას.**

**სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი ქვეყნის მოქალაქე მოძალადისაგან, და თუ ამის გარანტიას იგი ვერ იძლევა, ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს უნდა მიეცეს საშუალება, თვითონ დაიცვას თავიც და საკუთარი ტერიტორიაც."**

ირაკლი ბათიაშვილი: **"რანაირი დამოკიდებულებაც არ უნდა მქონდეს მე დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, ეს იმდენად მტკივნეული და საერთო სახელმწიფოებრივი საკითხია, ამით სპეკულირება არასწორი იქნება, ქართულ-ოსური კონფლიქტი ყველას საერთო ინტერესი უნდა იყოს.**

**არ უნდა ჩავთვალოთ, რომ სიტუაცია დაუძლეველია. ცხადია, სიჩქარე და იმპულსური მოქმედებები არავითარ შედეგს არ გამოიღებს და არასწორიც კი იქნება, მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმის ილუზია უნდა გვქონდეს, რომ სიტუაცია აჭარასავით მოგვარდება და მიტინგები და ვარდები კონფლიქტს მოაგვარებს.**

**იმ დროსთან შედარებით, არანაირი განსხვავება არ არის, უბრალოდ, 1991 წლამდე კონფლიქტი აქტიური იყო, მაშინაც ცხინვალი ჩვენი იურისდიქციიდან გამოსული იყო, შემდეგ დაგომისის ხელშეკრულებით დაკონსერვდა, განელდა და ახლა კონფლიქტური სიტუაცია, ფაქტობრივად, ხელახლა აღდგა."**

## "ამ თამაშს არ წავაგებთ!"

პირველი გვერდიდან

კონტრაბანდის თავიდან აცილების მიზნით, როკის გვირაბთან ერთობლივი საკონტროლო პუნქტის გახსნას. მესამე მოთხოვნა შეეხება შერეული კომისიის გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, კონკრეტული მექანიზმების დაძებნას.

კომისიის სხდომის პარალელურად, "იტარ-ტასში" გამართულ პრესკონფერენციაზე გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში მთავარი პირობა უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ბატონი ბეჟუაშვილი აცხადებს, რომ იგი კმაყოფილია რუს კოლეგა იგორ ივანოვთან გულახდილი, კონსტრუქციული, მოლაპარაკებებით, მაგრამ იგი მოსკოვს არ დატოვებს კომისიის საბოლოო ოქმის ხელმოწერამდე.



*მოლაპარაკებებმა მშვიდად ჩაიარა და დასრულების შემდეგ მხარეებმა ერთად ისადილეს.*

ცხადია, რომ ქართული მხარე არ აპირებს კომისიის ფორმატზე უარის თქმას. ოფიციალური თბილისის ეს კომპრომისი ნიშნავს იმას, რომ ოსურ და რუსულ მხარეებს შემხვედრი ნაბიჯებისთვის მანევრის საშუალებას უტოვებს. კომისიის სხდომის მეორე მთავარი მონაპოვარია ის, რომ ოსური მხარე, თეიმურაზ კუსოვის განმარტებით, უარს არ იტყვის კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციაზე იმ შემთხვევაში, თუკი ქართველები თავის შეიარაღებულ ფორმირებებს გაიყვანენ.

**"ქართულმა მხარემ ანგარიში უნდა გაუწიოს ერთ მომენტს: არსებობს ცნება კონფლიქტოლოგია და არის მეორე ცნება - საერთაშორისო სამართალი. სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი იურისდიქცია არ აღდგება მთელს მის ტერიტორიაზე და, ამ შემთხვევაში, სამხრეთ ოსეთში, ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით როკის გვირაბთან ქართული საკონტროლო პუნქტის გახსნას, იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაა. თბილისმა ანგარიში უნდა გაუწიოს იმასაც, რომ სამხრეთ ოსეთში საქმე საერთაშორისო კონფლიქტთან გვაქვს, რადგანაც საქმე რუსეთის ინტერესებსაც ეხება. ამიტომ სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის გარკვევამდე, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ როკის გვირაბი აერთებს რუსეთსა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას,"** - განაცხადა კუსოვმა.

მოსკოვში გამართული სხდომის პირველმა რაუნდმა აჩვენა (და ამას ჩვენთან საუბარში კუსოვიც ადასტურებს), რომ ოსური მხარე, რუსული მხარის მოთხოვნით, მზადაა რეგიონიდან მოხალისეებისა და დაქირავებულების გასაყვანად.

ოსური მხარის წარმომადგენლის ბორის ჩოჩიევის მტკიცებით, ოქმის ძირითადი საკითხები შეთანხმებულია. კომისიის სხდომაზე კონფლიქტური სიტუაციები არ ყოფილა. პირიქით, მხარეებმა ერთად მშვიდობიანად ისადილეს. ოსური დელეგაციაც ამტკიცებს, რომ ისინი კონფლიქტის მშვიდობიანად განმუხტვით არიან დაინტერესებულნი.

**"რუსულ მხარეს ესმის როკის გვირაბის გაკონტროლების აუცილებლობა. ამიტომ, თუკი ქართული მხარის გადაწყვეტილებები მიღებული არ იქნება, მოლაპარაკებების გაგრძელებას აზრი აღარ ექნება. მთავარია ის, რომ ჩვენ დათმობას არ ვაპირებთ,"** - განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

**"ქართული დელეგაციის იმედები ემყარება იმასაც, რომ თბილისმა უკვე შეძლო მოსკოვის დარწმუნება მხოლოდ მშვიდობიანი მექანიზმებით კონფლიქტის დარეგულირებისათვის მზადყოფნაში. ამაში ჩვენ გვჭირდება რუსეთის დახმარება, რუსეთის გავლენა,"** - ამბობს გელა ბეჟუაშვილი და რუს ჟურნალისტებთან საუბარში აღშფოთებას ვერ მალავს რუსეთის ტელევიზიის სამთავრობო არხებით ცხინვალის რეგიონში შესული ბოევიკების სამხედრო სწავლებების კადრების ჩვენების გამო.

მოსკოველი ექსპერტების აზრით, საზღვრის ერთობლივი მონიტორინგის საკითხის განხილვისას, აუცილებლად ექნება ადგილი ოსური მხარის დესტრუქტივიზმს და შესაძლოა, მოსკოვმა ეს დროის გასაყვანად გამოიყენოს, მაგრამ ოთხივე მხარე ეთანხმება მთავარ პუნქტს - ომი დაუშვებელია.

## უმცირესობის დევნა ანტიეროვნული ქმედებაა



*საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა გრძნობდეს, რომ სახელმწიფოში ცხოვრობს და ეს მისი სამშობლოა.*

ვახო ბესელიას ფოტო

როლანდ თოფჩიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რა დამავიწყებს იმას, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, ქართველების გარკვეული ნაწილი, უფრო სწორად ბანდები (დამნაშავეს ეთნიკურობა არა აქვს!) ღამით თავს ესხმოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ოსებს, ძარცვავდნენ და სახლებიდან ყრიდნენ. და მე ხაზს ვუსვამ, სწორედ ისეთ ხალხს ყრიდნენ, რომლებიც უკვე ინტეგრირებულნი იყვნენ ქართულ ეროვნულ ორგანიზმში, ისეთებს, რომლებისთვისაც დედაენას ქართული წარმოადგენდა. ოსური გვარის გამო სამსახურიდან ითხოვდნენ (და ოსებს ბევრი წარმოშობით ქართველიც მიაყოლეს, რომელთა ქართული გვარის წარმომავლობაში ეჭვი ეპარებოდათ). დამნაშავე ვართ უდანაშაულო ჩვენი ოსი მოქალაქეების წინაშე, ვინც ლტოლვილად ვაქციეთ, ჯერ ვლადიკავკაზში ჩავიყვანეთ და იქიდან კი როკის გვირაბით შემოსულები, ცხინვალში ქართველების სახლებში დაბინავდნენ. მოყვრები მტრებად ვაქციეთ. ნიშანდობლივია, რომ ამ ცოტა ხნის წინ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის არჩევნების დროს, ერთ-ერთმა საარჩევნო კომისიის წევრმა ქალბატონმა ქართველებს მადლობა გადაგვიხადა მშვენიერი ქართულით (დედა ქართველი ჰყავდა) - ქართველებმა გამაგებინეს, რომ ოსი ვარო.

სტატიის სრული ვერსია იხილეთ A8 გვერდზე

# სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები მცირდება

*გუშინ ეროვნულ ბანკში გამართულ სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე დღემდე უპრეცედენტოდ დაბალი პროცენტი დაფიქსირდა - 364 დღის დაფარვის მქონე სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთმა 12 პროცენტი შეადგინა. ამ მოვლენას ფინანსური ექსპერტები სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოთი და მთვარობის პოლიტიკის მიმართ ნდობით ხსნიან.*

წლის დასაწყისიდან სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე პოზიტიური ტენდენციები ვითარდება, რასაც ექსპერტები რამდენიმე გარემოებით ხსნიან: თუ აქამდე სახაზინო ვალდებულებების ბაზრის განვითარებას ინვესტორთა მხრიდან მთავრობის უნდობლობა აფერხებდა, 2003 წლის ნოემბრის შემდეგ მათი ნდობა გაიზარდა როგორც სახაზინო ვალდებულებების, ასევე, მთლიანობაში, ხელისუფლების მიმართ. სწორედ ეს უკანასკნელი გახდა სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი შემცირების უმთავრესი ფაქტორი. შედარებისათვის, გასული წლის 6 თვის მონაცემებით საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 40-42 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში 24.1 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2004 წლის ივლისში დაგეგმილი 364 დღის დაფარვის მქონე სახაზინო ვალდებულებების აუქციონებიდან უკვე ჩატარებულია 2 აუქციონი, რომლებზეც საპროცენტო განაკვეთებმა მნიშვნელოვნად დაიწია და, შესაბამისად, 7 ივლისს - 15.35 პროცენტი, ხოლო 14 ივლისს - 12 პროცენტი შეადგინა.

სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთების შემცირების კვალობაზე იზრდებოდა მოთხოვნა მათ შეძენაზე. საშუალოდ მოთხოვნა 2-3 ჯერ, ან, ცალკეულ შემთხვევებში, უფრო მეტად აღემატებოდა ემისიის მოცულობას, რამაც ფინანსთა სამინისტროს საშუალება მისცა, სახაზინო ვალდებულებების გამოშვებათა ვადიანობა მნიშვნელოვნად გაეზარდა. დღეის მდგომარეობით, სახაზინო ვალდებულებების დურაციამ (საშუალო ვადიანობა) 240 დღე შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების ვადიანობის მკვეთრმა ზრდამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მეორადი არასაბირჟო გარიგებების ზრდას, რომელმაც 2004 წლის 6 თვის მონაცემებით 58,0 მლნ.ლარი შეადგინა.

სულ, 2004 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ჩატარდა სახაზინო ვალდებულებების 23 აუქციონი, სადაც განთავსებული იქნა 100 მილიონი ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები. ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მაჩვენებელი 19.5 მლნ. ლარს შეადგენს. ხოლო დაუფარავი სახაზინო ვალდებულებების მოცულობა - 92.5 მლნ. ლარს.

გარკვეული ცვლილებები შეინიშნება სახაზინო ვალდებულებების პორტფელების სტრუქტურაშიც. თუ გასულ წელს საბანკო და არასაბანკო (რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირები) სექტორებში სახაზინო ვალდებულებების პორტფელის თითქმის თანაბარ გადანაწილებას ჰქონდა ადგილი, წელს ეს მაჩვენებელი რამდენადმე შეიცვალა და მიმოქცევაში არსებული სახაზინო ვალდებულებების 65 პროცენტი კომერციულ ბანკებზე მოდის, ხოლო დარჩენილი 35 პროცენტი - ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე განვითარებული პოზიტიური ძვრები დინამიურ პროცესში გადაიზრდება. სახაზინო ვალდებულებებზე მოთხოვნის ზრდის კვალობაზე გაგრძელდება საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია, რაც საბოლოოდ შეამცირებს ვალის მომსახურების ხარჯებს და ფინანსთა სამინისტროს ექნება ქმედითი ბერკეტი, რომლის საშუალებით სახელმწიფო ბიუჯეტი რეალურ ფისკალურ ეფექტს მიიღებს.

*24 საათი*

# აჭარაში საგადასახადო დავალიანებების იძულებით ამოღება იწყება

### რეგიონში დამალული გადასახადების ძებნა გრძელდება

ეთერ მამულაშვილი

*აჭარაში რამდენიმე კერძო კომპანიას საჯარო აუქციონისთვის ამზადებენ. ოცდაათამდე ორგანიზაცია ამჟამად დაყადაღებისა და გირავნობის რეჟიმში იმყოფება. საგადასახადო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ იგივე ბედს გაიზიარებს ყველა ის კომპანია, რომელიც წლების განმავლობაში ბიუჯეტის მიმართ დაგროვილ ვალებს არ გადაიხდის. პირველი აუქციონი, სავარაუდოდ, ამ თვის ბოლომდე დაინიშნება. თუმცა, მევალე კომპანიას საკუთარი ქონების "გადარჩენის" შანსი აუქციონის დაწყების ბოლო წუთამდე აქვს, თუკი მის მიმართ არსებულ საგადასახადო დავალიანებას ის სრულად დაფარავს.*



ეთერ მამულაშვილის ფოტო

*აჭარაში დავალიანების მქონე საწარმოებს აუქციონისთვის ამზადებენ.*

თითქმის ორი თვეა, საგადასახადო დეპარტამენტი აჭარაში ადგილობრივ შესაბამის სამსახურებთან ერთად სპეციალურ მოკვლევას აწარმოებს. სამუშაოს ძირითადი მიზანია, რეგიონში მეწარმე სუბიექტების - გადამხდელთა სრულად აღნუსხვა-რეგისტრაცია, გასულ წლებში დამალული გადასახადების "აღმოჩენა" და სხვა მსგავსი კანონდარღვევების გამოვლენა.

საგადასახადო დეპარტამენტის მიერ აჭარაში მივლენილი სპეციალური ჯგუფის მუშაობის შედეგად ირკვევა, რომ ამ დროისთვის დამალული გადასახადების ოდენობა (მათზე დასარიცხი საურავების გარეშე) 164 მილიონ ლარს აჭარბებს, აქედან, დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც მთლიანად ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილებაა, 78 მილიონს აღწევს. 264 მილიონია დეკლარირებული, თუმცა გადაუხდელი გადასახადების რაოდენობა, საიდანაც თითქმის ნახევარი სოცდაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში უნდა ჩარიცხულიყო. რაც შეეხება გადამხდელთა სარეგისტრაციო ბაზას, საგადასახადო დეპარტამენტის ცნობით, ის არასრულია. მეტიც, ზოგიერთი მონაცემი არასწორია, რის გამოც საგადასახადო დავალიანების მქონე მეწარმეთა ნახევარზე მეტი არ იძებნება. როგორც "24 საათმა" გაარკვია, აჭარაში რეგისტრირებულ პირთა ერთი ნაწილი დიდი ხნის წინათ არის გარდაცვლილი ან მათი არასწორი მისამართები და მონაცემებია მითითებული. ხსენებულმა სამუშაო ჯგუფმა დღემდე მარტო ბათუმში 60-ზე მეტი არარეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი გამოავლინა. დღეს ისიც ირკვევა, რომ აჭარაში წლების განმავლობაში არ სრულდებოდა საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელიც ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე საურავების დარიცხვას და საჯარიმო სანქციების დაწესებას ეხება. ძირითადად, კანონის ეს მუხლი აჭარაში რამდენიმე გვარისა და მათი დაცვის ქვეშ მყოფ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე არ ვრცელდებოდა. წინასწარი მონაცემებით, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დაურიცხავი საურავების ოდენობა 108 მილიონ ლარს აღწევს.

ამ დროისთვის საგადასახადო დეპარტამენტი რეგიონში მუშაობას თითქმის ასრულებს და, პარალელურად, დავალიანებების ამოსაღებად კანონით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებების გატარებას იწყებს. ეს კი შემდეგს გულისხმობს: საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება, მევალე ორგანიზაციის წერილობითი გაფრთხილება, გირავნობა, ქონების დაყადაღება და საბოლოო ეტაპი - აუქციონი. **"თუკი კომპანია დავალიანებას ყველა ამ ეტაპის გავლამდე გადაიხდის, მის მიმართ ყველანაირი იძულებითი ღონისძიება ავტომატურად, იმავე წუთს წყდება,"** - განმარტავს საგადასახადო დეპარტამენტის ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ანალიზისა და იძულებით გადახდევინების მეთოდების სამმართველოს უფროსი ამირან თავართქილაძე. მისივე თქმით, ამ დროისთვის აჭარაში აუქციონზე გასატანად 23 ორგანიზაცია მზადდება. მათ შორის არის აბაშიძის ოჯახთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული რამდენიმე კომპანია. საგადასახადო დეპარტამენტის ცნობით, ამ კომპანიების მიერ დაგროვილი საგადასახადო დავალიანება 91 მილიონ ლარს აღწევს. აქედან 37.292.000 შპს "ტერმინალი ადლიაზე" მოდის, შპს. "ინტერპრაისი ბათუმი" - 7.192.900, შპს. "აღორძინება-M" - 27.305.589, შპს. "რივიერა" - 12. 697.450, შპს."პალანეტა 41" - 8.761.516, "აღორძინება-N" - 533.110.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლომ გუშინვე დააკმაყოფილა აჭარის პროკურატურის შუამდგომლობა რამდენიმე ფირმისა და შპს-ს დაყადაღების შესახებ. პროკურატურა 15-მდე ორგანიზაციის დაყადაღებას ითხოვს, რომელთა შორის არის ბათუმის კორტები და ნავთობტერმინალი.

შეტყობინება საწარმოს შესაძლო დაყადაღების შესახებ, გუშინ აჭარაში კიდევ რამდენიმე კომპანიას გაეგზავნა. მათ შორის არიან: "ბათუმის ღვინის ქარხანა" ე.წ. "ასლან აბაშიძის ღვინის სარდაფი", "ბათუმის მაცივარკომბინატი", "აჭარპური", "აჭარ-თევზი", "მატერიალური რესურსების ბაზა", "ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა" და სხვა. დღემდე კეთილი ნება მხოლოდ 18-მა ორგანიზაციამ გამოიჩინა და მათ ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანება სრულად დაფარეს.

# დირექტორები კორპორაციული მართვის საფუძვლებს სწავლობენ

*ბევრი ჩვენგანი სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას, თავისდაუნებურად, იმ საწარმოს აქციონერი გახდა, რომელშიც წლების განმავლობაში მუშაობდა. თუმცა, რას ნიშნავდა აქციონერობა ან რა უფლება-მოვალეობები ჰქონდათ მათ, ეს ახლად გამომცხვარი აქციონერებისათვის არავის აუხსნია. ათ წელზე მეტია, სააქციო საზოგადოებები არსებობენ, თუმცა კორპორაციული მართვის პრინციპებზე წარმოდგენაც არა აქვთ. კორპორაციული მართვის პრინციპების არცოდნა კი აქციების არალიკვიდურობისა და ინვესტიციების ნაკლებობის მიზეზია. დღეს თითზე ჩამოსათვლელია ისეთი დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეები და აქციონერები, რომლებმაც ზედმიწევნით იციან მათი უფლება-მოვალეობები. კორპორაციული პრინციპების საქართველოში დანერგვით ერთდროულად რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია დაინტერესდა, მათ შორის, კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (CIDA).*

სოფიკო ოხანაშვილი

კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (CIDA) დაფინანსებით უკვე ექვსი თვეა IFC (International Finance Corporation) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს ახორციელებს. პროექტის მიზანია ქართული სააქციო საზოგადოებების კორპორაციული მართვის სისტემის (აქციონერების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების უფლება-მოვალეობების გამიჯვნა, საკუთარი ინტერესების ნაცვლად, წინა პლანზე ბიზნეს-ინტერესების წამოწევა მაქსიმალური მოგების მიზნით) გაუმჯობესება, მათთვის კაპიტალის ხელმისაწვდომობის გამარტივება, ინვესტიციების მოზიდვა, აქციების ლიკვიდურობისა და აქციონერთა უფლებების დაცვის ხარისხის გაზრდა. პროექტი ოფიციალურად მიმდინარე წლის 11 თებერვალს გაიხსნა და მომავალი წლის მარტში დასრულდება. თუმცა, სავარაუდოა, რომ პროექტი კიდევ რამდენიმე წლით გახანგრძლივდეს.

სემინარების მოწყობისა და დაინტერესებული სააქციო საზოგადოებებისთვის ფინანსური და იურიდიული კონსულტაციების გაწევის გარდა, ეფექტური შედეგის მისაღწევად IFC-მა ე.წ. პილოტური პროექტების განხორციელებაც დაიწყო. პილოტური პროექტის ფარგლებში მხოლოდ ათი სააქციო საზოგადოება შეირჩევა. ათეულში მოხვედრის შანსი იმ სააქციო საზოგადოებებს აქვთ, რომლებშიც სახელმწიფოს წილი 25 პროცენტს არ აღემატება, აქვთ პროექტთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი და მიზანმიმართულები არიან ფინანსური რესურსების მოზიდვასა და ეფექტურობის ზრდაზე. პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მსურველი სააქციო საზოგადოებების განცხადებების მიღება დღეს დასრულდება. ამ ეტაპზე მხოლოდ ხუთ სააქციო საზოგადოებას შეარჩევენ. ამჟამად, უკვე 60-ზე მეტი განცხადებაა. მეორე ხუთეულს კი აგვისტო-სექტემბერში გამოავლენენ.

შერჩეულ ათ სააქციო საზოგადოებასთან დაიწყება ინდივიდუალური მუშაობა: გაიმართება კონსულტაციები, შიდა და გარე კორპორაციული ტრენინგები, შემუშავდება რეკომენდაციები, სამუშაო გეგმა. სააქციო საზოგადოების საბოლოო აუდიტის ჩატარებისა და კორპორაციული მართვის დონის შეფასების შემდეგ, IFC სააქციო საზოგადოებას პოტენციურ ინვესტორს წარუდგენს.

IFC-ის პროექტის ფარგლებში არაერთი სემინარი ჩატარდა, რომლის მიზანიც სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელებისათვის კორპორაციული მართვის საფუძვლების გაცნობა იყო. ბოლო ასეთი შეხვედრა აჭარის რეგიონის სააქციო საზოგადოებების დირექტორებთან გაიმართა. სემინარს აჭარის რეგიონის გარდა, ფოთისა და გურიის სააქციო საზოგადოებების დირექტორებიც ესწრებოდნენ. დირექტორები ინტერესდებოდნენ როგორც უახლესი საკანონმდებლო საკითხებით, ასევე ელემენტარული კორპორაციული მართვის საფუძვლებითა და ფინანსური ანგარიშის მომზადების ხერხებით. დირექტორებმა მსგავსი სემინარების ხშირად ჩატარებაც მოითხოვეს.

აჭარის რეგიონში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, სააქციო საზოგადოებები (სულ 1800), ძირითადად, პრივატიზების ანუ თანამშრომლებისათვის აქციების დარიგების შედეგად შეიქმნა. მათი უმრავლესობა სახელმწიფო წილითაა შექმნილი. ამჯერად, აჭარის რეგიონში ერთი საბროკერო კომპანია და ერთი რეგისტრატორი ფუნქციონირებს, რომლებიც აჭარის რეგიონის გარდა, გურიასა და სამეგრელოსაც ემსახურებიან.

დღეისათვის, საქართველოში კორპორაციული მართვის პრინციპების არცოდნა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. კორპორაციული მართვის პრინციპების ცოდნის დეფიციტი, პირადი ინტერესების წამოწევა და კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუმჭვირვალობა - აქციების არალიკვიდურობის გამომწვევი მიზეზებია. არადა, ფინანსური მდგომარეობის ღიაობა ინვესტიციების მოზიდვის პირდაპირპროპორციულია - რაც უფრო ხელმისაწვდომი და გამჭვირვალეა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ინვესტიციების მოზიდვის მით უფრო დიდი შანსი არსებობს. დახურულ საწარმოებში კაპიტალის ჩადებაზე ინვესტორები უარს ამბობენ. დირექტორები ინვესტიციების ნაკლებობაზე წუწუნებენ, თუმცა, იმის მაგივრად, რომ კომპანიის საქმიანობა გამჭვირვალე გახადონ და ამით ხელი შეუწყონ ინვესტიციების მოზიდვას, საკუთარი წილისა და ინტერესების შემცირების შიშით, ყველანაირად ცდილობენ, საწარმო ჩაკეტილ სისტემად აქციონ და წვრილი აქციონერებისაგან წილების შესყიდვით საკონტროლო პაკეტის მფლობელები გახდნენ. აქციების მუდმივ მიმოქცევაში ყოფნა კი ბიზნესის განვითარებისთვის იაფი ფულის მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.

კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვის აუცილებლობას, სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელებზე მეტად, საბროკერო კომპანიები აცნობიერებენ. ეს ბუნებრივიცაა, მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო კომპანიების აქციების ყიდვა-გაყიდვიდან მიღებული პროცენტებია. **"ეს პრინციპები თუ პრაქტიკაში განხორციელდა, მაშინ საწარმოები ღია გახდება ინვესტორებისათვის, აქციების ბირჟაზე მიმოქცევა მოქნილი გახდება, გაჩნდება მოთხოვნილება საბროკერო კომპანიების მომსახურებაზე და ჩვენც უფრო აქტიურ როლს ვითამაშებთ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე",** - განაცხადა აჭარის რეგიონის ერთადერთი საბროკერო კომპანიის ხელმძღვანელმა პაატა კალოიანმა. ამჟამად კი, საბროკერო კომპანიები თითქმის უფუნქციოდ არიან დარჩენილები.

მილიონერი ბროკერები, საფონდო ბირჟის გიჟური ტემპი, უზრუნველყოფილი აქციონერები - ეს, ჯერჯერობით, საქართველოსთვის შორეული პერსპექტივაა, თუმცა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება კორპორაციული მართვის პრინციპების, როგორც სააქციო საზოგადოების წარმატებული და მოგებაზე ორიენტირებული მუშაობის გარანტის, დანერგვა. მით უმეტეს მაშინ, როცა, ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის თქმით, სულ მალე კომპანიებისა და საწარმოების ძირითადი სამართლებრივი ფორმა სააქციო საზოგადოება იქნება.


**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს ბოქლომების მოწოდებაზე:**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 19 ივლისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 ივლისი.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს პლასტმასის და ლითონის მილების მოწოდებაზე:**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 19 ივლისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 ივლისი.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს გოფრირებული ნეილონის ან პოლიქლორვინილის მილის მოწოდებაზე:**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 19 ივლისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 ივლისი.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს საწნეხი სპილენძის ბუნიკების მოწოდებაზე:**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 19 ივლისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 ივლისი.

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**16 ივლისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გლდანი ა, II, III, IIIა, IV, V და VI მიკრორაიონის, გლდანის ხევის და ხევძმარის დასახლებას, ილორის, იპოლიტოვ-ივანოვის, ხევძმარის, მორეტის, ქერჩის, სარაჯიშვილის, თიანეთის გზატკეცილის, ვართაგავას, ზარზმის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს საწნეხი ალუმინის ბუნიკების მოწოდებაზე:**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 19 ივლისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 ივლისი.

# ახლადშექმნილი სახელმწიფოს ძველი პრობლემები

ლაშა გიორგიძე


REUTERS

საზღვრის პრობლემა ახალი ერაყისთვისაც აქტუალური რჩება

2004 წლის 28 ივნისს მმართველობა ერაყში ადგილობრივ მთავრობას დაგეგმილზე ორი დღით ადრე გადაეცა. თუმცა, ზუსტად არავინ იცის, ხელისუფლების ეს გადაცემა მხოლოდ სიმბოლური, ფორმალური ჟესტი იყო ამერიკელთა მხრიდან, თუ ერაყელი ხალხისათვის რეალურად რაიმე ცვლილების მოტანა შეუძლია. სინამდვილე კი ასეთია: პრეზიდენტით, ვიცე-პრეზიდენტებითა და გავლენიანი პრემიერ-მინისტრით დაკომპლექტებული მთავრობა აბსოლუტურად პროამერიკულია, შეიარაღებული ჯარები, რომლებიც კოალიციის ძალების სახელით არის ცნობილი, ერაყის ტერიტორიაზე ისევ რჩება, ხოლო ეროვნული ჯარის ან გვარდიის შექმნაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

სადამ ჰუსეინის 400-ათასკაციანი არმია, რომელმაც თავის დიქტატორს ერთგულების ფიცით შეჰფიცა, საომარი ოპერაციების დაწყებიდან მალე დაიშალა და იგი კოალიციაში შემავალმა 30-ზე მეტი სახელმწიფოს ჯარებმა, სულ 160 ათასმა კაცმა შეცვალა. ამ კოალიციის ხერხემალს, რა თქმა უნდა, აშშ წარმოადგენს, თავისი 138-ათასკაციანი შემადგენლობით. გაერთიანებული ძალების წინაშე მდგარი პრობლემები კი ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით კოალიცია. კოალიციის ძალებს სუნიტებისა და შიიტების შეიარაღებული რაზმების გარდა, რომელთა სათავეში ხშირად სულიერი ლიდერები დგანან, სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებებთან, ყოფილი დიქტატორის მხარდამჭერებთან და, უბრალოდ, ერაყის თავისუფლებისათვის მებრძოლებთან უხდებათ გამკლავება.

ხელისუფლების ერაყელი ხალხისათვის გადაცემის შემდეგაც, ძალადობისა და შეიარაღებული შეტაკებების რიცხვი ქვეყანაში არ მცირდება. ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ საჭიროა იმ პირების მაქსიმალურად გამოყენება, რომლებიც თავის დროზე სადამ ჰუსეინის შეიარაღებულ ჯარებში მსახურობდნენ. მართალია, მათ ახალ რეალობასთან მოუწევთ შეგუება, მაგრამ ეს ერაყში სტაბილურობისათვის აუცილებელი იქნება. ამ მხრივ, ოდნავ დამაიმედებელი ის არის, რომ ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში მოსამზადებელი 260 ათასი ადამიანიდან ორი მესამედი ამერიკელთა მიერ უკვე გაწვრთნილია. აქვე საკითხავია, თუ რამდენად ექნებათ მათ სურვილი, რომ ადგილობრივ ოპოზიციას წინააღმდეგობა გაუწიონ. ამის ფონზე უფრო ნათელი ხდება, რომ კოალიციის მეტი ძალებია საჭირო. ამის გაკეთება ჯორჯ ბუშს აღარ შეუძლია, მის ისედაც შერყეულ ავტორიტეტს კიდევ უფრო დაბლა დასწევს დამატებითი ჯარების გაგზავნის მოთხოვნა და ეს მაშინ, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებამდე სულ ცოტა დრო რჩება.

უამრავ სხვა პრობლემასთან ერთად, ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა, რაც ერაყში არასტაბილური მდგომარეობის ხელისშემწყობ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს, არასაკმარისად კონტროლირებადი საზღვრებია, რაშიც ერაყის ახალი ხელისუფლება თანადგომას მეზობელ ქვეყნებს სთხოვს. საზღვრის დარღვევისა და მეზობელი სახლმწიფოებიდან შეიარაღებული პირების გადმოსვლის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰოშიარ ზებარიმ არაერთხელ განაცხადა და აღნიშნა, რომ ერაყის მეზობელი სახელმწიფოები დანაპირებს ვერ ასრულებენ. მიუხედავად ირანის, სირიის, იორდანიის და სხვა მეზობელი სახელმწიფოების პირველი პირების დაპირებისა, რომ ამგვარი ინციდენტების ალსაკვეთად ყველა ზომას მიიღებდნენ, პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება. იორდანიის მეფე აბდულამ არ დაფარა, რომ ერაყში დესტაბილიზაცია რეგიონის ყველა ქვეყნისათვის სახიფათო გახდება. "მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეზობელი ქვეყნები პრობლემის თავიდან ასაცილებლად ყველაფერს გააკეთებენ, რადგან ამ სიტუაციიდან გამარჯვებული არავინ დარჩება," - განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში იორდანიის მმართველმა. ამავდროულად, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი რეგიონში ერთადერთ გავლენიან ძალას, აშშ-ს კი არ სთხოვს დახმარებას, არამედ მეზობელ სახელმწიფოებს კოორდინირებული მუშაობისაკენ მოუწოდებს. "ეს საკითხი ერაყის მეზობლების ჩარევით უნდა მოგვარდეს და არა აშშ-ს დახმარებით," - აღნიშნა ბატონმა ზებარიმ.

შექმნილი დაძაბულობის ფონზე მნიშვნელოვანი იყო ერაყსა და სირიას შორის გაფორმებული შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ძირითადად, უდაბნოზე გამავალი საზღვარი ორივე მხრიდან გაკონტროლდება. დამასკოში სხვადასხვა შეიარაღებული რაზმებისა და მებრძოლების ერაყის ტერიტორიაზე შესვლის აღკვეთის შესახებაც მიიღეს გადაწყვეტილება. ამის თაობაზე პირველმა ერაყის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ბაჰრამ სალეჰმა განაცხადა, მას შემდეგ, რაც სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადს შეხვდა. ბაჰრამ სალეჰმა სირიის პრეზიდენტისაგან პირობა მიიღო, რომ მისი ტერიტორიიდან შეიარაღებული პირების შესვლის ნებისმიერი მცდელობა მკაცრად გაკონტროლდებოდა. ერაყის მხარის წარმომადგენელმა კი განაცხადა: "ჩვენ შევთანხმდით, რომ მებრძოლების შემოსვლის ფაქტების გამოსაძიებლად უსაფრთხოების სპეციალური ძალები ერთმანეთთან ითანამშრომლებენ, ასევე, მჭიდრო იქნება ურთიერთობები, რათა ჩატარდეს სამხედრო ოპერაციები და აღიკვეთოს მათი შემოსვლა ერაყის ტერიტორიაზე."

ბაჰრამ სალეჰის ვიზიტი სირიის დედაქალაქში, პირველი ოფიციალური ვიზიტი იყო მეზობელ ქვეყანაში ერაყის მთავრობის წარმომადგენელთაგან მას შემდეგ, რაც აშშ-ს მიერ ჩამოყალიბებულმა გარდამავალი პერიოდის მთავრობამ ხელისუფლება ადგილობრივ წარმომადგენლებს გადასცა. სირიის მხრიდან ასეთი ხელშეკრულების გაფორმება თავისთავად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მისი ტერიტორიიდან ერაყში მებრძოლების შესვლას აქამდე ნამდვილად ჰქონდა ადგილი. მეორე მხრივ, ეს ამ ეტაპზე მხოლოდ დადებით ჟესტად შეიძლება ჩაითვალოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერაყის სახელმწიფოებრიობა ახლა იწყებს ჩამოყალიბებას და, აშშ-ს უდიდესი მხარდაჭერის მიუხედავად, მეზობელი ქვეყნების თანადგომა მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუმცა, არც ისე უნდა ჩავთვალოთ, თითქოს სირიის ხელისუფლება მხოლოდ ალტრუისტული მიზნებით მოქმედებს და ყველაფერს მხოლოდ მეზობელი ერაყის სასიკეთოდ აკეთებს. მიმდინარე წლის დასაწყისში აშშ-მ სირიას ეკონომიკური სანქციები დაუწესა იმის გამო, რომ მისი ტერიტორიიდან შეიარაღებული ფორმირებების ერაყში გადასვლის აღსაკვეთად შესაბამის ზომებს არ იღებდა. პრეზიდენტი ასადი ამ შეთანხმების შემდეგ იმედოვნებს, რომ აშშ-ს ხელისუფლება მის კრიტიკას შეწყვეტს და შესაბამისი განცხადებების გაკეთებას ერაყის ახალი მთავრობაც მოერიდება. რეალურად, სასაზღვრო მონაკვეთის გაკონტროლება ორივე მხარეს გაუჭირდება. სადემარკაციო ხაზის 600-კილომეტრიან მონაკვეთს კარგად იცნობენ ადგილობრივი ტომების წარმომადგენლები, ასევე ის კონტრაბანდისტები, რომლებსაც ეს საქმე უკვე ათეული წლებია, თავიანთ ძირითად პროფესიად აქვთ ქცეული.

ბაჰრამ სალეჰის ვიზიტი სირიაში ერაყის პრემიერ-მინისტრის, აიად ალავის დაგეგმილი ვიზიტის ერთგვარი წინაპირობა იყო. ერაყის ახალი მთავრობის მეთაური უახლოეს მომავალში როგორც დამასკოს, ისე ბეირუთსა და თეირანს ესტუმრება. სირიაში ვიზიტისას ბატონმა სალეჰმა განაცხადა: "ერაყი ყველაფერს გააკეთებს მეზობელ ქვეყნებთან მყარი და დაბალანსებული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად, ამიტომაც, ნებისმიერი მეზობელი ქვეყნის სამხედრო ჩარევა მხოლოდ ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება". სირიის პრეზიდენტს გაეროს ელჩი, ლახდარ ბრაჰიმიც შეხვდა. როგორც მან მოგვიანებით განაცხადა, ბატონ ასადთან საუბრისას თვითონაც და ბატონი სალეჰიც დაიმედებულნი დარჩნენ იმით, რომ ერაყს მეზობელი სახელმწიფოები მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებაში დაეხმარებიან.

ხელშეკრულების გაფორმება იმ ფაქტმაც დააჩქარა, რომ ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰოშიარ ზებარი ბრიუსელში რამდენიმე შეხვედრას გამართავს ნატო-სა და ევროპის კავშირის ოფიციალურ წარმომადგენლებთან. როგორც რამდენიმე დღის წინ მინისტრმა განაცხადა, მისი ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სირიასთან საზღვრის გაკონტროლებაში ნატო-ს უშუალო ჩართვა იქნებოდა. სირიის ხელისუფლებას კი, ისედაც გართულებული ურთიერთობების ფონზე, საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი სახით წარმოჩენა არაფრად წაადგებოდა.

# ბატლერმა ბლერი დაზოგა


REUTERS

ბატლერის მოხსენებამ, შესაძლოა, ბლერისა და ლეიბორისტების რეიტინგი შეარყიოს.

გუშინ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ლორდ ბატლერის მოხსენებას გაეცნო. აღნიშნულ მოხსენებაში სპეცსამსახურების მიერ მთავრობისათვის მიწოდებული ინფორმაცია და მთავრობის მიერ ამ მონაცემების გამოყენების მიზანშეწონილობაა გაანალიზებული.

არსებული მონაცემებით, სადამ ჰუსეინის მხრიდან მომდინარე საფრთხის გაზვიადებისათვის, მთელი პასუხისმგებლობა სპეცსამსახურებს ეკისრებათ. თავად ბლერი კი, როგორც ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, კრიტიკის ქარცეცხლს გადაურჩა. ლორდმა ბატლერმა დაუნინგ სტრიტის მისამართით მხოლოდ ის აღნიშნა, რომ საზოგადოებრიობას დაზვერვის ინფორმაცია, რომელიც 2002 წლის სექტემბერში ერაყის საფრთხის შესახებ მთავრობის დოსიეში იყო მოცემული, ჯეროვნად არ მიაწოდეს. თუმცა, კრიტიკოსთა ძირითადი "ბრალდებები" ბლერის ქვეშევრდომებს მოუხსნეს.

ბატლერმა დაადგინა, რომ ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა, ლორდ გოლდსმითმა, "ზემოდან ზეწოლის" გარეშე, ერაყში შეჭრაზე თანხმობა განაცხადა. ტელეკომპანია "ITV"-ს ცნობით, განსაკუთრებით მწვავე კრიტიკა დაზვერვის გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელმა ჯონ სკარლეტმა დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ მან სექტემბრის დოსიე "მაღალჩინოსანთა" ზეწოლით გაამაგრა, სავსებით შესაძლებელია, რომ ბატლერმა ამ უკანასკნელს თავის ახალ თანამდებობაზე (MI-6-ის დაზვერვის ხელმძღვანელობა) უარის თქმა არ მოსთხოვოს.

მოხსენება მიმდინარე წლის თებერვლიდან მზადდებოდა. მისი მომზადება უშუალოდ ტონი ბლერის მოთხოვნით დაიწყო, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რეგულარულად სდებდნენ ბრალს, რომ იგი, ომის აუცილებლობაში ბრიტანული საზოგადოებრიობის დასარწმუნებლად, დაზვერვის ინფორმაციით მანიპულირებას ეწეოდა. სკანდალის ცენტრში მოექცა ბლერის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სადამ ჰუსეინი ბირთვული იარაღის საწარმოებლად ურანის იმპორტირებას ნიგერიდან ეწეოდა და მასობრივი განადგურების იარაღის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა 45 წუთში შეეძლო. როგორც "ინდეფენდენტი" იუწყება, სრულყოფილი სურათის შესაქმნელად, ბატლერმა მაგატეს დირექტორი მუჰამედ ელ ბარადეი და გაერო-ს ინსპექტორთა ყოფილი ხელმძღვანელი ჰანს ბლიქსი ჩართო გამოძიებაში. როგორც ცნობილია, ერთიც და მეორეც ყოველთვის საჯაროდ აცხადებდნენ, რომ ბრიტანელთა მტკიცებების სისწორეში ეჭვი ეპარებოდათ. ამასთან, ბლიქსი დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას საბაზრო მოვაჭრეებსაც კი ადარებდა, რომლებიც საკუთარი საქონლის შელამაზებას განგებ ცდილობენ. ამგვარად, ბლიქსმა და ელ ბარადეიმ დაუნინგ სტრიტის მისამართით კეთილი სიტყვები აშკარად დაიშურეს.

მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ბლერის მიმართ კრიტიკა მოხსენებაში არ მოიპოვება, ბატლერის მიერ ჩატარებული სამუშაო, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრისა და მისი ლეიბორისტული პარტიის რეიტინგზე უარყოფითად აისახოს. ბრიტანული მედიის ცნობით, ლეიბორისტთა რიგებში მთავრობის ამჟამინდელი მეთაურის მომხრეებსა და მისი პოტენციური მემკვიდრის - ფინანსთა მინისტრ გორდონ ბრაუნის მომხრეებს შორის განხეთქილება მატულობს. ბლერის მხარდამჭერი ლეიბორისტები აცხადებენ, რომ შემდეგი პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ბრაუნის გარდა, ნებისმიერი კანდიდატის ხილვას ისურვებდნენ. ფინანსთა მინისტრის მომხრეებს კი ტონი ბლერის თანამდებობიდან წასვლა უკვე მიმდინარე კვირაში სურთ. მათი აზრით, ასეთ შემთხვევაში, ამჟამინდელ ფინანსთა მინისტრს უფრო მეტი შანსი ექნებოდა, რომ შემდეგი წლის არჩევნებში ლეიბორისტულმა პარტიამ გამარჯვება მოიპოვოს. როგორც მიმომხილველები აცხადებენ, ორ ლიდერს შორის პირადი ურთიერთობები უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაუარესდა.


# ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ოპერატორი

**"BP"-ის დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენისა და სუფსის ტერმინალის ექსპლუატაციის განხორციელების მიზნით და "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას "IRA" სურვილი აქვს დაიქირავოს შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე პირი ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ოპერატორის თანამდებობაზე.**

**ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ოპერატორი იქნება "BP"-ის მესამე მხარე კონტრაქტორი, რომელიც "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებს.**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

შერჩეული პირი იმუშავებს იმ გუნდში, რომელიც პასუხს აგებს იმ მომსახურების ჩატარების, წვრთნებისა და საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების უზრუნველყოფაზე, რაც გათვალისწინებულია დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენისა და სუფსის ტერმინალის ექსპლუატაციის მიზნებისათვის შემუშავებულ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების სტრატეგიაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების მომზადებისა და მზადყოფნის ეფექტურობა. ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ოპერატოპრი ანგარიშვალდებულია ნავთობის დაღვრაზე რეაგირების უფროსი ოპერატორების წინაშე, არის ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გუნდის წევრი და ამდენად, მისი მოვალეობები და პასუხდისმგებლობის სფეროიები განისაზღვრება, მაგრამ არ შემოიფარგლება შამდეგით:

- ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტებისადმი მტკიცე ერთგულება, მათი სრული გაზიარება და მათთან შესაბამისობა.
- ბპ-ის წესებთან და მოსალოდნელ მოქმედებებთან შესაბამისობის მაღალი სტანდარტები.
- დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენისა და სუფსის ტერმინალის შენობა-ნაგებობებზე არსებული ნავთობის დაღვრაზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობის რეგულარული მომსახურება მათი მწარმოებლების მოთხოვნათა, მომსახურების მართვის პროგრამისა და მომსახურების მიღებული პროცედურების შესაბამისად.
- ხმელეთზე /წყალზე ნავთობის დაღვრისას საჭირო აღჭურვილობის ტექნიკური მონაცემების, მომსახურების გეგმის, მომსახურების პროცედურების გაცნობიერება და მათი მითხონვნების დაცვა.
- დაგეგმოს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხმელეთზე /წყალზე ნავთობის დაღვრაზე რეგირების წვრთვების შესრულებაში და რეალური საგანგებო შემთხვევებში, რომლებშიც მონაწილეობენ ბპ-სა და კონტრაქტორი ფირმების მოსამსახურენი.
- გუნდური მუშაობის, დაგეგმვის, გადაწყვეტილებების მიღების და კომუმიკაციური უნარ-ჩვევების მაღალი სტანდარტები.
- მონაწილეობა დაღვრილი ნავთობის შეკავებისა და სანაპირო ზოლის დაცვის სახელმძღვანელოების მუიდმივი განახლების პროცესში.
- სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება მოითხოვს რეგულარულ გასვლებს, შორეულ ობიექტებზე ყოფნას, მოულოდნელი მობილიზაციისათვის მზადყოფნას და მანქანის უსაფრთხოდ მართვის ჩვევების ქონას.

**საჭირო უნარ-ჩვევები, გამოცდილება და განათლება**

კანდიდატს უნდა ქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და გამოცდილება:

- საინჟინრო განათლება
- წარმოების შესაბამის სფეროშო მუშაობის სამი წლის გამოცდილება, რაც გულისხმობს ინჟინერ-მექანიკოსის ან ინჟინერ-ელექტრიკოსის გამოცდილების ქონას ტუმბოების, გენერატორების, კაბელების და სხვა მობილური აღჭურვილობის მომსახურების გამოცდილების ჩათვლით.
- ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მაღალი სტანდარტებით მუშაობის გამოცდილება.
- საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების ვითარებაში მუშაობისა და მოქმედების გამოცდილება
- ტრანსპორტის უსაფრთხოდ მართვის გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მაღალი სტანდარტები
- კომუნიკაციური, გუნდური მუშაობის, დაგეგმვის, დროის სწორი განაწილების და პრობლემების გადაჭრის ეფექტური უნარ-ჩვევები შრომოს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებით მოქმედებასა და კულტურასთან ერთად.
  კარგად იცოდეს ქართული და რუსული ენები
  ინგლისური ენის ცოდნა მისასალმებელია

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი CV ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 22 ივლისი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
**დავით აღმაშენებლის გამზირი 123ა**
საქართველო, თბილისი,


## ორი სიტყვით

**ისრაელი.** ისრაელის არმიის ჯარისკაცებმა რამდენიმე რაკეტით ღაზის სექტორში არსებული საამქრო გაანადგურეს, სადაც ისრაელის ხელისუფლების მტკიცებით, პალესტინის რადიკალური დაჯგუფებებისთვის იარაღი მზადდებოდა. ოპერაცია რამდენიმე ვერტმფრენისა და ერთი უპილოტო თვითმფრინავის საშუალებით განხორციელდა. ისრაელის არმიის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, "ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეტევა განახორციელეს იარაღის მწარმოებელ ფაბრიკაზე, სადაც "ჰამასისა" და სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისთვის სხვადასხვა სახის იარაღი, მათ შორის, "კასამის" ტიპის რაკეტები მზადდებოდა. **ბიბისი**

■ ■ ■

**ირანი.** ირანის სამხრეთში ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა 24 ადამიანი, ხოლო 13-მა სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო. საგზაო პოლიციის პრესსამსახურის ცნობით, ფარსის პროვინციაში ფესა-დარაბის გზატკეცილზე, გუშინ დილით, სამგზავრო ავტობუსი სატვირთო ტრაილერს შეეჯახა. დაშავებულები ახლოს მდებარე საავადმყოფოებში გადაიყვანეს. პოლიცია ავტოკატასტროფის მიზეზებს იძიებს. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეს ირანში მომხდარი მეორე დიდი ავტოსაგზაო შემთხვევაა. 25 ივნისს სისტანისა და ბელუჯისტანის პროვინციაში სამგზავრო ავტობუსის ბენზინმზიდთან შეჯახებისა და შემდგომი აფეთქების შედეგად 73 ადამიანი დაიღუპა და 103 დაშავდა. ირანი ავტოკატასტროფებში დაღუპულთა რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. შარშან ქვეყანაში 400 ათასზე მეტი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რის შედეგად 23 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. **24 საათი**

■ ■ ■

**ეგვიპტე.** ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის წინაშე ფიცი დადო ქვეყნის მინისტრთა ახალმა კაბინეტმა. ეგვიპტის პრემიერ-მინისტრი 52 წლის აჰმედ ნაზიფი გახდა, რომელსაც ადრე ინფორმაციისა და კომუნიკაციების მინისტრის პოსტი ეკავა. თავდაცვისა და სამხედრო მრეწველობის მინისტრად დანიშნულია მარშალი მუჰამედ ჰუსეინ ტანტაუი, საგარეო საქმეთა მინისტრად - აჰმედ აბუ ალ გეითი, ფინანსთა მინისტრად - იუსეფ ბუტროს გალი, შინაგან საქმეთა მინისტრად კი - გენერალ-მაიორი ჰაბიბ ალ ადელი. გარდა ამისა, ეგვიპტეში ახალი სამთავრობო სტრუქტურა - ინვესტიციების სამინისტრო შეიქმნა. ახალი ხელისუფლების შემადგენლობაში შევიდა, აგრეთვე, ეკონომიკური რეფორმების მომხრეთა ჯგუფი, რომლებიც ეგვიპტის პრეზიდენტის ვაჟთან, ჯამალ მუბარაქთან დაახლოებული პირები არიან. **24 საათი**

■ ■ ■

**თურქეთი-საბერძნეთი.** გუშინ თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდულქადირ აქსუმ და საბერძნეთის საჯარო წესრიგზე პასუხისმგებელმა მინისტრმა გეორგე ვულგარაკისმა ტერორიზმის, არალეგალური მიგრაციისა და ნარკოკონტრაბანდის წინააღმდეგ თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს. **24 საათი**

## გაიყიდება თუ არა ტყე?

*ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის განცხადებას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყეების განსახელმწიფოებრიობის შესახებ, გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და გარემოს დაცვის სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები გუშინ "მწვანეთა მოძრაობის" ოფისში განიხილავნდნენ. როგორც აღმოჩნდა, არასამთავრობო სექტორის ერთი ნაწილი ტყეების პრივატიზების კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან ეჭვობს, რომ გასხვისებული ქონება თავს ერთეულთა ხელში მოიყრის, ისინი კი ტყის რესურსებს, მოვლა-პატრონობის ნაცვლად, შემოსავლის წყაროდ აქცევენ და ტყეებთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ მოუგვარებელი დარჩება. მეორე ნაწილი ამ პროცესის მოუმზადებლად და ნაჩქარევად დაწყებას გმობს.*

ნანა ყაველაშვილი

შეხვედრის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, გარემოს დაცვის საკითხთა ექსპერტებთან ერთად, დაახლოებით, ერთ კვირაში მოამზადონ მიმართვა პრეზიდენტის სახელზე, რომელშიც იქნება მკაცრი მოთხოვნები ტყეების პრივატიზციასა და მის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით. **"ეკონომიკის მინისტრს თავისი შეხედულებები აქვს. ის სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანია; ტყეებს ეკონომიკური თვალით უყურებს და არა გარემოს დაცვის კუთხით. თუმცა, შეიძლება მისი აზროვნებაც შეიცვალოს",** - ამბობს "მწვანეთა მოძრაობის" აღმასრულებელი დირექტორი რუსუდან სიმონიძე.

ტყეთა გასხვისების შესახებ საუბარი ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ-ათ დაიწყო. 1999 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ტყის შესახებ, რომლის მეცხრე-მეათე მუხლებში მითითებული იყო, რომ საქართველოში ტყეები შეიძლება იყოს სახელმწიფოს, საპატრიარქოს ან კერძო საკუთრებაში. კანონში, ასევე, ეწერა: იმისათვის, რომ ტყეები გადაეცეს კერძო საკუთრებაში, უნდა შემუშავდეს და პარლამენტმა მიიღოს შესაბამისი კანონი ტყეთა განსახელმწიფოებრიობის შესახებ. ასეთი კანონი ჯერ შემუშავებულიც არ არის. აქედან გამომდინარე, ტყეების პრივატიზაციაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია, თუმცა - არა უსაფუძვლო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გულისაშვილის სახელობის სამთო-მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გიორგი გიგაური მიიჩნევს, რომ **"ვიდრე არ შემუშავდება შესაბამისი წესები და კანონი, ვიდრე არ მოხდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყეების ინვენტარიზაცია და აღრიცხვა, ტყის გაყიდვაზე ლაპარაკი ზედმეტია".**

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი თამარ ლებანიძე არ იზიარებს არასამთავრობო სექტორის ეჭვებსა და შეშფოთებას ტყეების განსახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით, რადგან ეს პროცესი 2006 წლისთვის იყო ნავარაუდევი, მაგრამ, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობისა და სიტუაციის ბოლომდე შეუსწავლელობის გამო, განსაზღვრულ ვადაში მისი განხორციელება ვერ მოხერხდება. **"კახა ბენდუქიძეს არ გაუკეთებია კატეგორიული განცხადება, რომ ტყეების განსახელმწიფოებრიობა, მაინც და მაინც, ხვალ ან ზეგ დაიწყება. უბრალოდ, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ჩვენ ამ საკითხზე, ზოგადად, უნდა ვიფიქროთ. ტყეების განსახელმწიფოებრიობა მოხდება ტენდერების საშუალებით და, გარწმუნებთ, კანონის მაქსიმალური დაცვით. პირველ ყოვლისა კი, მოხდება ტყეების შესწავლა და საკანონმდებლო ბაზის შექმნა",** - ამბობს მინისტრი.

მისი თქმით, მომავალში ტყით სარგებლობაზე ხანმოკლე ლიცენზიები აღარ გაიცემა, რადგან ინვესტორმა არ იცის, მომავალშიც გაუგრძელებენ თუ არა ლიცენზიას და პერსპექტიული სამუშაოებით დაინტერესებული არ არის. **"გრძელვადიანი ლიცენზიის არსებობისას და ტყის მასივის კერძო საკუთრებაში გადაცემისას დაინტერესება მეტია,** - ამბობს მინისტრი, - **სამწუხაროდ, ისევე, როგორც ბევრ სხვა დარგში, ტყესთან მიმართებაშიც არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა; არ გვაქვს ხანგრძლივი ლიცენზიები, ხანგრძლივი იჯარა; მოშლილია კონტროლის მექანიზმი და მასობრივად იჩეხება ტყე. კახა ბენდუქიძე გამოცდილი ადამიანია, თანაც - ბიოლოგი; კარგად იცის ტყის ფასი და ისეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, რაც სახელმწიფოს ავნებს".**

## "ქვიშის კარიერის გენერლები" თუ სამხედრო კარიერის პერსპექტივა

თამარ ჭაჭანიძე

*თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსში ახალი კონტინგენტის მიღება დაიწყეს. წელს 150 ადგილიდან 15 ადგილი მზრუნველობამოკლებული და ქუჩის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. მათ ბავშვთა სახლებიდან შეარჩევენ.*



*კადეტთა კორპუსში მომავალი გენერლების აღსაზრდელად მზად არიან.*

ვახო ბესელიას ფოტო

თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსი, რომელიც საქართველოში 1992 წელს დაარსდა, 1994 წელს სკოლა-ინტერნატად გადაკეთდა. ამჟამად იქ 220 ბავშვი იღებს სამხედრო განათლებას. ბავშვთა სახლებიდან შესაფერისი ასაკის ბიჭების კადეტთა კორპუსში მიყვანა "გაზეთ 24 საათი - სამხედრო"-ს რედაქტორის თემურ სირაძისა და "მთავარი გაზეთის" ჟურნალისტის ირმა კახურაშვილის იდეა იყო. კადეტთა კორპუსის უფროსმა ავთანდილ კუპრაშვილმა მათ წამოწყებას მხარი დაუჭირა. შეარჩიეს 14 ბავშვი, რომელთაგან ორს, ფიზიკური პრობლემების გამო, უარი ეთქვა, ხუთი ბავშვი კი ნახევარი წლის შემდეგ ნებაყოფლობით წავიდა კადეტებიდან.

ახლა კადეტთა კორპუსში ამ კატეგორიის შვიდი ბავშვი სწავლობს. ბავშვები იქ თავს კარგად გრძნობენ. სამი წლის განმავლობაში მათ სწავლებისა და ცხოვრებისთვის შესაფერი პირობები აქვთ. 17 წლის ვლადიმერ პრაზდნიკი, ნათლობის შემდეგ - ნიკოლოზი, კადეტებში მისვლამდე თავშესაფარ "ბელურებში" ცხოვრობდა. "ბელურებში" ასაკობრივი პერიოდი შეზღუდულია - იქ მხოლოდ 16 წლამდე ბავშვები ცხოვრობენ. კადეტთა კორპუსი ნიკასთვის შესაფერისი ვარიანტი აღმოჩნდა. მართალია, სიბეჯითით არ გამოირჩევა, მაგრამ ნიკა მაინც გენერლობაზე ოცნებობს. კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ მას და მის მეგობრებს ეროვნულ აკადემიაში უკონკურსოდ ჩარიცხავენ.

გუშინ კადეტთა კორპუსში ჟურნალისტებთან ერთად განათლების და თავდაცვის სამინისტროების, ქალაქის ხელმძღვანელობის, საპატრიარქოს, უპატრონო ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა და ამ საკითხის განხილვა იყო დაგეგმილი. ახალი კონტინგენტის შესარჩევად უნდა ესაუბრათ ბავშვთა სახლის დირექტორებთან, თუმცა, მოწვევის მიუხედავად, დიღმის, კოჯრისა და მარტყოფის ბავშვთა სახლების დირექტორები არ გამოცხადდნენ. ფსიქოლოგი, რომელიც შარშან ბავშვების შერჩევაში იღებდა მონაწილეობას, ამბობს, რომ ბავშვთა სახლებში შეგნებულად არ ეხმაურებიან ამ წამოწყებას.

შეხვედრაზე არ გამოცხადებულან არც ქალაქისა და არც განათლების სამინისტროს წარმომადგენლები. კადეთტა კორპუსში მივიდნენ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვანთა მიღების, პროფილაქტიკისა და ორიენტაციის ცენტრის უფროსი, პოლკოვნიკი ციცო კიკალიშვილი, საპატრიარქოსა და თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის თითო თანამშრომელი. კადეთტთა კორპუსის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით, განათლების სამინისტროს გულგრილობამ გაანაწყენა. **"ჩვენი ამ ბავშვებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, განათლების სამინისტროს დახმარების გარეშე, წარმოუდგენლად მიგვაჩნია. გვჭირდება სახელმძღვანელოები, ლაბორატორიების აღჭურვა, ბოლოს და ბოლოს, ატესტატები ამ ბავშვებს განათლების სამინისტრომ არ უნდა მისცეს? არადა, ჩვენი დაწესებულება ქალაქის სკოლების ნუსხაშიც კი არაა შესული",** - აცხადებს კადეთტთა კორპუსის უფროსი ავთანდილ კუპრაშვილი.

ბატონ ავთოს კადეტთა კორპუსთან დაკავშირებით დიდი გეგმები აქვს. მომავალ სამხედროებში საბრძოლო სულის გასაღვივებლად სასწავლებელში აპირებენ, ისინი ქართული ორთაბრძოლების სახეობებში გაწვრთნან. ცნობილი მოცურავე ჰენრი კუპრაშვილი კი მზადაა, ე.წ. დელფინისებური ანუ ხელფეხშეკრული ცურვა ასწავლოს ბავშვებს; საჭიროა მხოლოდ საცურაო აუზის შეკეთება. მომზადებულია საძილე კორპუსის, კლუბის, სასადილოს, საშხაპეების პროექტებიც. კადეტთა კორპუსში ის სამთვიანი არდადეგებიც აწუხებთ, საზაფხულოდ რომ არის გამოცხადებული. კადეტთა კორპუსს აქვს საზაფხულო ბაზისთვის შესაფერისი ადგილიც - ვაზიანის ტერიტორიაზე ორჰექტარნახევარი მიწის ნაკვეთი, სადაც შესანიშნავი ბაზის აშენება შეიძლება. ზაფხულში, როგორც საპატრარქოს წარმომადგენელმა განაცხადა, ამ შვიდი ბავშვის შესაფარებლად მონასტრებიც მზად არიან.

სახელმწიფოსგან კეთილი ნება უკვე არსებობს - თავდაცვა ხომ პრეზიდენტის მიერ პრიორიტეტადაა გამოცხადებული. თუმცა, ამ კეთილ ნებას დაფინანსებაც სჭირდება. მოკლედ, თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსში მომავალი გენერლების აღსაზრდელად მზად არიან.

## კონკურსი განათლების სამინისტროში

მეოთხე დღეა, განათლების სამინისტრო საჯარო მოსამსახურეების შესარჩევ კონკურსს ატარებს. ყველაზე ხალხმრავალი კომუნიკაციის სექტორი აღმოჩნდა და სხვადასხვა სამსახურის "კომუნიკატორების" ტესტირება დღესაც გაგრძელდება.

"ასეთი ტიპის გამოცდა აუცილებელია, ნეტავ ადრეც ასე ყოფილიყო - საკუთარ თავს ცდი და რწმენა გემატება, რომ ობიექტურად შეგაფასებენ", - განაცხადა აუდიტორიიდან გამოსულმა ერთ-ერთმა მონაწილემ. მონაწილეთა დიდი ნაწილი ამავე აზრისა იყო. ზოგიერთი სამუშაოს მოცულობას უჩიოდა, - ამდენი ტესტი ერთ ჯერზე ძალიან ბევრიაო; ზოგი კი ტესტების სიმარტივეზეც საუბრობდა. პასუხებს ორი დღის შემდეგ გაიგებენ და შერჩეულები შემდეგ ეტაპს შეუყვებიან. ფინალი გასაუბრება იქნება.



*23-ე სკოლაში გუშინ გამოცდას უფროსები აბარებდნენ.*

ვახო ბესელიას ფოტო

ტესტირებამდე მსურველები ანკეტებით გაიცხრილნენ - 1400 მსურველიდან 1000 დარჩა. ანკეტები მაქსიმალური ლოიალობით გადაირჩა. თუმცა, განაცხადების ერთი ნაწილი აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა გამოცხადებულ პარამეტრებს - მაგალითად, ხარაზი, რომელმაც განაცხადა, რომ მას სამუშაო უნდა და, არა აქვს მნიშვნელობა, სად იმუშავებს. შემდეგი ეტაპი ტესტირებაა. კონკურსანტები ავსებენ ინტელექტის, ცოდნის და პიროვნული თვისებების გამოსაკვლევ ტესტებს.

გუშინდელი ტესტირების მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ, საბოლოო შედეგის მიუხედავად - მიიღებენ თუ არა მათ სამსახურში, ობიექტური შეფასების ყველა პირობა არსებობს. ამა თუ იმ სამუშაო ადგილს ყველაზე შესაფერისები დაიკავებენ.

*24 საათი*





## აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობისთვის მიეცით რჩევა საქართველოს მთავრობას

მოკლე მიმოხილვა

MCC (ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამა) არის აშშ-ს სამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნის მიზანია, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა, გაატარონ ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმები. ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სააგენტომ 75 კანდიდატი ქვეყნისაგან შეარჩია საქართველო სხვა 15 ქვეყანასთან ერთად. აღნიშნული შერჩევის შედეგად საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, მიიღოს გრანტის დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პროგრამა და მომზადებული ხელშეკრულება დააკმაყოფილებენ MCC-ს პირობებს.

ამ დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროექტების და იდეების მოძიება და რეგისტრაცია, რომლებიც შევლენ საქართველოს Millenium Challenge (ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტის მიერ MMC-თვის წარსადგენ საბოლოო საპროექტო წინადადებაში. აღნიშნული კომიტეტის წევრები არიან საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის ლიდერები, პარლამანტარები და საზოგადოების სხვა წევრები.

მრავალმხრივი და სრული საპროექტო წინადადების მომზადების მიზნით, საქართველოს Millenium Challenge(ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიმართოს დაინტერესებულ მოქალაქეებს, არასახელმწიფო ორგანიზაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, წარადგინონ ისეთი საპროექტო წანადადებები და რჩევები, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის მიზნებს. წარდგენილი საპროექტო წინადადების შინაარსი არ შემოიფარგლება კონკრეტული სფეროთი ან დარგით.

საქართველოს Millenium Challenge კომიტეტი განიხილავს წარდგენილ რჩევებს და წინადადებებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გრძელვადიანი და გაზომვადი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე;
- პროექტი ხასიათდება მრავალმხრივი პოზიტიური ეკონომიკური ეფექტით (გავლენას ახდენს ეკონომიკის რამდენიმე სფეროს ზრდაზე ან ზრდის ხელშემწყობ ფაქტორებზე);
- რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება? (პასუხში მიუთითეთ, თუ როგორ გავლენას მოახდენს წარდგენილი პროექტი ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიბის დაძლევაზე);
- მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება კონკრეტული რეგიონის განვითარებაზე გავლენას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ, თუ როგორ გავლენას მოელით.
- პროექტის განხორციელების გარდა, რა დამატებითი ხელშემწყობი ინიციატივებია საჭირო, რომ პროექტის შედეგმა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა?
- აღწერეთ პროექტის დამოკიდებულება სხვა პროექტებთან ან ინიციატივებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება ან ეფექტი დამოკიდებულია სხვა პროექტების განხორციელებაზე, მიუთითეთ ეს პროექტები და მათი თანმიმდევრობა.

წარმატების შემთხვევაში სახელმწიფო გეგმავს თანხების ინვესტირებას ეკონომიკური განვითარებისთვის შემდეგ სფეროებში:

- სახელმწიფო მართვის ოპტიმიზაცია;
- საინვესტიციო ფონდების შექმნა რეგიონებში;
- ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, წყალი, სხვა);
- ენერგეტიკა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რჩევა, თუ რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ამ სფეროებში ფულის ინვესტირება ან შემოგვთავაზოთ თქვენი კონკრეტული იდეა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისაკენ.

გთხოვთ, მოგვაწოდეთ მოკლე დემოგრაფიული ინფორმაცია თქვენს შესახებ:

საცხოვრებელი რეგიონი ____________

რომელ სექტორს მიეკუთვნებით?
--- კერძო
--- სამთავრობო
--- არც ერთი

საქმიანობის სფერო (გთხოვთ მიუთითოდ ორგანიზაციის სახელწოდება):

____________

____________

სახელი გვარი ________ ________

ასაკი ________

(შესაძლოა ანონიმური პასუხები და რჩევები)

საპროექტო წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით:

**ვებ-გვერდი:** www.mcg.ge

**მისამართი:** ჯი-ემ-თი პლაზა, თავისუფლების მოედანი, 4.
გთხოვთ, მოათავსოთ თქვენი მოსაზრებანი შესაბამის ყუთში, რომელიც განლაგებულია შენობის პირველ სართულზე.

**ტელ:** (995 32) 92 38 69

**ფაქსი:** (995 32) 92 14 80

**ელ.ფოსტა**: info@mcg.ge

პროექტების და რჩევების წარდგენის საბოლოო ვადაა 15/07/04 17:00

# აჭარის ყოფილი შს მინისტრი თავს დამნაშავედ არ ცნობს

"თავს დამნაშავედ არ ვცნობ, კანონის შესაბამისად ვიბრძოლებ ბოლომდე და ჩემს უდანაშაულობას დავამტკიცებ," - აცხადებს სამი დღის წინ დაკავებული, აჭარის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, ასლან აბაშიძის დეიდაშვილი ილია წულუკიძე. მას გუშინ უზენაესმა სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

გენერალ-მაიორ ილია წულუკიძეს სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ქრთამის აღების ბრალდებები აქვს წარდგენილი. გამოძიების მასალებით, ილია წულუკიძემ სატრანზიტო ნომრების გაცემის სამსახურის თანამშრომელს თემურ რცხილაიშვილს მორაგბეთა კლუბ "დათვების" "საზღვაო ბანკში" არსებული ანგარიშის ნომერი გადასცა და ქრთამის სახით 45 ათასი ლარის შეტანა მოსთხოვა. აღნიშნული თანხა წულუკიძემ კლუბ "დათვების" მეშვეობით განკარგა. უკვე პატიმარი ილია წულუკიძე და მისი ინტერესების დამცველი ირწმუნებიან, რომ აჭარის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი სამართალდამცველებმა აბსურდული ბრალდებით დააკავეს და განმარტავენ, რომ თემურ რცხილაიშვილი წარსულში მასზე დაქვემდებარებული პირი იყო, რომლის გაღიზიანების მიზეზი მის მიერ თავის დროზე სატრანზიტო ნომრების გაცემის სამსახურის გაუქმება გახდა.



*გენერალ-მაიორ ილია წულუკიძეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ქრთამის აღების ბრალდებები აქვს წარდგენილი.*

შეგახსენებთ, ასლან აბაშიძის დეიდაშვილი ილია წულუკიძე აჭარის რაგბის კავშირის პრეზიდენტი და ავტონომიური რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელიც გახლდათ. ავტონომიის ლიდერმა ის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან ვარდების რევოლუციის პერიოდში გაათავისუფლა, ჯემალ გოგიტიძემ ილია წულუკიძის სავარძელი მას შემდეგ დაიკავა, რაც მეთაურის დეიდაშვილი ცენტრალური ხელისუფლების პოზიციაზე გადავიდა. ბრალდებული ილია წულუკიძე მის მიმართ პოლიტიკურ დევნას გამორიცხავს და აცხადებს, რომ მისი დაპატიმრებით აჭარაში გარკვეული პირები არიან დაინტერესებულნი. ამ პირთა ჯგუფის დასახელებისგან კი თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და ქრთამის აღებაში ბრალდებული ყოფილი მაღალჩინოსანი, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

*24 საათი*

# "ჯორჯიან თაიმსი" და თბილისის პროკურორი ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ

*გუშინ ფინანსური პოლიციის რამდენიმე წარმომადგენელი მთელი დღის მანძილზე ამოწმებდა გაზეთ "ჯორჯიან თაიმსის" ფინანსურ დოკუმენტაციას, თუმცა, გაზეთის რედაქციის წარმომადგენელთა თქმით, თავდაპირველად ისინი მხოლოდ მათი სასაწყობო მეურნეობით დაინტერესდნენ.*

სოფიკო ჩხაიძე

ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები გაზეთ "ჯორჯიან თაიმსის" ოფისში გუშინ ცხრა საათის მანძილზე იმყოფებოდნენ და, "სასაწყობო მეურნეობის" გარდა, რომელიც, გაზეთის ერთ-ერთი დამფუძნებლის ნანა გაგუას თქმით, სინამდვილეში ერთი პატარა საკუჭნაოა, სადაც ძველი გაზეთები და ორიოდე, მწყობრიდან გამოსული კომპიუტერის მონიტორი ინახება, გაზეთის მთელი ფინანსური დოკუმენტაციაც დაათვალიერეს.

**"ფინანსური პოლიციის რვა წარმომადგენელი დილიდანვე მოვიდა ოფისში. ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობა მათთან შესული ოპერატიული ინფორმაციით ახსნეს და, ძირითადად, დაინტერესება ჩვენი სასაწყობო მეურნეობის მიმართ გამოიჩინეს, თუმცა კი, მთელი დოკუმენტაცია გადაქექეს, რაც, დამერწმუნეთ, მეტად შრომატევადი საქმეა - დოკუმენტები უამრავია,"** - თქვა ნანა გაგუამ.

ჩვენი ინფორმაციით, პოლიციის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამსახურის ოქმი, რომელიც ფინანსური დარღვევების შესწავლის მიზნით, პოლიციას ოფისის დოკუმენტაციის შემოწმების ნებას აძლევს.

თავად ფინანსური პოლიციიდან, "ჯორჯიან თაიმსის" შემოწმებასთან დაკავშირებით, გუშინ ერთადერთი კომენტარი გაკეთდა: **"ჩვენ ვამოწმებთ გაზეთის ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას, გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომ არის გარკვეული დარღვევები და ვალდებულნი ვართ, შევამოწმოთ."**

სამაგიეროდ, ბევრი აქვთ სათქმელი თავად "ჯორჯიან თაიმსის" თანამშრომლებს. კერძოდ, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ფინანსური პოლიცია მათთან თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა შეაგზავნა.

**"ვალერი გრიგალაშვილი ჩვენს ჟურნალისტს გაზეთის დახურვით ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაემუქრა,"** - ამბობს ნანა გაგუა.

გაზეთის თანამშრომელთა თქმით, დედაქალაქის პროკურორის აღშფოთება გამოიწვია გაზეთში დაბეჭდილმა წერილმა, რომელშიც მისი ქონების წარმომავლობაზეა საუბარი. მეტიც, ეს სტატია გაზეთის დღევანდელ ნომერში უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა გუშინ ფინანსური პოლიციის ცხრასაათიანმა შემოწმებამ გაზეთის გამოშვება სათუო გახადა.

**"იმას, რომ ფინანსური პოლიციის მიერ ჩვენი შემოწმების გადაწყვეტილების მიღებაში ვალერი გრიგალაშვილის ხელი ურევია, ის სატელეფონო საუბარიც მოწმობს, რომელსაც ჟურნალისტები შეესწრნენ - ფინანსური პოლიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დაურეკა ვალერი გრიგალაშვილს და უთხრა, რომ 5 საათზე მათ ხელთ ექნებოდათ მისთვის სასურველი დოკუმენტი"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ნანა გაგუამ. მისივე თქმით, ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა გაზეთის ოფისი საღამოს 7 საათზე დატოვეს და თან მთელი ფინანსური დოკუმენტაცია წაიღეს.

**"განხორციელებული შემოწმება ჟურნალისტთა დატერორების და გაზეთზე ზეწოლის მცდელობაა"**, - აცხადებენ "ჯორჯიან თაიმსის" თანამშრომლები და აპირებენ საპროტესტო განცხადებით გენერალურ პროკურორს მიმართონ.

"ჯორჯიან თაიმსის" თანამშრომლების მიერ წაყენებულ ბრალდებებს ცილისწამებად მიიჩნევს თბილისის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი და არ გამორიცხავს, რომ ამის გამო სარჩელიც შეიტანოს სასამართლოში. მას გაზეთთან სხვა პრეტენზიებიც გააჩნია.

**"ფინანსური პოლიცია თბილისის პროკურატურას არ ექვემდებარება, შესაბამისად, ამ უწყებაზე ზემოქმედების არავითარი ბერკეტი არ მაქვს. სამაგიეროდ, მე მექვემდებარება საგამოძიებო ნაწილი, რომელსაც ვთხოვ დაინტერესდეს "ჯორჯიან თაიმსის" მიერ სხვადასხვა დაწესებულებებთან დადებული ხელშეკრულებებით,** - ამბობს თბილისის პროკურორი, - **მე ხელთ მაქვს ერთი ასეთი ხელშეკრულება, რომლის გაფორმებაც მათ ჩემს წინამორბედს შესთავაზეს. ეს ხელშეკრულება გულისხმობდა ქალაქის პროკურატურის მიერ "ჯორჯიან თაიმსის" 500 ეგზემპლარის მთელი წლით გამოწერას, რაც ქალაქის პროკურატურას 13 ათასი ლარი დაუჯდებოდა. ეს ნიშნავს, რომ ხალხი უხელფასოდ უნდა დამეტოვებინა და, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. სწორედ აქედან დაიწყო "ჯორჯიან თაიმსის" ერთგვარი შურისძიება. არაერთხელ სცადეს, ჩემთვის შანტაჟი მოეწყოთ და ახლაც იგივეს აკეთებენ. ასეთი ხელშეკრულება კი "ჯორჯიან თაიმსს" სხვადასხვა დაწესებულებებთან აქვს დადებული. რა დგას ამის უკან, რა პირობებზე იდებოდა ასეთი ხელშეკრულებები ისეთ ოდიოზურ პიროვნებებთან, როგორიც, ვთქვათ, კაკო ჩხაიძეა - სწორედ ამის გარკვევას დავავალებ საგამოძიებო ნაწილს და, დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, სისხლის სამართლის საქმეც აღიძრას."**


## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტი "ილია ჭავჭავაძე"

### აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის განხორციელებაში დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

**ადმინისტრაციული თანაშემწე**

**ძირითადი მოვალეობები:**

- კორესპონდენციის წარმართვა (მისი რეგისტრაცია და გავრცელება პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის ინსტრუქციების თანახმად, მისი ფაილებად ორგანიზება);
- დოკუმენტების სისტემატიზაცია, მათი ფაილებად ორგანიზება და არქივში შესანახად მომზადება;
- კორესპონდენციის თარგმნა ქართულიდან ინგლისურად და პირიქით, საჭიროების შემთხვევაში ზეპირი თარგმანის უზრუნველყოფა.
- ყოველდღიური კორესპონდენციის წარმოება და კონტროლი; დირექტორის ინსტრუქციების მითითებულ ვადებში შესრულებაზე კონტროლი;
- სატელეფონო კავშირის ორგანიზება, ზარების და ფაქსების მიღება;
- პროექტთან დაკავშირებული შეხვედრების დაგეგმვა, სემინარების და კონფერენციების დაგეგმვა, სემინარების და კონფერენციების მოწყობა;
- შეხვედრების, სემინარების და კონფერენციების ოქმების მომზადება, მასალების და დოკუმენტების ასლების გავრცელება დირექტორის ინსტრუქციების თანახმად;
- ოფიციალური შეხვედრების ჩატარებაში დახმარების გაწევა;
- დირექტორის ინსტრუქციების მიხედვით სხვა ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება;
- ქართული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა;
- საერთაშორისო ორგანიზაციაში ანალოგიური ხასიათის საქმიანობის გამოცდილება, მინიმუმ 3 წელი;
- კომუნიკაბელურობა;
- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის კარგი უნარი;
- გუნდური პრინციპით მუშაობის უნარი;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება და უნარ-ჩვევები.

**აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.**

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ლია მეტრეველი**

წარსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 23 ივლისი.**

**შენიშვნა:**
საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:
ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.


# "ლეიბორისტები" კანონს არღვევენ და საკუთარ ქონებას იცავენ

*გუშინდელი დღე "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" ოფისში საქმიანად და საპატიო სტუმრის, აშშ-ს სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში რიჩარდ მაილსის მიღებით დაიწყო. თუმცა, მოგვიანებით განწყობა პარტიის წევრებს და მათ ლიდერს შალვა ნათელაშვილს ოფისში მისულმა აღმასრულებლებმა წაუხდინეს.*

თამარ კაციტაძე

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიურო "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" ოფისში პარტიის კუთვნილი მოძრავი ინვენტარის დასაყადაღებლად შევიდა, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება გაურკვეველი ვადით გადაიდო.

როგორც იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, "ლეიბორისტული პარტიის" კუთვნილი ქონების დაყადაღება პარტიის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის საფუძველზე უნდა მომხდარიყო, რადგან მათ თავის დროზე ნებაყოფლობით არ გადაიხადეს სასამართლოს მიერ გამოტანილი 14 გადაწყვეტილებით დაკისრებული 3450 ლარი.

თავად "ლეიბორისტების" ინფორმაციით, სახელმწიფო ბაჟის გადახდა მათ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი იმ სარჩელის საფუძველზე დაეკისრათ, რომლითაც ლეიბორისტები ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ხელახლა გადათვლას ითხოვდნენ. მაშინ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რის გამოც, კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოსარჩელე მხარეს - "ლეიბორისტულ პარტიას" დაეკისრა.

"ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი აღნიშნულ ფაქტს პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს და აცხადებს, რომ ეს არის არა დაყადაღება, არამედ ხელისუფლების ბრძოლა მათი პარტიის წინააღმდეგ.

შესაძლებელია, სწორედ, აღნიშნული მოსაზრების გამო "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" წევრებმა კანონის აღმსრულებლებს დაკისრებული მისიის შესრულების უფლება არ მისცეს და ფიზიკური წინააღმდეგობით ამ ეტაპზე საკუთარი ინვენტარის დაცვაც შეძლეს.

**"სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ხელის შეშლა სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება. "ლეიბორისტების" ოფისში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით მასალები პროკურატურას გადაეგზავნება და შესაბამისი რეაგირებაც მიეცემა,"** - განაცხადა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თეიმურაზ გოგიტიძემ.

დეპარტამენტის ხელმძღვანელობის განცხადებით, სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის გადახდის შესახებ პარტიის წევრებთან მოლაპარაკება რამდენიმე თვის წინ შედგა და შეთანხმდნენ, რომ ისინი დასახელებულ თანხას რამდენიმე თვის განმავლობაში გადაიხდიდნენ, რაც არ შეასრულეს. გუშინ კი აღმასრულებლებმა პარტიის ოფისში სააღსრულებო უწყება ჩააბარეს და მოსალოდნელი ყადაღის შესახებ გააფრთხილეს.

**"უწყისის ჩაბარება "ლეიბორისტების" მხრიდან არავის გაუპროტესტებია, მაგრამ როგორც მივხვდით, ეს იყო დაგეგმილი პროვოკაცია. ოფისში შეიარაღებული ხალხიც გამოჩნდა. ამიტომ, ჩვენ სიტუაციის გამწვავებას მოვერიდეთ და ამ ეტაპზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება გადავდეთ"**, - თქვა სააღსრულებო დეპარტამენტის თავჯდომარის პირველმა მოადგილემ სტეფან თუმანიშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, აღმასრულებლები ამ ეტაპზე "ლეიბორისტებისთვის" ინვენტარის ჩამორთმევას არ გეგმავდნენ. მათი მიზანი ყოფილა აღეწერათ პარტიის კუთვნილი მოძრავი ქონება, რომ მის წევრებს განკარგვის საშუალება არ ჰქონოდათ. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის საშუალება არ მიეცათ.

**"გუშინდელი ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ აღსრულება არ მოხდება"**, - განაცხადეს აღმასრულებლებმა, რომლებიც "ლეიბორისტების" ოფისში შემდგომი ვიზიტის ზუსტ თარიღს არ აკონკრეტებენ, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ შესაძლებელია, მომავალში იძულებითი აღსრულების წესი გამოიყენონ.

# ასლან აბაშიძის ქონება დაყადაღებულია

აჭარის პროკურატურა უკვე კარგა ხანია სწავლობს რეგიონის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძისა და მისი ოჯახის კუთვნილი ქონების კანონიერად შეძენა-არშეძენის საკითხს. მართალია, გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის, თუმცა, რომ არ შეიქმნას იმის საშიშროება, რომ გამოძიების პროცესში აბაშიძეების კუთვნილი ქონება გასხვისდეს, ანუ სხვებზე გადაფორმდეს, აჭარის პროკურატურა გამოსავალს პოულობს და გამოძიების დასრულებამდე აბაშიძეების ქონების ნაწილის დაყადაღებას ითხოვს.

აჭარის ყოფილი მთაურის და მისი ოჯახის კუთვნილი ქონების ნაწილი უკვე დაყადაღებულია. ბათუმის საქალაქო სასამართლომ გუშინ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და აბაშიძეების კუთვნილი ქონების დაყადაღების გადაწყვეტილება გამოიტანა. სასამართლოს გადაწყვეტილება აღმასრულებლებმა გუშინვე სისრულეში მოიყვანეს. დაყადაღებული ქონების საერთო ღირებულება, საბოლოო ჯამში, 60 მილიონ ლარს შეადგენს.

აჭარის პროკურატურის მოთხოვნისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს საბოლოო ვერდიქტით ყადაღა დაედო აბაშიძეების კუთვნილ ორ საცხოვრებელ სახლს დაბა მახინჯაურში, მისი ნაკვეთებითა და შემოზომილი ტერიტორიებით. დაყადაღდა აბაშიძეების ოთხსართულიანი სახლი, რომელიც, როგორც აჭარის პროკურატურაში აცხადებენ, აბაშიძეებს უკვე გაყიდული აქვთ და შპს "ორიენტ ტერმინალის" ბაზაზე ირიცხება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, აბაშიძეების დასაყადაღებელი ქონების ნუსხაში მოხვდა 15 შპს, მათ შორის, ასლან აბაშიძის მიერ დაარსებული კომპანიები "აღორძინება-M", "აღორძინება-N", "პლანეტა-4", "ბათუმი", "ტერმინალი", ჩოგბურთის კლუბი "ბათუმი". დაყადაღებულია ასევე სავაჭრო და დასასვენებელი კომპლექსი "რივიერა", და ბათუმის ნავთობტერმინალი. როგორც აჭარის პროკურატურაში განგვიცხადეს, ეს ის ობიექტებია, რომლის ასპროცენტიანი წილი ასლან აბაშიძეს და მის ქალვაჟს ეკუთვნის.

**"გამოძიება მიმდინარეობს, შესაძლოა, ამ პროცესში კიდევ უფრო გაიზარდოს ყოფილი მეთაურის დასაყადაღებელი ქონების ნუსხა და, შესაბამისად, ქონების საერთო ღირებულებამაც მნიშვნელოვნად მოიმატოს"**, - აცხადებს აჭარის ახალი პროკურორი გიორგი პაპუაშვილი.

*24 საათი*

# საკუთარ სახლში მკვდარი დედა-შვილი იპოვეს

გუშინ თბილისში, კანდელაკის ქუჩა №14-ში, საკუთარ სახლში სამართალდამცველებმა 84 წლის და 44 წლის დედა-შვილის ტატიანა და როზა მატალცევების გვამები აღმოაჩინეს. დედა-შვილი აღნიშნულ მისამართზე საცხოვრებლად ახალი გადასულები იყვნენ და მეზობლები არ იცნობდნენ. აქედან გამომდინარე, მათი გარდაცვალების ზუსტი დრო ამ ეტაპზე ცნობილი არ არის. თუმცა, როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორი ბორის მჭედლიძე ვარაუდობს, ისინი დაახლოებით ორი დღის წინ უნდა გარდაცვლილიყვნენ. ამ ეტაპზე ზუსტად არც გარდაცვალების მიზეზია ცნობილი. გამოძიებამ უკვე დანიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის შემდეგაც ნათელი მოეფინება იმ მიზეზს, რამაც დედა-შვილის სიკვდილი გამოიწვია.

პოვნის მომენტში გვამების მდგომარეობის გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა სხეულებზე მიყენებული დაზიანებების დაფიქსირება.

"შვილ მატალცევას თავის არეში შეენიშნება სისხლნაჟღენთები, დედას კი, რომელიც ლოგინად იყო ჩავარდნილი, შეკრული ჰქონდა ხელები. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს არ არის დაზიანებების სრული სურათი. არ არის გამორიცხული, რომ ისინი გაგუდულები იყვნენ", - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა.

მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის და ყაჩაღობის მუხლებით არის აღძრული. ამ უკანასკნელს გამოძიება იმიტომ ვარაუდობს, რომ სახლში ფული საერთოდ არ არის ნაპოვნი. არადა, დედა-შვილს ცოტა ხნის წინ გაგარინის ქუჩაზე სახლი გაუყიდიათ.

"ამჟამად გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს და იმედი გვაქვს, რომ მკვლელობის გახსნას შევძლებთ", - ამბობს ბორის მჭედლიძე.

# ერთი ანტიეროვნული გამოხტომის გამო

როლანდ თოფჩიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი



ვახო ბასილიას ფოტო

დაშვებული შეცდომების გამოსწორება გაცილებით რთული აღმოჩნდა. საქართველოს ხელახლა უწევს ზურგშექცეული მოქალაქეების შემორიგება.

ქართველები სამართლიანად ვამაყობთ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულით, ქართული ეთნიკური კულტურით. ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების პერიოდში მსოფლიოს ეთნიკური რუკა სრულიად სხვაგვარი იყო. მაშინდელ ეთნიკურ რუკას (და პოლიტიკურსაც) დღევანდელს თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ძველი ხალხებიდან მხოლოდ თითო-ოროლამ მოაღწია ჩვენამდე. ქართველებიც მათ შორის ვართ. ადრეულ შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით IV ს-დან IX ს-მდე, ბევრი ახალი ეთნოსი წარმოიქმნა. ახალი ნაციების წარმოქმნა მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური) და ამ პროცესებში განსაკუთრებული როლი ხალხთა გადასახლებებმა შეასრულა. მიგრირებული ხალხები ერთმანეთს ერეოდნენ, ძველი ნაციები (ეთნიკური ერთეულები) ქრებოდნენ და ახლები წარმოიქმნებოდნენ.

არაერთი გადაშენებული ეთნოსის ენობრივი რაობის შესახებ არაფერი ვიცით. ისტორიის ანალებმა მხოლოდ ეთნონიმები (ხალხთა სახელწოდებანი) შემოგვინახა. როდესაც ამას ვწერ, ძირითადად ევროპა, ხმელთაშუაზღვისპირეთი, წინა აზია და საქართველოს მიმდებარე ტერიტორიები მაქვს მხედველობაში. ახალმა ნაციებმა კი დიდი ნახტომი გააკეთეს მსოფლიოს კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებაში. ახალ ეპოქაში ამერიკის კონტინენტზე ახალი ნაციების წარმოქმნაც შეიძლება გავიხსენოთ. ეს ერები არა მხოლოდ სხვადასხვა ეთნიკური ერთეულის, არამედ სხვადასხვა რასის შერევის შედეგადაც წარმოიქმნენ.

ქართველი ხალხის გადარჩენა მიზეზთა ერთობლიობამ განაპირობა. ამჯერად ამ საკითხზე მსჯელობა საჭირო არაა.

ყოველივე ამის გახსენება იმიტომ დამჭირდა, რომ, ამას წინათ, საქართველოს პარლამენტში ერთ-ერთმა ქართველმა პარლამენტარმა სამარცხვინო, ამაზრზენი, უეჭველად ფაშისტური შეკითხვა დასვა: "მინდა მთავრობის ყველა წევრს ... დავუსვა შეკითხვა მათი მშობლების ეთნიკური წარმოშობისა და რელიგიური მრწამსის შესახებ".

პირდაპირ უნდა ვთქვათ: ერთ პარლამენტარსაც კი ფაშისტური აზროვნება რომ აქვს, ეს ამაზრზენი, შემაძრწუნებელი ამბავია. მთელმა საზოგადოებამ ამის შესახებ განგაში უნდა ატეხოს, რათა მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს. შემაძრწუნებელი კიდევ სხვა რამაა. პარლამენტარი უთუოდ ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის, წრის შეხედულებებს გამოხატავს. სხვათა შორის, ნაციებისა და ნაციონალიზმის საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომებში პარლამენტს იმ სოციალურ ინსტიტუტებს შორის მოიხსენიებენ (მასაობრივ ლიტერატურასთან, სასამართლოსთან, სკოლასთან, მედიასთან ერთად), რომლებიც ნაციონალურ იდენტურობას ქმნიან, შემოინახავენ და მომავალ თაობას გადასცემენ.

მე ამ პარლამენტარსა და მის მსგავსად მოაზროვნე ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მინდა შევახსენო, რომ ქართული ეთნოსი, ქართველი ერი ერთი გენეტიკური ერთობლიობის განვითარების შედეგად არაა ჩამოყალიბებული. მსგავსად სხვადასხვა ევროპული ნაციისა, ჩვენც მთელი ისტორიის მანძილზე ჩვენს რიგებში სხვა ეთნოსთა წარმომადგენლებსაც განუსაზღვრელად ვილებდით. ის კი არა, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, საქართველოს ისტორიულ მხარეებსაც არ მოუღწევიათ თავიანთი პირველყოფილი სიწმინდით. ჩვენს გვერდით თითქმის მუდმივად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნოსის მატარებელნი. ისტორიამ, ბედმა გვარგუნა, ტოლერანტი, შემწყნარებელი ერი ვყოფილიყავით. ქართველთა წინაპრები არასოდეს არავის თავის ეთნიკურობით თავს არ ამეტებდნენ. ასეთი რამ ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის უცხო იყო. საიდან გაჩნდა, როდის გაჩნდა ასეთი შეხედულებები, ამას ჩაძიება, გამოკვლევა ესაჭიროება. პირდაპირ ვიტყვი: ასეთი გაუკულმართებული აზროვნება შედეგია უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდის ზოგიერთი ლიდერის აზროვნებისა. სამწუხაროდ, ასეთ აზროვნებას ხელი ქართულმა პრესამ, რადიომ, ტელევიზიამაც შეუწყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მსგავს გამონათქვამებს ქართველ მწერალთა გაზეთში ვკითხულობდით, რაც ქართული ერთიანი ორგანიზმის დაშლისაკენ მიზანმიმართული მცდელობა იყო. მაშინდელი ხელისუფლება კი დუმდა და თავისი დუმილით ჩვეულებრივ ფაშისტურ აზროვნებას ხელს უწყობდა, ოღონდ კი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები როგორმე ჩაეძირა.

ჩვენი ეროვნული რელიგია - მართლმადიდებლობა, არ ასხვავებს ხალხებს ერთმანეთისაგან, არ თესავს სიძულვილს სხვა რელიგიებისა და კონფესიების მიმართ. საქართველოს ისტორიამ არ იცის არც ერთი ფაქტი სხვა ეთნიკური ჯგუფების დევნისა, შევიწროვებისა, სიძულვილისა, ხალხთა ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის მიხედვით დაყოფისა.

ზემოთ ქართველი ხალხის გადარჩენის მიზეზთა კომპლექსი ვახსენეთ და ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანი ჩვენი სხვა ეთნოსებისადმი და რელიგია-კონფესიებისადმი დამოკიდებულებაც იყო. გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოსადმი არაერთი სხვა ხალხი იჩენდა ინტერესს. მტრად მოსულებიც მოყვრად მიგვიღია და საცხოვრებელ-სამკვიდრებელი მიგვიცია. საქართველო თითქმის ყოველთვის პოლიეთნიკური ქვეყანა იყო. ვინ არ მოდიოდა და არ ცხოვრობდა ჩვენს გვერდით: ძველი ბერძნები, სპარსელები (ირანელები), ებრაელები, არაბები, თურქები, სომხები, ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები (ვაინახები, ოსები...), რუსები, გერმანელები, პოლონელები... მაგრამ სხვადასხვა ხალხთან ცხოვრების ქრისტიანული მორალი ქართველებს არასოდეს დაურღვევიათ. "ვეფხისტყაოსანიც" ხომ ხალხთა მეგობრობის აპოლოგიაა. ჩვენს ქვეყანაში მოსულებს, ყველას ეძლეოდა შესაძლებლობა ქართულ კულტურულ-ისტორიულ სამყაროში შესვლისა, ქართული კულტურის, ენის, ლიტერატურის ზიარებისა.

მთელი კატეგორიულობით შეიძლება ითქვას, რომ ძველ საქართველოში ეთნიკური, რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები დღევანდელი დასავლური სტანდარტების დონეზე იდგა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველ მემატიანეს არ რცხვენოდა და არ მალავდა იმას, რომ ერთ-ერთი დიდი ქართველი მეფე მირიანი, ვინც ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ქართველთა დასავლური ორიენტაცია განსაზღვრა, ეთნიკურად სპარსი იყო. პირიქით, მემატიანეს ემაყებოდა, რომ ის, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, ქართველად იქცა, რომ მან ქართველები შეიყვარა, ქართული ენა ისწავლა და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს იცავდა. ისტორიკოსი წერს, რომ ქასრე სასანიანმა "მისცა ქართველთა მეფედ ძე მისი და დასუა მცხეთას". "და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შვიდთა მათ კერპთასა და ცეცხლისა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ქართული". აკად. ნ. ბერძენიშვილი ამ ფაქტის შესახებ აღნიშნავდა, რომ ქრისტიანობამდელი ხანის ქართველი იყო გამოკვეთილი ეროვნულ-კულტურული მთლიანობა. "აქედან - ქართველი, ამ კულტურის მატარებელი ადამიანი. ამრიგად, უცხო, არაქართველი ჩამომავლობის ადამიანი შეიძლებოდა გამხდარიყო ქართველი. ასეთი იყო მირიან".

საქართველოს ისტორიაში მირიანის მსგავსი არა ერთი და ორი, არამედ მრავალი იყო. უცხო ეთნოსები (ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად) ქართული ეთნიკური სამყაროს რიგებს ავსებდნენ, ქართველდებოდნენ და ამისათვის მათ არავინ კილავდა, მათ შთამომავლებს არავინ გამოარჩევდა. პირიქით, ეს ჩვენი კულტურის სიძლიერის მიმანიშნებელი იყო. ჩვენი მეზობელი ალბანელების დიდი ნაწილი გათურქდა, ნაწილი გასომხდა (ყარაბაღში) და ნაწილი გაქართველდა კიდეც. მათ ვერ შეძლეს ქვეყანაში მისული სხვა ეთნოსების ასიმილირება, პირიქით, ისინი სხვებში გაითქვიფნენ. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ჩვენც, ქართველებს, მათი ბედი გაგვეზიარებინა. არ გავიზიარეთ იმიტომაც, რომ ჩვენი წინაპრები მოსულ უცხო ეთნოსებს არ უპირისპირდებოდნენ, მათ მტრად არ იხდიდნენ, პირიქით, ქართულ ეროვნულ ორგანიზმში ჩაწერის საშუალებას აძლევდნენ. ვიმეორებ, ჩვენი ეთნოსის გადარჩენის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

ალბათ, არც ერთი ქართველი არ დაფიქრდება იმაზე, რომ აბო ტფილელი ქართველი არ იყო. დიახ, ეთნიკურად არაბი ქართველად, ეროვნულ გმირად, მისაბაძ მაგალითად იქცა. "ჰაბო ისმაიტელყოფილი ქართველი" (სხვა ეთნოსის წარმომადგენელი ქრისტიანობის მიღებისთანავე ქართველად ითვლებოდა). საქართველოს ისტორიის მანძილზე ასე ისრუტავდა ქართველი ერი სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულს. ქართველ ხალხში სხვათა ინტეგრაცია მუდმივი მოვლენა, პროცესი იყო. ბაგრატიონები უმეტესად სხვა ქვეყნების სამეფო დინასტიის წარმომადგენლებზე ქორწინდებოდნენ. რა, ისინი ქართველები არ იყვნენ და ქართულ სახელმწიფოებრიობას, კულტურას არ ემსახურებოდნენ? დავით აღმაშენებლის მიერ შემოყვანილ ყივჩაღთა ნაწილი საქართველოდან გავიდა, ნაწილი კი ქართველ ხალხს შეერია. დავდგეთ ახლა და ვარჩიოთ, ვინაა თურქ-ყივჩაღთა შთამომავალი დღევანდელ ქართველ ხალხში?

შუა საუკუნეების საქართველოში არა მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოების ადამიანი ითვლებოდა ქართველად, არამედ ყველა, ვინც ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრობდა და ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა. ასეთი მაგალითების მოყვანითაც შორს არ წავალთ. მხარგრძელები (ერთი მართლმადიდებელი და მეორე - მონოფიზიტი) შეიძლება გავიხსენოთ. წარმოშობით ქურთები ქართველად გაიაზრებოდნენ, იმიტომ, რომ ამ ქვეყნის, საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს იცავდნენ. მხარგრძელთა შთამომავლები შემდეგ სხვა ქართულ თავადურ გვარსახელს ატარებდნენ. რა, ვკრათ ხელი ახლა მათ შთამომავლებს და წარმოშობით არაქართველი ვეძახოთ?

ქართველ ხალხში არაერთი ჩრდილოეთ კავკასიელი შემოდიოდა. მიგრაცია ხან ინდივიდუალური, ხანაც ჯგუფური იყო (ეს მიგრაციული პროცესები მუდმივი იყო და - არც ცალმხრივი. ქართველებიც გადადიოდნენ იქით და ამ ეთნოსთა წევრნი ხდებოდნენ). ახლა დავიწყოთ გარჩევა, ვინ ადიღელის, ოსის, ვაინახის (ჩეჩენის, ინგუშის) და ვინ დაღესტნელის შთამომავალია? ქართულ სოფელში დასახლებული და ქრისტიანობამიღებული ოსი ქართველისათვის უკვე ქართველი იყო. აბა, გვენახა შიდა ქართლში, რამდენი შერეული ქართულ-ოსური ოჯახი არსებობდა. უკანასკნელი წლების გაუგებრობამ, გარედან თავს მოხვეულმა ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა კი შერეული ოჯახების რაოდენობა შეამცირა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ეთნიკური ოსები, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს სასარგებლოდ, ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოგვეყენებინა (და ამისათვის უმეტესობა მზადაც იყო), ჩვენ მათ ხელი ვკარით (ჩვენ კი არა, ბანდებმა), ლტოლვილებად ვაქციეთ. ისე, სხვათა შორის, ბევრი მათგანისთვის დედაენა უკვე ქართული იყო. ნიშანდობლივია ერთი ხუბაშვილის ჩემთან პირად საუბარში ნათქვამი: რა ვიცი, აქამდე ისეთივე ქართველი მეგონა თავი, როგორი ქართველებიც მეგრელები არიანო.

საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, თითქმის ყოველთვის იყო მაჰმადიანი მოსახლეობა, ებრაელები, სომხები (და მათ შორის ბევრი იყო გრიგორიანული აღმსარებლობის ქართველი). ბევრისთვის მშობლიური, სახელმწიფო ენა ქართული იყო (იმიტომ, რომ ქართული სახელმწიფოს მოქალაქეებად გაიცნობიერებდნენ თავს).

ცნობილია, თუ რაოდენ შემწყნარებელი იყო საქართველოს დიდი მეფე დავით აღმაშენებელი. მუსლიმების (ელის თათრების) შემოსახლებას მოჰყვა ქვემო ქართლსა და კახეთში შაჰ-აბასის შემოსევა. მართალია, მოსახლეობის ამ ნაწილის ქართულ კულტურულ-ისტორიულ გარემოში (ქართულ ეთნოსში) შესვლა-ინტეგრაცია არ ყოფილა, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მცხოვრები თურქმენული ტომები აქტიურნი და ერთგული წევრნი იყვნენ ქართული სახელმწიფოსი, ერთგულნი ბაგრატიონთა დინასტიისა. ისინი ისევე იცავდნენ ქვეყანას მომხდური მტრისაგან, როგორც ქართველები. ქვემო ქართლის, ბორჩალოს თათრები საქართველოს მეფის ერთგული ყმები იყვნენ. თეიმურაზ ბაგრატიონს ასეთი ცნობა აქვს მათ შესახებ მოყვანილი: "ჟამსა ამას (1755 წელს - რ.თ.) აიყარნენ ბორჩალოელნიცა და დასახლდნენ ყარასუსა ზედა ერევანს. მაშინ მეფემან ირაკლიმ შეიყარა მხედრობა, მოვიდა ერევანს და აჰყარა იგინი და გადმოასახლა ბორჩალოდვე". იქნებ ვინმემ თქვას, მეფე ერეკლემ არაქართული საქმე გააკეთაო. არამც და არამც! ბორჩალოელნი, როგორც აღვნიშნე, საქართველოს სახელმწიფოს ერთგული მოქალაქეები იყვნენ. მაჰმადიან მტერთა შემოსევისთანავე ქართველ მეფეთა დაძახილზე ისინი პირველნი მოდიოდნენ და იცავდნენ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს, საზღვრებს, ტერიტორიას. რატომ? იმიტომ, რომ მათ ამას საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეობა ავალდებულებდათ. ბორჩალოელთა წრიდან XVIII ს-ში საქართველოს ეროვნული გმირიც გამოვიდა და ამის შესახებ ბევრმა არაფერი იცის. ეს იყო ხუდია ბორჩალოელი, რომელსაც იგივე ისტორიკოსი "ყოვლისა საქართველოს ჩინებულ და მამაც პიროვნებად" მოიხსენიებს. ხუდია ბორჩალოელსა და სხვა ბორჩალოელებს, რომლებსაც ისტორიკოსი "სხვანიელნი ჩვენნი"-ს სახელით მოიხსენიებს, არაერთ ბრძოლაში გამოუჩენიათ თავი ლეკების წინააღმდეგ. რით არ იყო ეთნიკურად არაქართველი ხუდია ბორჩალოელი და "სხვანიელნი ჩვენნი" ქართველი? ის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქე, დიახაც რომ უფრო ქართველი იყო (ნაციის დღევანდელი დასავლური გაგებით), ვიდრე ზოგიერთი მოღალატე ეთნიკური ქართველი.

მე მხოლოდ ფრაგმენტები მოვიყვანე ჩვენი ქვეყნის ისტორიისა. ყოველმა ქართველმა, რიგითმაც და პარლამენტარმაც, უნდა იცოდეს, რომ ქართველი არაა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ. ის მუდმივ ცვლილებებს (რაოდენობრივთან ერთად ხარისხობრივსაც) განიცდიდა, ვითარდებოდა. არც ერთ ნაციას (ერს) მსოფლიოში არ მოუღწევია თავისი გენეტიკური სისხლიერი პირველყოფილებით. ქართულ ეთნიკურ სამყაროში სხვა ეთნოსთა წარმომადგენლები რომ არ შემოსულიყვნენ, ჩვენ ის არ ვიქნებოდით, რაც ვართ. ქართველები ტომობრიობის დონეზე დავრჩებოდით. არა მარტო ქართველები, არამედ არც ერთი ნაცია სუფთა სისხლის (გენეტიკური) მოვლენა არაა. ყოველი მათგანი რამდენიმე ეთნოსის შერევის შედეგადაა ჩამოყალიბებული. ჩვენმა მეზობელმა თურქებმა ძლიერი ნაცია და სახელმწიფო შექმნეს იმიტომ, რომ მათ ყველა ეთნოსს გაუღეს კარი, ყველა თურქს ჰქონდა უფლება, ცოლად შეერთო სხვა ეთნოსისა და რელიგიის ადამიანი. როგორც ჩვენთან წარმოუდგენიათ, ამას ისინი იმიტომ კი არ აკეთებდნენ, რომ ფიზიკურად გაკეთილშობილებულიყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ძლიერი სახელმწიფო შეექმნათ, სადაც უცხოდ არავინ არ იგრძნობდა თავს. სადაც ყველა თურქად გაიაზრებდა თავს. ისინი თუ ასეთ პოლიტიკას არ განახორციელებდნენ, მათ მუდმივი დაძაბულობა, შინაომები ექნებოდათ იმ მრავალრიცხოვანი ეთნოსის წარმომადგენლებთან, რომლებიც ახლად შექმნილ თურქული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. სხვათა შორის, ენდოგამიური ეთნოსი განწირულია რიგი ნაკლოვანებებისათვის. ევროპის ხალხებმა დიდი ნახტომი ცხოვრების ყველა სფეროში იმიტომაც გააკეთეს, რომ ისინი ეგზოგამიურნი იყვნენ, არ ერიდებოდნენ შერეულ ქორწინებებს.

დღევანდელი ფრანგები რამდენიმე სხვადასხვა ეთნოსის შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ესენი არიან გალები (კელტები), რომაელები და სხვადასხვა გერმანული ტომები. ესპანელები იბერების, კელტების, რომაელებისა და არაბების შერწყმის შედეგნი არიან. გერმანელების შემადგენლობაში კი არაერთი სლავი, ბალტიელი და კელტია შესული. ბულგარელები ნარევი არიან თრაკიელების, სლავების და თურქებისა. უნგრელები იმდენი ხალხის ნაჯვარნი არიან, ყველას ვერ ჩამოვთვლით (მადიარები, ჰუნები, თურქები, კელტები). რუმინელების წინაპრები დაკები და გეტები იყვნენ. მათ თანამოძმე მოლდაველებს კი სლავების დიდი ნაკადი შეუერთდა. ახლა რუსები და უკრაინელები ავიღოთ. სად წავიდნენ სამხრეთ რუსეთსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მომთაბარე სხვადასხვა ირანულენოვანი, თურქულენოვანი ხალხები. სად წავიდნენ ოდესღაც რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ფინურენოვანი ხალხები? (თვით ტოპონიმ "მოსკოვსაც" კი ფინური ენით ხსნიან). ყველა ისინი რუსებსა და უკრაინელებში განივთდნენ, მათ შეერწყნენ. ავსტრიის დედაქალაქის ვენის სატელეფონო წიგნი რომ ავიღოთ, აღმოვაჩენთ, რომ თითოეულ სახლში მოსახლეთა 25-30% სლავურ გვარებს ატარებს. რომელიმე ავსტრიელს (რომლებიც თავისთავად კელტებისა და გერმანელების ნაჯვარნი არიან) თავში მოუვა როდესმე, ეს სლავური გვარის მატარებელი ავსტრიელები გამოარჩიონ? ამ თვალსაზრისით არც ქართველები ვყოფილვართ და ვართ გამონაკლისი. და თუ დღეს საქართველოში ასეთი პროცესები მიმდინარეობს, ეს ბუნებრივი მოვლენაა, ამას უნდა მივესალმოთ და ადამიანები არ უნდა დავახარისხოთ იმის მიხედვით, ვის დედა სომეხი, რუსი, ებრაელი, გერმანელი, აზერბაიჯანელი, ოსი თუ სხვა ჰყავდა. ქართველებმა ისიც უნდა შევიგნოთ, რომ გვარების ფუძეების მიხედვით ქართველების დახარისხება დიდი უზნეობაა. ქართულ გვარსახელებს საუკუნეთა მანძილზე ირანული, არაბული, თურქული, სომხური (ქართულთან და ქრისტიანულთან ერთად) სახელები ედებოდა საფუძვლად. ყველა ისინი ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების, ქართველი ერის ღირსეული წევრები არიან. რატომ უყურებს დღეს ზოგიერთი ქართველი ასეთ ქართველებს ეჭვით? მადლობა ღმერთს, ისინი ბევრნი არ არიან (სხვაგვარად, ფაშისტურად მოაზროვნეები) და ამინდს ვერ ქმნიან.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ბრძოლის ამ მეთოდის გამოყენება (წამოძახება არაქართველობის შესახებ) პოლიტიკოსთა შორის გაჩაღდა. ეს იყო და არის ბინძური ბრძოლა, ერთიანი ქართული ორგანიზმის დაშლისკენ მიზანმიმართული ქმედება. როდესაც პოლიტიკურ ოპონენტებს ვერაფრით ერევიან, ასეთი ვაიპოლიტიკოსების (და ვაიქართველების) ბრძოლის იარაღი ხდება ცილისწამება იმისა, რომ მისი მოწინააღმდეგე ქართველი არაა, რომ მას რომელიღაც მშობელი ქართველი არა ჰყავს. როდესაც ჩვენ ასეთ რამეებს თავს დავანებებთ, აი, მაშინ შევქმნით ნამდვილ სამოქალაქო საზოგადოებას, ნამდვილ და ძლიერ ქართულ სახელმწიფოს.

რა დამავიწყებს, როდესაც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს არაქართველობას (ებრაელობას) აბრალებდნენ მოწინააღმდეგენი. ანდა, რა დამავიწყებს იმას, რომ საქართველოს ახლანდელ პრეზიდენტსაც ეთნიკურად სხვა ერის წარმომადგენლად თვლიდნენ. მადლობა ღმერთს და ქართველ ხალხს, რომ ასეთ ვიგინდარებს არ დაუჯერა. სად გაგონილა, რომელ ქვეყანაშია, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეებს გვარების მიხედვით ახარისხებდნენ.

აღნიშნული ნეგატიური პროცესების წინააღმდეგ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში არც ხელისუფლებამ და არც მედიამ არაფერი გააკეთა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ასეთ აზროვნებას ხელსაც უწყობდნენ, აქეზებდნენ. სხვანაირად ვერც იფიქრებ კაცი, როდესაც ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ბრიფინგზე იმას გამოაცხადებს, რომ სხვა პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, მას და მის გვარს, ეროვნულობის თვალსაზრისით, პრობლემები არა აქვს. წაქეზებად ითვლება ისიც, როდესაც საარჩევნო მიზნით ქვემო ქართლში ჩასულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ლიდერს რაიონის გამგებელი მუშტი-კრივს გაუმართავს და თან არაქართველად (სომხად) მოიხსენიებს. ისე, იმ გამგებლის გვარი, რამდენადაც მახსოვს, ჯაფარიძე იყო ("ჯაფარ" არაბული სახელია. რა, ჯაფარიძეები ქართველები არ არიან?). ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთ გამგებელს დაუყონებლივ გადააყენებდნენ თანამდებობიდან და პასუხისგებაშიც მისცემდნენ.

ცოტა ხნის წინ იყო ფაქტები იმისა, რომ შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოებში სამუშაოდ არ იღებდნენ ადამიანებს, თუ დაბადების მოწმობაში დედის ეროვნება ქართველი არ ეწერა, საპირისპიროდ კომუნისტური პერიოდისა, როდესაც ასეთ ორგანოებში მიღებული თანამშრომლები ეთნიკურად ნარევნი უნდა ყოფილიყვნენ.

რა დამავიწყებს იმას, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, ქართველების გარკვეული ნაწილი, უფრო სწორედ ბანდები (დამნაშავეს ეთნიკურობა არა აქვს!) ღამით თავს ესხმოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ოსებს, ძარცვავდნენ და სახლებიდან ყრიდნენ. და მე ხაზს ვუსვამ, სწორედ ისეთ ხალხს ყრიდნენ, რომლებიც უკვე ინტეგრირებულნი იყვნენ ქართულ ეროვნულ ორგანიზმში, ისეთებს, რომლებისთვისაც დედაენას ქართული წარმოადგენდა. ოსური გვარის გამო სამსახურიდან ითხოვდნენ (და ოსებს ბევრი წარმოშობით ქართველიც მიაყოლეს, რომელთა ქართული გვარის წარმომავლობაში ეჭვი ეპარებოდათ). დამნაშავე ვართ უდანაშაულო ჩვენი ოსი მოქალაქეების წინაშე, ვინც ლტოლვილად ვაქციეთ, ჯერ ვლადიკავკაზში ჩავიყვანეთ და იქიდან კი როკის გვირაბით შემოსულები, ცხინვალში ქართველების სახლებში დაბინავდნენ. მოყვრები მტრებად ვაქციეთ. ნიშანდობლივია, რომ ამ ცოტა ხნის წინ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის არჩევნების დროს, ერთ-ერთმა საარჩევნო კომისიის წევრმა ქალბატონმა ქართველებს მადლობა გადაგვიხადა მშვენიერი ქართულით (დედა ქართველი ჰყავდა) - ქართველებმა გამაგებინეს, რომ ოსი ვარო.

ანდა ავიღოთ ხელისუფლების გადაწყვეტილება, პირადობის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტებიდან ეროვნების (ეთნიკურობის) რეკვიზიტის ამოღების შესახებ. ეს გადაწყვეტილებაც ხომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისკენ იყო მიმართული, რათა ჩვენი მოქალაქე ეთნიკური არაქართველები გაუცხოებული არ ყოფილიყვნენ ქართველთაგან. როდესაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, მე ვიფიქრე, პროტესტს ეთნიკური არაქართველები გამოთქვამდნენ. ნურას უკაცრავად, ამ ფაქტმა ქართველთა ნაწილი (მე ვიტყოდი, საქმეში ჩაუხედავი და უცხო ქვეყნის აგენტი ქართველები) აღაშფოთა. თურმე, ამით ჩვენ, ქართველებს, ეროვნებას გვართმევდნენ. ჩაწერა-არჩაწერით თუ განისაზღვრებოდა ადამიანთა ეთნიკურობა, ეს ჩემთვის აღმოჩენა იყო. უწინ, საუკუნეების განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეებს არასდროს ჰქონიათ დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა, პასპორტი. ეროვნების რეკვიზიტი საბჭოთა კავშირში პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში XX ს-ის 30-იანი წლების შემდეგ გაჩნდა. საუკუნეების განმავლობაში ჩვენს წინაპრებს არსად რომ არ უფიქსირდებოდათ ეთნიკურობა (ეროვნება), რაო, ისინი ქართველები არ იყვნენ? ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, თუკი ჩვენი ეროვნება სადღაც ჩაწერა-არჩაწერით განისაზღვრება. მაგრამ, ჩემი აზრით, აქ სხვა რამეშია საქმე. ვაიპატრიოტ ქართველებს ამით არ უნდათ, სხვა ეთნოსთა წარმომადგენლების ქართველთა შორის ინტეგრაცია, ქართული ნაციის დასავლური ტიპის ნაციად ("ნაცია-სახელმწიფოდ") ჩამოყალიბება. იმისთვის გვინდა ეროვნების ჩაწერა, რომ ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ქართველები და არაქართველები, ჩვენი ქვეყნის, საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეები? ისე, სხვათა შორის, მსოფლიოში მხოლოდ სამად სამი ქვეყანა იყო, სადაც პიროვნების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტებში ეთნიკურობა იწერებოდა. ეს იყო საბჭოთა იმპერია, იუგოსლავია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

მე მინდა საქართველოს მოქალაქე ეთნიკური არაქართველები გავიხსენო, რომლებმაც ქართულ სახელმწიფოს თავიანთი სპორტული მიღწევებით წარმატებები მოუტანეს: ვალერი ალთაბაევი, ვოვა გუცაევი, ვიქტორ სანეევი. არ ვამაყობდით მათი სიძლიერით? ისინი საქართველოს ძლიერებას არ უქმნიდნენ საფუძველს?

დასასრულს კიდევ მინდა გავიმეორო, რომ ისტორიულ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური არაქართველები და სხვა რელიგიებისა და კონფესიების წარმომადგენლები სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ერთად გვყავდა ქართველი კათოლიკეები, ქართველი მონოფიზიტები, ქართველი მაჰმადიანები. ამ თვალსაზრისით ქვეყნის მოქალაქეები არ ხარისხდებოდნენ და ამაშიც იყო შუა საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერის ერთ-ერთი საიდუმლოებაც. ფრანგი ჟან შარდენი ქართველთა ბევრ კარგ თვისებებთან ერთად ამასაც აღნიშნავდა: "საქართველოში უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი". იგივეს წერდა გერმანელი გიულდენშტედტიც: "მმართველობა და სამღვდელოება ამჟღავნებს სრულ რჯულშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკეების, მაჰმადიანების და ებრაელი მოსახლეობის რელიგიის მიმართ, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას, და არ სდევნიან მათ".

დავუბრუნდეთ ისევ პარლამენტს და პარლამენტარის გამოხტომას. ასე მოაზროვნე ადამიანები საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებაში არ უნდა იყვნენ და კანონი გაუკულმართებული აზროვნების პარლამენტარებს უფლებამოსილებას უნდა ართმევდეს. პირველ რიგში, ჩვენ, თითოეული მოქალაქე, განურჩევლად ეთნიკურობისა, ძლიერი, განათლებული, ინტელექტუალური სახელმწიფოს შექმნისათვის უნდა ვიბრძოდეთ. ამის წინაპირობა კი პოლიტიკური ნაციის, ნაცია-სახელმწიფოს შექმნაა და არა ფაშისტური აზროვნება, რომელიც ხანდახან სადღაც სარეველასავით გამოერევა ხოლმე.

ცეკვის დღესასწაული საფრანგეთის ეროვნული ჰიმნის თანხლებით



B2

ერაყშიც ცხოვრობდნენ ბედნიერი ადამიანები

ჩვენ ვბომბავდით და პასუხსაც ჩვენ ვაგებთ



B3

"ვიტ ჰორჯიამ" "ტორსჰავნს" მოზარდვა არ აპატია

და სამაგალითოდ დასაჯა



B4

# არა მხოლოდ ლიდერი, არამედ მთელი პოლიტიკური ელიტა უნდა მუშაობდეს

თამარ დვალი

*დავით მორჩილაძე პროფესიით ფიზიკოსია. გასული საუკუნის 90-იან წლებში იგი ბიზნესით დაინტერესდა. თავდაპირველად ESM-ში ბიზნესის კათედრის გამგედ მუშაობდა, შემდეგ კი პრაქტიკულ ბიანესს მოჰკიდა ხელი და მოსკოვში საქმე წამოიწყო. პარალელურად რუსეთში საქართველოს საელჩოს აპარატის მთავარ მენეჯერადაც მუშაობდა. ამჟამად დავით მორჩილაძე რუსეთის მოქალაქეა და ფარმაცევტულ სფეროში მოღვაწეობს. არის საზოგადოებრივი მოძრაობის - "პრეობრაჟენიას" ლიდერი და რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებული პირია. მას ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ საკუთარი ხედვა გააჩნია. როგორ მოჩანს მოსკოველი ქართველის თვალით საქართველო-რუსეთის თანამედროვე ურთიერთობის და მწვავე პრობლემების გადაწყვეტის პერსპექტივა?*



ბესო გულაშვილის ფოტო

*მორალურად და ფსიქოლოგიურად ძლიერი საქრთველო, რომელიც მართლაც იქნება რუსეთის მეგობარი და ამის ყველა წანამძღვარი არსებობს, შექმნის პირობებს, რომ ორმა ქვეყანამ ერთმანეთი გაამდიდროს მსოფლმხედველობით, პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს უკვე ნიშავს, რომ რუსეთისთვის ჩეჩნეთის პრობლემა გაცილებით ადვილად გადაწყდება.*

საერთოდ რუსი პოლიტიკოსები ძალიან ცვალებადები არიან. ახლა, სამწუხაროდ, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეების დიდი უმეტესობა საქართველოს საგარეო თუ საშინაო სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ არის განწყობილი.

ძლიერი სახელმწიფო ისაა, სადაც პოლიტიკური სპექტრი მუშაობს და არა ერთი პიროვნება. პრეზიდენტი არის ლიდერი პოლიტიკური ელიტის, მაგრამ მხოლოდ ლიდერი კი არა, მთელი პოლიტიკური ელიტა უნდა მუშაობდეს.

რუსეთს აქვს ძალიან ხშირად ტესტების გაშვების პოლიტიკა. რაღაცას ცდის, მიიღებს პასუხს, შემდეგ იმ პასუხის მიხედვით აანალიზებს, კიდევ ცდის და კიდევ მიიღებს პასუხს.

**- რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ცხინვალის რეგიონში შექმნილი კრიზისის მეორე მხარე არის მოსკოვი?**

- საქართველოში რამდენჯერმე გაიჟღერა ფრაზამ, რომ კონფლიქტის მეორე მხარე არის მოსკოვი. პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ, რას ვგულისხმობთ ამ მოსაზრებაში. მოსკოვი არის პრეზიდენტი პუტინიც და მიტროფანოვიც, გრიზლოვიც და ლუჟკოვიც, მასმედიის სხვადასხვა საშუალებებიც, სუსტი ოპოზიციაც, საქმიანი წრეებიც, პრეზიდენტის ადმინისტრაციაც, სახელმწიფო დუმაც, ფედერაციის საბჭოც და სამინისტროებიც. ისმის კითხვა - რომელი მოსკოვია კონფლიქტის მონაწილე, ვინ შეიძლება ჩაერთოს ამ კონფლიქტში და ვინ შეიძლება გახდეს ჩვენი მოკავშირე? რუსეთის სტრატეგიული ინტერესები შეიძლება იყოს სხვადასხვა და ერთმანეთის გამომრიცხავი - რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს და მის როლს მსოფლიო პოლიტიკაში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი სხვადასხვაგვარად ხედავს. რუსეთი, როგორც "სუპერდერჟავა", არც შეიძლება იყოს ერთგვაროვანი. რუსეთთან, როგორც ერთგვაროვან მხარესთან საკითხების გადაწყვეტის მცდელობა, ჩემი აზრით, წინა ხელისუფლების ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა იყო. საქართველოს, ალბათ, ჰმართებს რუსეთთან მრავალმხრივი მუშაობა. ახალ ხელისუფლებას აქაც ნულიდან უწევს დაწყება. უმართავი პროცესები კი, სამწუხაროდ, ქაოსსა და წყლის ამღვრევას უწყობს ხელს, რაც რაციონალური აღმშენებლობის წინააღმდეგ მუშაობს ყოველთვის.

**- რა მეთოდები და საშუალებები არსებობს ასეთი მრავალმხრივი სამუშაოს წარმოებისთვის?**

- სანამ მეთოდებს ჩამოვაყალიბებდეთ (მერწმუნეთ, ეს არც ისე ძნელია, როცა რუსეთის პოლიტიკურ სამზარეულოს იცნობ), უნდა კარგად გვესმოდეს, თუ როგორ ხდება მოსკოვში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომწიფება, ტესტირება და მიღება ან სამომავლოდ გადანახვა.

რუსეთის საზოგადოებრივ ცნობიერებაში შეიძლება, ერთდროულად არსებობდეს ერთმანეთის გამომრიცხავი მსოფლმხედველობა. როცა რომელიმე კონცეფცია ხდება დომინანტური, ჩვენ არ უნდა გვეგონოს, რომ ის გაქრება. პირიქით, ის ყოველთვის შეიძლება გახდეს დომინანტური.

პოლიტიკის ხელოვნება შემდეგში გამოიხატება: 1. იმაზე ადრე დაინახო დომინანტი, სანამ ის რეალიზდება; 2. ძირითადი პოლიტიკური ხაზიდან გადახვევის გარეშე, სწორი ფორმის შერჩევით, იმუშაო კოლექტიურ ცნობიერებასთან; 3. რაც ყველაზე ძნელია, მაგრამ შესაძლებელი - დაძრა ახალი ტენდენციები საზოგადოებაში. ასეთი დინამიკური ქმედებით მივაღწევთ იმას, რომ რუსეთი ისწავლის ჩვენს მოსმენას.

ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს ის, რომ რუსეთის საზოგადოება მზად არის, მიიღოს ჩვენი ინიციატივები. უფრო მეტსაც გეტყვით - ის მოლოდინის რეჟიმშია. მაგრამ ჩვენ ვდუმვართ ან ვსაუბრობთ ისეთ სიხშირეებზე, რომელსაც მათი ყური ვერ არჩევს და მათგან აღიქმება როგორც ხმაური, ან - აგრესია კავკასიური ტემპერამენტით. ხოლო კავკასიური ტემპერამენტის შიში, რომლის გალვივებაზეცაა აწყობილი რეაქციული პოლიტიკა, მართლაც არსებობს რუსულ მენტალიტეტში.

**- გამოდის, რომ პრეზიდენტ პუტინის გადაწყვეტილებები შეიძლება გადაისინჯოს რუსეთის პოლიტიკური ელიტის მიერ და შეიცვალოს? ეს ცოტა არ იყოს არარეალურია.**

- მე ჯერ კიდევ პუტინის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლამდე ვწერდი რუსულ პრესაში, რომ რუსეთს სჭირდება ისეთი პრეზიდენტი, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების გამომხატველი იქნება. არსებობდა სოციალური დაკვეთა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პრეზიდენტი. პუტინი მართლაც სახალხო პრეზიდენტია. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ უნდა მოვთხოვოთ მას საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ მოქმედება. რუსეთს, როგორც არასდროს, სჭირდება პრეზიდენტისა და ხალხის ერთიანობა, რასაც პუტინი კარგად ახერხებს.

როცა ვსაუბრობთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, აქ მას ჩვენი დახმარება სჭირდება, რადგან საზოგადოებრივი აზრი რუსეთში ჩვენს სწორ ინიციატივებზეა დამოკიდებული. შესაბამისი საზოგადოებრივი აქტივობის პირობებში, პრეზიდენტ პუტინს აქვს უნარი, გადამწყვეტი როლი ითამაშოს თვისობრივად ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ ძლიერი პოლიტიკოსები. აქედან გამომდინარე, მგონია, რომ შესაძლებლობა გვეძლევა, უფრო კარგად ვიმუშაოთ. რაც არა გვაქვს, ეს არის სტრუქტურები, რომელიც სჭირდება ამ სამუშაოების ჩატარებას, თუმცა ამის შექმნაც შესაძლებელია. რუსეთის მასებში ხდება იმ აზრის მუსირება, რომ საქართველო არის აგრესორი, რომელსაც უნდა აიღოს ის, რაც მას არ ეკუთვნის, თუნდაც ამერიკის ან რაიმე ძალის დახმარებით. რუსეთის პოლიტიკურ წრეებში არის სერიოზული მცდელობა, რომ საქართველოს განვითარებას ყველანაირად შეუშალონ ხელი. არ უარვყოფ, რომ არიან ისეთი პოლიტიკოსებიც, რომლებიც მოკავშირეებად შეიძლება ჩავთვალოთ.

**- მაინც ვინ არიან ეს პოლიტიკოსები, თუ შეიძლება გვარები ჩამოთვალოთ?**

- გვარების დასახელება, ალბათ, არ ღირს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის ადამიანები, ვინც დღეს მტრებად ჩანან, ჩვენი სწორი მუშაობის შედეგად, შეიძლება მოყვრები გახდნენ და ჩვენგან ვინმესთვის "იარლიკის" მიკერება არ იქნება მართალი. ასევე ისინი, ვინც დღეს კეთილად არიან განწყობილები. ხვალ შეიძლება მოწინააღმდეგეები გახდნენ. საერთოდ რუსი პოლიტიკოსები ძალიან ცვალებადები არიან. ახლა, სამწუხაროდ, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეების დიდი უმეტესობა საქართველოს საგარეო თუ საშინაო სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ არის განწყობილი.

**- ქართული მხარისთვის გამოსავალი რა არის, უკვე აღებული პოლიტიკური გეზის გაგრძელება და გაძლიერება თუ მისი შერბილება?**

- მე არ მგონია, რომ პოლიტიკას შერბილება სჭირდება. მას დამატება და გამდიდრება უნდა. რაკი ვამბობთ, რომ რუსეთი თავად არის მრავალფეროვანი და იქ ერთმანეთის გამომრიცხავი მსოფლმხედველობა შეიძლება არსებობდეს, და არსებობს კიდეც, ჩვენი მხრიდანაც მრავალმხრივი სამუშაოები უნდა ჩავატაროთ. ის პოლიტიკა, რასაც ატარებს პრეზიდენტი სააკაშვილი, აუცილებლად გასატარებელია და ვერ შეარბილებ. სამწუხაროდ, მას უწევს მუშაობა "კი" - "არას" პრინციპით. მესამე - შუალედური მდგომარეობა აღარ არსებობს. ძლიერი სახელმწიფო ისაა, სადაც პოლიტიკური სპექტრი მუშაობს და არა ერთი პიროვნება. პრეზიდენტი არის ლიდერი პოლიტიკური ელიტის, მაგრამ მხოლოდ ლიდერი კი არა, მთელი პოლიტიკური ელიტა უნდა მუშაობდეს.

**- როგორ ფიქრობთ, გამოიყენებს თუ არა რუსეთი ძალას და ჩაერევა თუ არა ხისტად საქართველოს საშინაო საქმეებში?**

- ფაქტია, რომ რუსეთი ჩარეულია ჩვენს საშინაო საქმეებში. ისევ მივდივართ იმ საკითხამდე, თუ როგორ მწიფდება და მზადდება გადაწყვეტილებები და რა პრინციპით ხდება ამ გადაწყვეტილებების მიღება. რუსეთს აქვს ძალიან ხშირად ტესტების გაშვების პოლიტიკა. რაღაცას ცდის, მიიღებს პასუხს, შემდეგ იმ პასუხის მიხედვით აანალიზებს, კიდევ ცდის და კიდევ მიიღებს პასუხს. უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს მხრიდან ნებისმიერ ნაბიჯს, ნებისმიერი პოლიტიკოსის განცხადებას თუ ქმედებას აქვს დიდი მნიშვნელობა. სწორედ ამაზეა დამოკიდებული რუსეთის მოქმედება.

კიდევ ერთი აუცილებლობა - საქართველოს მხრიდან ინიციატივების გამოჩენა. ეს ინიციატივა უნდა იყოს არა აუცილებლად გლობალური, არამედ პატარ-პატარა ინიციატივების კრებული, რომელიც მიგვიყვანს საერთო სურათამდე.

დღეს რუსეთში ისეთი საზოგადოებრივი აზრია შექმნილი საქართველოსთან დაკავშირებით, რომ რუსეთის მხრიდან ნებისმიერი რადიკალური და აგრესიული გადაწყვეტილება, საზოგადოების უმეტესობის მხრიდან მოწონებული და გამართლებული იქნება. სამწუხაროდ, დღეს თუ მოინდომეს რეაქციულმა ძალებმა თავისი აგრესიული პოზიცია გატანა, ვიცი, ეს მოწონებას დაიმსახურებს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ რუსული საზოგადოების აზრი შევცვალოთ. სამწუხაროდ, ამას ერთი და ორი პოლიტიკოსი ვერ განახორციელებს, ამას სისტემური მუშაობა სჭირდება.

**- და მაინც, იქნებ მოკლედ ჩამოაყალიბოთ რა შედის რუსეთის ინტერესებში?**

- ჩემი აზრით, რუსეთის ინტერესებშია საქართველოსთან ღრმა კონტაქტი, სტრატეგიული თანამშრომლობა და, სადღეისოდ პირველ რიგში დგას ოსეთის პრობლემების სწრაფი გადაწყვეტა.

**- საქართველოდან კი ისე ჩანს, რომ რუსეთს ან კონფლიქტის კვლავ გაყინვა, ან საქართველოს ინტერესების საზიანოდ გადაწყვეტა აძლევს ხელს?**

- რუსეთმა ოსეთის კრიზისი უნდა მოაგვაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვით. ყველა სხვა შემთხვევაში მას კონფლიქტი ექნება საქართველოსთან, რაც ძალზე ძვირად დაუჯდება და აფხაზეთის ან ოსეთის მიერთება ამის მცირედი კომპენსაციაც კი ვერ იქნება. თანაც, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიერთების შანსი ძალიან მცირე აქვს.

მორალურად და ფსიქოლოგიურად ძლიერი საქართველო, რომელიც მართლაც იქნება რუსეთის მეგობარი და ამის ყველა წანამძღვარი არსებობს, შექმნის პირობებს, რომ ორმა ქვეყანამ ერთმანეთი გაამდიდროს მსოფლმხედველობით, პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს უკვე ნიშავს, რომ რუსეთისთვის ჩეჩნეთის პრობლემა გაცილებით ადვილად გადაწყდება.

**- მაგრამ, თქვენივე მსჯელობით, საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური ელიტა რუსეთში არაერთგვაროვანი და ადვილად ცვალებადია. ამასთან, ძლიერია საქართველოს მიმართ აგრესიული მუხტი. ეს მდგომარეობა შენარჩუნდა რუსეთის ხელისუფლების შეცვლის შემდგომაც. მაინც როგორი ხელისუფლება უნდა მოვიდეს რუსეთში, რომ უარი თქვას იმპერიულ ამბიციებზე, თავადაც გაითავისოს საქართველოსთან პარტნიორულ-მეგობრული ურთიერთობების სიკეთე და საზოგადოებასაც იგივე მესიჯები გაუგზავნოს?**

მე, როგორც რუსეთის საზოგადოებრივი მოღვაწე, 1998 წლიდან დაწყებული, ყოველთვის ვიკვლევ, თუ როგორი ხელისუფლება სჭირდება რუსეთს. ამაზე მრავალი სტატიაც მაქვს გამოქვეყნებული.

მიმაჩნია, რომ რუსეთს სჭირდება ისეთი პოლიტიკა, რომელიც ბევრ მეგობარს შესძენს. არის სხვა ფაქტორებიც, რის გამოც რუსეთს აწყობს დაეხმაროს საქართველოს პრობლემების გადაწყვეტაში. დღესდღეობით მსოფლიოში ეთნიკური კომფლიქტები ვერანაირი გზით ვერ გვარდება. ამერიკის, გაერო-სა თუ ევროსაბჭოს მცდელობის მიუხედავად, ცხელ წერტილებში კონფლიქტები რჩება მოუგვარებელი. არ არსებობს მათი გადაწყვეტის მეთოდოლოგია.

ამის ფონზე რუსეთს აქვს შესაძლებლობა, პოზიტიური კუთხით წარმოჩნდეს მსოფლიო თანამეგობრობაში და გადაწყვიტოს აფხაზეთის და ოსეთის პრობლემა. აფხაზეთს მე ცხელ წერტილად მივიჩნევ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს იქ არ ისვრიან, ისევ და ისევ ქართული მხარის თავშეკავებულობის გამო. რუსეთს აქვს შანსი, სწრაფად გადაწყვიტოს აღნიშნული პრობლემები, რაც ნიშნავს მსოფლიო დონეზე ახალ პოლიტიკურ ინიციატივას. ანუ, რუსეთს შეუძლია მთელ მსოფლიოს აჩვენოს, რომ მას შეუძლია ისეთი პოლიტიკური პრობლემის გადაჭრა, რომელსაც ვერ ჭრიან მსოფლიოში.

**- მაგრამ, ჯერჯერობით, რუსეთში ასეთი პოლიტიკური ნება ჩრდილშია...**

- ამ ინიციატივას სჭირდება პროპაგანდა. პირადად მე, სადაც მიმიწვდება ხმა, იქნება ეს რუსული პოლიტიკური ელიტა, ბიზნესჯგუფები თუ ორგანიზაციები, ამის პროპაგანდას ვცდილობ. ეს იდეა საქართველოდან უნდა იყოს მიწოდებული.

დღეს რუსეთ-საქართველოს შორის ნდობა არ არსებობს. უნდა დავარწმუნოთ რუსები, რომ ამ პროპლემის გადაწყვეტა ერთად შეგვიძლია. თუ რუსეთი მოინდომებს (რუსეთში მხოლოდ პრეზიდენტს არ ვგულისხმობ), შეიძლება ოსეთის პრობლემა ერთ თვეში გადაწყდეს, მაგრამ დღეს რუსეთის საზოგადოებრივი აზრი ჩვენს წინააღმდეგაა მომართული. ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ჩვენი მუშაობით შეიძლება, შეიცვალოს ეს აზრი. საჭიროა, პრეზიდენტთან, დუმასთან, საზოგადოებასთან ერთობლივად მუშაობა.

**- უნდობლობას საქართველოს ამერიკასთან კარგი ურთიერთობებიც ასაზრდოებს. რუსული ელიტა უკვე არაჯანსაღად რეაგირებს თბილისის ყოველ კონტაქტზე ვაშინგტონთან. ღიზიანდება იმ საერთაშორისო ყურადღებითაც, რომელსაც ამ ბოლო დროს იჩენენ საქართველოს მიმართ. ასეთ ვითარებაში როგორ აღდგება დიალოგი და, მით უმეტეს - ნდობა?**

- საქართველო არ უნდა გახდეს ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირების საბაბი. ეს, პირველ რიგში, ცუდი იქნება საქართველოსთვის.

ამერიკასთან კარგი ურთიერთობა გარკვეულ გარანტიებს გვაძლევს იმისას, რომ სამხედრო ძალით ჩვენზე ძლიერი სახელმწიფო ვერ დაგვჩაგრავს. თუ დაუკვირდებით, რუსეთი, ამ ბოლო დროს, უფრო ფრთხილია. ახლა არავინ ამბობს, რომ პანკისში სპეცოპერაციას განახორციელებს. საერთოდ, როდესაც რუსი პოლიტიკოსი ლაპარაკობს, უნდა ვიცოდეთ, რომ იგი ერთს ამბობს, მეორეს ფიქრობს და მესამეს აკეთებს, მაგრამ ძველებურ აგრესიაზე, ცხადია, რუსეთი არ წამოვა, თუმცა უჭირს რაღაცეების დათმობა. თუმცა, ის პოლიტიკა, რომელსაც ყოფილი ხელისუფლების მმართველობის დროს ტარდებოდა საქართველოში, ნდობას ნამდვილად არ იმსახურებდა. ამიტომაც ჩამოყალიბდა საქართველოს მიმართ აზრი, როგორც უმართავი, გაუგებარი სახელმწიფოსი, რომელიც ჯობია, დაშალო და დაასუსტო, ვიდრე მისი სახით გყავდეს მეგობარი. ახალმა ხელისუფლებამ ეს აზრი უნდა გააბათილოს და დაანახოს რუსეთს, რომ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით.

**- დაბოლოს: მოსკოვში ხშირად ამბობენ, რომ საქართველო თავად უნდა იქცეს ეკონომიკურად მიმზიდველ ქვეყნად, თუნდაც საკუთარი ურჩი ავტონომიებისათვის. როგორ აფასებთ საქართველოს ეკონომიკურ პერსპექტივას და ამჟამინდელ ეკონომიკურ პროცესებს?**

- ეკონომიკური თვალსაზრისით, პოსტ-საბჭოთა სივრცე ყველაზე რთულია, იმის გამო, რომ არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო მკაცრი მექანიზმი, თუ როგორ უნდა გადანაწილებულიყო კომკავშირის და პარტიის საკუთრება ხალხზე. უმეტეს შემთხვევაში, კარგი ეკონომიკურად აწყობილი სისტემები იმიტომ ინგრეოდა, რომ ხალხმა არ იცოდა, როგორ აემუშავებინა ისინი.

ჩვენი კანონები ძალიან ლმაზია, რადგან მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაა აღებული. თუმცა, არ არის დაახლოებული რეალობასთან. კანონის დარღვევა უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე დაცვა. ყოველთვის არ არის გამართლებული, რომ ძველი ქარხანა აამუშაო. თუ პრივატიზაციაზე გავუშვებთ, მაშინ მნიშვნელოვანია, რა ფასად და რა პირობებით გადავცემთ ინვესტორს. თუ დაუტოვებთ სახელმწიფოს, უნდა განვავითაროთ. ევროპაში არის პრეცედენტები, როდესაც ქარხანა ერთ ევროდ იყიდება. პრივატიზებისას ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულების პირობებია. უცხოურ ინვესტიციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითია ის, რომ სერიოზული ბიზნესმენი თავისი მენეჯმენტით შემოდის. აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის პარტნიორი საქართველოს მხრიდან.

თუკი წინა მთავრობის პერიოდში უცხოელებთან გაფორმებულ კონტრაქტებს გადავხედავთ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ კონტრაქტებს ერთი მხარე ადგენდა, აფორმებდა და მეორე მხოლოდ ხელს აწერდა. ან ეს ადამიანი ფულს იღებდა და ყველაფერზე თანახმა იყო, ან მართლაც არ ესმოდა, თუ რაზე აწერდა ხელს.

ვფიქრობ, რომ კახა ბენდუქიძე თუ იდგება აქეთა მხარეს, მაშინ უცხოელი ინვესტორი ვერაფერს მოგვატყუებს. რუსეთში ბენდუქიძე ის პიროვნებაა, რომლის აზრსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი აქ ჩამოსვლა მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისთვის დიდი სტიმულის მიმცემია - ისინი საქართველოში ინვესტიციის ჩადებაზე იფიქრებენ.



# აფიშა

### კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
კონსტანტინე პევზნერის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო
დას: 18:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
პაოლო ბარბაჩინის (ტენორი, იტალია) და ნინო მაჩაიძის (სოპრანო) კონცერტი
დას: 19:00 სთ.

**კინოს სახლი**
"ზატოიჩი"
(რეჟისორი: ტაკეში კიტანო)
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**"რუსთაველი"**
"ადამიანი ობობა 2"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**"ამირანი"**
"მაგარი გოგოები"
დას: 14:00; 16:00 სთ.

"ცუდი აღზრდა"
დას: 18:00; 20:00; 22:00 სთ.

### გამოფენები

**დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი**
საქართველოს სამუზეუმო კოლექციები მცხეთაში
თიანეთის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
აფხაზეთის მხატვართა საანგარიშო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება) და ზურაბ ჭედიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
გიგიშა პაჭკორიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (კერამიკა)

**TMS**
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ბაიას გალერეა"**
ამერიკელი მხატვრის ჰენრი უერდემანის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**"ქარვასლა"**
კოტე ჯინჭარაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ეკრანი და ათი ვნება"

ჟან ჟაკ კრესდერის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "4,5 კმ ფოტოგრაფია"

**"ჰობი"**
"კალეიდოსკოპი"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## მსახიობი მეამბოხე მუსიკოსის როლში

სტუდია Dream Works-მა და მსახიობმა ტომ ჰენქსმა მოიპოვეს უფლება ცნობილი მუსიკოსისა და მსახიობის დინ რიდის ცხოვრების ეკრანიზაციაზე. ჰენკსი ფილმში მთავარ როლს შეასრულებს.

დინ რიდი აშშ-ში 1938 წელს დაიბადა. 50-იან წლებში კი წავიდა ემიგრაციაში სამხრეთ ამერიკაში, სადაც მისი შემოქმედება უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. აშშ-ს საშინაო პოლიტიკისა და ბირთვული იარაღის მკვეთრი მოწინააღმდეგე არგენტინიდან დეპორტირებული იქნა და საცხოვრებლად გადავიდა იტალიაში. აქ რამდენიმე წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდა ვესტერნებში. ანტიამერიკული პოზიციის მიუხედავად, რიდს არასდროს შეუცვლია მოქალაქეობა და არ გაწევრიანებულა კომუნისტთა რიგებში. 1973 წელს რიდი ყოფილ გდრ-ში წავიდა; გერმანიაში იგი თამაშობდა კინოში და გამოსცემდა ალბომებს; მისი მუსიკა საკმაოდ პოპულარული იყო. 1985 წელს რიდმა უკანასკნელად მოინახულა შეერთებული შტატები და სამშობლოში დაბრუნებასაც კი გეგმავდა. თუმცა, მის გეგმებს ხელი სიკვდილმა შეუშალა. 1986 წლის ივნისში რიდი აღმოსავლეთ ბერლინის ახლოს მდებარე ტბაში იპოვეს. გერმანიაში მიიჩნევდნენ, რომ რიდმა თავი მოიკლა, თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებდნენ აშშ-ში მცხოვრები მისივე ახლობლები და ოჯახის წევრები.



REUTERS

*ბორჯომი*

## "ხელოვნების ზეიმის" კინოსეანსი და ლირიკული გადახვევა

მადი სერებრიაკოვა

სათაურში "ლირიკული გადახვევა" კორექტურული შეცდომა არ არის. საქმე სწორედ რომ ლირიკას ეხება, რომელიც ბორჯომის ხელოვნების III საერთაშორისო ფესტივალზე შექსპირისა და თამაზ ჩაჩავას პოეზიის სახით იყო წარმოდგენილი.

გასული ორ დღეს ფესტივალზე მუსიკამ ოდნავ უკანა პლანზე გადაინაცვლა. კინოს დღეზე "ხელოვნების ზეიმზე" ორი დოკუმენტური ფილმი აჩვენეს: გერმანელი რეჟისორის ანდრეა მაიერ-ლუენის "ლიანა ისაკაძის პორტრეტი" და ქართველი რეჟისორის სანდრო ვახტანგოვის "კონცერტინო", ხოლო ლიტერატურული საღამო უილიამ შექსპირის რეზო თაბუკაშვილისეული თარგმანებისა და თამაზ ჩაჩავას ციკლის "და სულში ერთად შემოსული მზე და არამზე"-ს მიხედვით შექმნილ ერთგვარ მუსიკალურ-პოეტურ პერფორმანსს დაეთმო.

კინოს დღეზე წარმოდგენილი ორივე ფილმი საკმაოდ ძველია: მაიერლუენის ფილმის პრემიერა 1990 წელს შედგა. სანდრო ვახტანგოვის ფილმი კი 1988 წლით თარიღდება. მიუხედავად ამისა, ბევრმა დამსწრეთაგანმა ორივე ფილმი პირველად ვნახეთ. გერმანელი რეჟისორის ფილმი "ლიანა ისაკაძის პორტრეტი" გერმანიის ტელევიზიის პირველი არხის და პროგრამა ARD-ის დაკვეთით შეიქმნა. გადაღებები თბილისსა და ვენაში მიმდინარეობდა. თბილისში გადაღებებისთვის ჩამოსული იყო თავად რეჟისორი და ხუთკაციანი გადამღები ჯგუფი. ფილმში საკმაოდ საინტერესოდ და ღრმად არის განხილული ლიანა ისაკაძის საშემსრულებლო, სადირიჟორო კარიერის დეტალები, შემოქმედებითი პრინციპები. თავად გამოჩენილი მევიოლინეს საუბრები, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს ფილმს, ბევრ ისეთ მომენტს შეიცავდა, რომელიც მთელი მისი შემოქმედების უკეთ გაგებაში დაეხმარებოდა ისაკაძის თაყვანისმცემლებს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*გუშინ ბორჯომში კინოს დღე იყო - ნინო ბურდული.*

დოკუმენტური კადრები ასახავს ლიანა ისაკაძის მუშაობას საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის პირველ შემადგენლობასთან. ერთადერთი, რაც საკმაოდ გამაღიზიანებლად მომეჩვენა, ეს ფილმში ასახული იმდროინდელი საქართველოს სურათი იყო. როგორც ჩანს, ფილმის ავტორებმა თბილისი და საქართველო ერთ დიდ საკოლმეურნეო ბაზრად და სმა-ჭამის ქვეყანად აღიქვეს. ყოველ შემთხვევაში, ფილმის ნახვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ლიანა ისაკაძის საქართველო, რომელზეც თავად მევიოლინე დიდი შთაგონებითა და სიყვარულით საუბრობს, აღწერს მის ბუნებასა და მუსიკალურ ტრადიციებს - ვიზუალურად ისაკაძის სახლის უკან აღმართული მეჩეთით, ხინკლების მომზადების პროცესითა და ბაზარში ცხვრის ხორცითა და ალუბლით ვაჭრობის დეტალებით გამოიხატება.

მიუხედავად ყველაფრისა, ძალზედ მომხიბლავი იყო ფილმის თანმხლები მუსიკა. თავად ლიანა ისაკაძის შემოქმედების გარდა, ის ცნობილი მომღერლის ბარბარა ჰენდრიქსის მიერ შესრულებული რომანსით Не пой красавица при мне იყო წარმოდგენილი. ეს რომანსი მოსკოვში გამართულ კონცერტზე ბარბარა ჰენდრიქსმა სწორედ ლიანა ისაკაძესთან ერთად შეასრულა. მისი პირველი სიტყვები Не пой красавица при мне, ты песен Грузии прекрасной - ზუსტად და ემოციურად გამოხატავდა იმ ნოსტალგიასა და სევდას, რომელიც საქართველოდან წასულ მუსიკოსებს საკუთარ ქვეყანასთან ხანგრძლივი განშორებისას აწუხებთ.

მეორე ფილმი, სანდრო ვახტანგოვის "კონცერტინო" ავტორისთვის ერთ-ერთი პირველია და საბჭოთა კინოდოკუმენტალისტიკის გავლენას განიცდის. ფილმი ძირითადად ლიანა ისაკაძესთან ინტერვიუზეა აგებული. ასევე, უხვადაა გამოყენებული დოკუმენტური კადრები, სადაც მუსიკოსის შემოქმედებითი გზის გარდა, მისი პირადი ცხოვრების დეტალებიცაა ასახული.

ბიოგრაფიული თვალსაზრისით, ფილმი მართლაც საინტერესო იყო, თუმცა მხატვრული თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა თანამედროვე სტანდარტებს. ამას, რა თქმა უნდა, გამართლება აქვს, ფილმი საკმაოდ ძველია და ავტორისთვისაც ერთ-ერთ პირველ რეჟისორულ მცდელობას წარმოადგენს.

ლიტერატურული საღამო, რომლითაც "ხელოვნების ზეიმი" გაგრძელდა, მხატვრული თვალსაზრისით მეტად საინტერესოდ იყო დადგმული. შექსპირის სონეტებსა და ჩაჩავას პოეტურ ციკლს მსახიობები ნინო ბურდული და ზაალ ჩიქობავა კითხულობდნენ. მათ მუსიკალურ ფონს ხათუნა თუშმალიშვილი, მიხეილ ხოშტარია, ლელა მჭედლიძე, ვაჟა კალანდაძე, ზაზა ხუციშვილი და ლიტველი დრამერი ვლადიმირ ტარასოვი უქმნიდნენ. პოეზიის და მუსიკის ტანდემი ძალზედ ეფექტური გამოდგა და ლიტერატურულ საღამოს ბევრი დამფასებელიც გამოუჩნდა.

ფესტივალის მომდევნო კონცერტი კვლავ საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს დაეთმობა. საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის მხარდაჭერით ორკესტრს გინტარას რინკევიჩუსი უდირიჟორებს, სოლისტები კი ჯენი აბელი და არკადი ცინცეპერი იქნებიან.

## კალეიდოსკოპი

ნათელა სურმავა

გალერეა "ჰობი" თავის ერთ საგამოფენო დარბაზში ამჯერად თანამედროვე მხატვართა ნამუშევრებს წარმოგვიდგენს. თხუთმეტი მხატვრის 50 ტილო ძირითადად ფერწერაა, თუმცა გრაფიკის ხილვაც შეგიძლიათ. ნიკო ცეცხლაძის, ირაკლი სუთიძის, მერაბ აბრამიშვილის, მარინა უჯმაჯურიძის, ზურაბ ნიჟარაძის და სხვათა ხალისიან ნამუშევრებს საერთო სახელწოდებით - "კალეიდოსკოპი" ივლისის ბოლომდე შეგიძლიათ გაეცნოთ. ამ ერთგვარი მიქსით, გალერეა თავის მორიგ სეზონს ასრულებს. გალერეის დირექტორი ვანდა მუჯირი ჯერჯერობით არ ამხელს ახალი სეზონის გეგმებს, რომელიც სექტემბრიდან გახდება ჩვენთვის ცნობილი.

ამ სეზონზე კი გალერეა "ჰობიმ" არაერთხელ გვასიამოვნა - ზვიად ბერიძის ფოტოგამოფენა, რომელიც ტაო-კლარჯეთში მოგზაურობას ასახავდა, ედმუნდ კალანდაძის, მედეა გურგენიძის, მარინა უჯმაჯურიძის პერსონალური გამოფენები, ელენე ახვლედიანის კოკა იგნატოვის, ირაკლი ფარჯიანის და სხვათა შედევრები, თანამედროვე გრაფიკა, საბავშვო სტუდიების წარდგინება, ბავშვთა კონკურსი და ბოლოს მარტყოფის ბავშვთა სახლის გამოფენა-აქცია; ეს გახლავთ იმ გამოფენათა ჩამონათვალი, რომლებიც გალერეამ შემოგვთავაზა.



იური ლობოდინის ფოტო

*გალერია "ჰობიმ" სეზონი დახურა.*

მართალია, ჩვენს დედაქალაქს საგამოფენო დარბაზები არ აკლია, არც საინტერესო გამოფენების ნაკლებობას განვიცდით, მაგრამ გალერეა "ჰობი" მაინც გამოირჩევა თავისი აკადემიზმითა და ინტელიგენტობით, რაც სამწუხაროდ ასე აკლია დღევანდელობას. გალერეის მესვეურნი კი მუდამ ცდილობენ ქართველ მხატვართა ყველა სპექტრი წარმოგვიდგინონ და ახალ თაობასაც მისცენ წარმოჩენის საშუალება.

იმედია, გალერეა თავის ჩვეულ ტრადიციას არც მომავალ სეზონზე უმტყუნებს და მრავალ საინტერესო ღონისძიებას შემოგვთავაზებს.

## ცეკვის დღესასწაული საფრანგეთის ეროვნული ჰიმნის თანხლებით

ნათია ვადაჭკორია

1992 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოში საფრანგეთის საელჩო დაფუძნდა, ფრანგები თბილისში ყოველწლიურად აღნიშნავენ 14 ივლისს - ბასტილიის აღების დღეს. საფრანგეთის საელჩოს არც წელს უღალატია ტრადიციისთვის, თუმცა, წლევანდელი ზეიმი ერთი დღის ნაცვლად, ორ დღეს გაგრძელდა.

საერთოდ, ფრანგებს სჩვევიათ ყველაფრის ზეიმად და დღესასწაულად გადაქცევა, რითაც თავადაც იხალისებენ ცხოვრებას და სხვასაც ართობენ.

კითხვის ზეიმი და მუსიკის დღესასწაული ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის უკვე კარგადაა ნაცნობი, რადგან ამ ზეიმს უკვე რამდენჯერმე გაზიარეთ. ამჯერად ცეკვის დღესასწაულზე გვსურს საუბარი, რომელსაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს და დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით შეესხა ხორცი.

თბილისის ოპერის თეატრის საბალეტო დასის გამგის, მარინა ალექსიძის და საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშეს ფრანსუა ლორანის ინიციატივით, მოწვეულ იქნა ფრანგი ქორეოგრაფი, ამჟამად ჟენევის დიდი თეატრის ბალეტის დირექტორი ფილიპ კოენი, რომელმაც ოპერის სოლისტებთან ერთად ორი დადგმა განახორციელა - ერთი, კლასიკური, ჟორჟ ბიზეს "ცეკვის წელიწადის დრონი" და მეორე, თანამედროვე, გაბრიელ ფორეს მუსიკაზე In Memoriam ("რექვიემი").

13 ივლისს ორივე დადგმა იქნა წარმოდგენილი თბილისის ოპერის სცენაზე, ხოლო 14 ივლისს მხოლოდ ფორეს რექვიემი.

ეხლა, რაც შეეხება საპრემიერო წარმოდგენას. როგორც უკვე მოგახსენეთ, ორივე დადგმა ფილიპ კოენს ეკუთვნის, მის მიერვეა შექმნილი კოსტიუმები, ხოლო განათების ავტორი რემი ნიკოლა გახლავთ. ბიზეს სიმფონია დო მაჟორი, კომპოზიტორის ახალგაზრდობის დროინდელი ნაწარმოებია და სწორედ ახალგაზრდა ადამიანისთვის დამახასიათებელ სიმსუბუქეს, სიხალისეს და მგრძნობიარე სამყაროს წარმოგვიდგენს. ცეკვისას წელიწადის დრონი სცენაზე მონაცვლეობენ და ერთმანეთს უთმობენ ასპარეზს.



*გუშინ მოცეკვავეებმა თანამედროვე ცეკვა წარმოადგინეს, რასაც შემდეგ საქართველოში საფრანგეთის ახალი ელჩის - ფილიპ ლეფორის წარდგენა მოჰყვა.*

ფორეს მუსიკაზე შექმნილი In Memoriam გარდაცვლილების ხსოვნას ეძღვნება, თუმცა იმ ოპტიმიზმს და იმედსაც ასახავს, რომელსაც მელანქოლიისგან და მწუხარებისგან გამოვყავართ. ოპერაში მისულ მაყურებელზე თბილისის ოპერის სოლისტების - მარიამ ალექსიძის, ქეთევან მუხაშავრიას, ნინო ოჩიაურის, ედუარდ ბაბლიძის, დათო და ლაშა ხოზაშვილების, გია საგინაშვილის და გია ჩხაიძის მიერ შესრულებულმა თანამედროვე ბალეტმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. მართლაც, ამ დადგმაში წარმოჩინდა ჩვენი მოცეკვავეების პლასტიკურობა და ხიბლი, შავ და წითელ ფერებში გადაწყვეტილი კოსტიუმები განსაკუთრებით კარგად ეხამებოდა ცეკვის სტილს.

მოძრაობა სიჩუმეში, შემდეგ აჟღერებული მუსიკა, მოცეკვავეების ერთმანეთში გადაჭდობილი ხელები და სხეული, ყველაფერი თანმიმდევრულად, რიტმულად და კანონზომიერად...

სპექტაკლს ნამდვილად არ მოჰკლებია მაყურებლის "ბრავო"; კულისებში შესულს კი ემოციებისგან აცრემლებული სოლისტები, ქორეოგრაფი, ფრანსუა ლორანი და ბალეტის ფანები დამიხვდნენ.

"მიჭირს ლაპარაკი, რადგან სავსე ვარ ემოციით. ამ ადამიანმა ჩემში აღმოაჩინა ის, რაც ღრმად იყო ჩამალული და ეს ყველაფერი ხელის გულზე გადმოიტანა. კმაყოფილი ვარ ყველაფრით, მაყურებელმაც ყველა ნიუანსი სწორად აღიქვა, ბედნიერი ვარ..." ექსპრომტად განგვიცხადა ქეთევან მუხაშავრიამ.

გუშინ კი, მოცეკვავეებმა მხოლოდ თანამედროვე ცეკვა წარმოადგინეს, რასაც შემდეგ საქართველოში საფრანგეთის ახალი ელჩის - ფილიპ ლეფორის წარდგენა მოჰყვა, მისი მისასალმებელი სიტყვა, "მარსელიოზა" და ბოლოს, ტრადიციული "ალაფურშეტი". იმედია, წინ კიდევ მრავალი დღესასწაული გველის, ახლა უკვე ახალი ელჩის თაოსნობით.

# ერაყშიც ცხოვრობდნენ ბედნიერი ადამიანები

## ჩვენ ვბომბავდით და პასუხსაც ჩვენ ვაგებთ

*მაიკლ მურის გახმაურებული ფილმი "ფარენჰეიტი 9/11" პირველი დოკუმენტური კინოსურათია ამერიკის კინოს ისტორიაში, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ფილმში რეჟისორი ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ გამოდის, ირანსა და ავღანეთში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების გამო. ლიბერალებისთვის ეს სურათი "ძლიერი" და "მძაფრია", ბუშის მომხრეებისთვის კი სხვა არაფერია, თუ არა "მტკნარი სიცრუე". მაყურებლის გასაკვირად, ამერიკის მთავარი მეკავშირე - ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი რეჟისორის ყურადღების ცენტრში არ მოქცეულა, თუმცა BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში მაიკლ მური ამტკიცებს, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბუშზე არანაკლებ დიდი დანაშაული აწევს კისერზე. ის ინტერვიუც, რომელიც BBC-ს კორესპონდენტმა ჩაიწერა, სწორედ ტონი ბლერზე საუბრით დაიწყო.*

**- ხომ არ აპირებთ ანალოგიური ფილმის შექმნას ბლერის შესახებ?**

- არ გამოვრიცხავ; რადგანაც გარკვეული თვალსაზრისით, ბლერის პიროვნება ბუშის პიროვნებაზე ბევრად უფრო საინტერესოა. ბუში ის არის, რაც არის. ეს ის შემთხვევაა, როცა იდიოტი იდიოტად რჩება, მაგრამ ბლერი იდიოტი არ არის. ბლერი ჭკვიანია. ამიტომ მას გამართლება არა აქვს. უკიდურეს შემთხვევაში, ბუშის საქციელს კიდევ შეიძლება ჰქონდეს გამართლება, ბლერს კი? ის სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო. ბუშისა და ბლერის ურთიერთობა ორი ბავშვის ურთიერთობას ჰგავს. ერთი შვიდი წლისაა, მეორე - თორმეტის. თქვენ მათ მარტო ტოვებთ და როცა შინ ბრუნდებით, სახლში საშინელი არეულობა გხვდებათ. როცა ამ ქაოსს ხედავთ, თქვენ ხომ არ ადანაშაულებთ შვიდი წლის ბავშვს, ყველაფერი თორმეტი წლისას ბრალდება. თქვენ მას ეუბნებით, რომ ის უფროსია, მეორე კი შვიდი წლისაა და არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს, მაგრამ შენ ხომ დიდი ხარ და იცი. რაზე ფიქრობდა ტონი ბლერი, როცა დამოუკიდებელ სახელმწიფოში შეიჭრა?

**- ბრიტანელი კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ თქვენი ნამუშევარი ძალიან ტენდენციურია. ეს არ არის დოკუმენტალისტიკა ამ სიტყვის სრული გაგებით. მაგალითად, ფილმში ნაჩვენებია ბედნიერი ცხოვრების სცენები ერაყის ქუჩებში, მანამ სანამ ომი დაიწყებოდა; მაგრამ აბსოლუტურად არ ჩანს ის, რასაც აკეთებდა სადამ ჰუსეინი...**

- მე ვფიქრობ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ყოველგვარი ღონე იხმარეს იმისათვის, რომ ჩვენს ცნობიერებაში სადამის რეჟიმთან ასოცირებული სტერეოტიპები ჩაენერგათ. იმაზეც კი დავიწყე ფიქრი, რომ ამას სპეციალურად აკეთებდნენ, რათა ჩვენ ერაყელები ადამიანებად აღარ მიგვაჩნდეს, რათა ერაყის დაბომბვა უფრო ადვილად მოვახერხოთ. "ნიუ იორკ ტაიმსში" ამ ორიოდე კვირის წინ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის თანახმად, პირველმა ორმოცდაათმა საჰაერო თავდასხმამ თავისი მიზანი ვერ შეასრულა, და ამის გამო ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. მე მინდა, რომ ჩემმა მაყურებელმა დაინახოს, როგორები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს გამო, შესაძლოა, დაიღუპნენ კიდეც.

**- გასაგებია, მაგრამ თქვენს ფილმში ნაჩვენებია ბედნიერი ერაყი, ეს ხომ შორსაა სიმართლისაგან...**

- ერაყი არ ყოფილა ბედნიერი ქვეყანა, მაგრამ იქაც ცხოვრობდნენ ბედნიერი ადამიანები.

**- სადამი ხომ ჯალათი იყო...**

- მაგრამ, ერაყში ცხოვრობდნენ ბავშვები, რომლებიც ჰაერში უშვებდნენ ფრანებს; ისინი დადიოდნენ საპარიკმახეროებში, თმას იჭრიდნენ, ახალგაზრდები ქორწინდებოდნენ. და ალბათ შენიშნეთ ისიც, რომ სადამი და მის გარშემო მყოფი ადამიანები კი არ დაღუპულან, ამ ომს უბრალო მოსახლეობა შეეწირა; აი, სწორედ ეს ბავშვები. მათ სისხლში ჩვენ გვაქვს გასვრილი ხელები, ჩვენ - ამერიკელებს და ბრიტანელებს.

**- მაგრამ, მათ სისხლში ხელები გასვრილი აქვს სადამსაც, ფილმი კი ამაზე არაფერს ამბობს!**

- არა! ეს ჩვენ ვბომბავდით მათ, და პასუხსაც ჩვენ ვაგებთ და არა ისინი. ოდესმე კი ჩვენ ამაზე პასუხისგება მოგვიწევს.

**- თქვენს ფილმში ბევრია საუბარი ავღანეთზე გამავალი ნავთობსადენის აგების გეგმების შესახებ. მე ვნახე ფილმი - ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ყველაფერი ამ ნავთობსადენის გამოა ატეხილი - ომი ავღანეთში და სხვა მოვლენები. როგორ შეიძლება ეს სიმართლე იყოს?**



მაიკლ მური და ლეონარდო დი კაპრიო.



მაიკლ მურის გახმაურებული ფილმი "ფარენჰეიტი 9/11" პირველი დოკუმენტური კინოსურათია ამერიკის კინოს ისტორიაში, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

- შესაძლოა, ეს სიმართლეც იყოს; ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვაშინგტონს სურდა ავღანეთზე კონტროლი დაეწესებინა. ახლა ჩვენ მას ვაკონტროლებთ. მაგრამ, საერთოდ რას ვაკეთებთ ჩვენ იქ? ამიტომაც დავასახელე ასეთი ვერსიაც - ავღანეთის ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენი. ვფიქრობ, არც ერთი გონიერი ადამიანი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ჩვენ იქ ყოფნის მიზეზი ნავთობი და გაზია, ჩვენ გვინდა ამ ტერიტორიაზე არსებული ნავთობისა და გაზის ხელში ჩაგდება.

**- და თქვენი აზრით, თალიბების მოძრაობაც საერთოდ არაფერ შუაშია?**

- როგორც ჩანს, არაფერ შუაშია.

**- და 11 სექტემბერიც არაფერ შუაშია?**

- დიახ, ასეა. თალიბებს 11 სექტემბერი არ დაუგეგმავთ.

**- მაგრამ, ისინი ხელს აფარებდნენ მის ორგანიზატორებს...**

- ეს სიმართლეა, მაგრამ როდის იყო, რომ ხელისუფლება დევნიდა იმ ადამიანებს, რომლებიც ვილაცას იფარავდნენ, როდის იყო, რომ ხელისუფლება დევნიდა სახლის მეპატრონეს? რატომ უნდა ვდევნიდეთ სახლის მეპატრონეს, როცა სინამდვილეში ამ სახლის მაცხოვრებელთა დევნა გვმართებს? რატომ ვიცდიდით ორი თვე, სანამ სპეცოპარაციებს განვახორციელებდით იმ რაიონში, სადაც უსამა ბინ ლადენი იმალებოდა? ჩვენთვის მთავარი იყო თალიბების დამარცხება და ავღანეთზე კონტროლის დაწესება. იქნებ მიპასუხოთ, როგორია ამ ომის საბოლოო შედეგი? თალიბების მოძრაობა განდევნილია, ჩვენ ხელისუფლებაში ვართ. მაგრამ რა, უსამა ბინ ლადენი დაიჭირეს? - არა. ესე იგი, ამოცანა არ შეუსრულებიათ. გამოდის, ეს არ ყოფილა მთავარი ამოცანა.

**- ასეთ დროს განზრახვა, მიზეზები და შედეგი ძალიან ჩახლართულია ხოლმე...**

- არა, რას ბრძანებთ, ზოგჯერ ყველაფერი ძალიან მარტივადაა. აი, აღმოჩნდება რამდენიმე ადამიანი, რომლებიც იწყებენ ბერლინის კედლის ნგრევას - და კომუნიზმი აღარ არსებობს, აღმოსავლეთ გერმანია ერთიანი გერმანიის ნაწილი ხდება. ეს ხომ მარტივი იყო, არა?

**- და როგორ ფიქრობთ, არ უნდა დაწყებულიყო ოპერაცია ავღანეთში?**

- რა თქმა უნდა, არა. განა არ უნდა დაგვეწყო უსამა ბინ ლადენზე ნადირობა, ნუთუ არ უნდა დაგვეჭირა და სასამართლოსთვის არ უნდა გადაგვეცა ბინ ლადენი? რა თქმა უნდა, ეს უნდა გაგვეკეთებინა.

**- მაგრამ ომის გარეშე ამის გაკეთება ხომ შეუძლებელი იქნებოდა?**

- ომი საჭირო იყო იმისათვის, რომ თალიბები მოგვეშორებინა და ჩვენი კონტროლი დაგვემყარებინა ქვეყანაში. აი, სულ ეს არის!

**- კი მაგრამ, სადამ ჰუსეინისთვის რაღა უნდა გვექნა?**

- იგივე, რაც გავუკეთეთ რასისტულ რეჟიმს სამხრეთ აფრიკაში; იგივე, რაც უკვე არაერთხელ გავაკეთეთ მსოფლიოში: უნდა გაგვეტარებინა თავშეკავების, ზეწოლისა და ეკონომიკური სანქციების პოლიტიკა. შემიძლია, დაგისახელოთ რამდენიმე ათეული დიქტატორი, რომლებიც სადამ ჰუსეინზე უარესები არიან, მაგრამ ეს ამბავი დიდად არავის ანაღვლებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს დიქტატორები არ აკონტროლებენ ნავთობსაბადოს, რომელიც მოცულობით მეორეა მსოფლიოში.

**- ამბობენ, რომ ვაშინგტონის ხელისუფლების შეცვლა გსურთ. როგორ ფიქრობთ, თქვენი ფილმი ამაზე გავლენას იქონიებს?**

- დიდი იმედი მაქვს. ჯერჯერობით ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ სეანსებზე ძალიან ბევრი პოპკორნი იყიდება. ვნახავთ, რა იქნება ნოემბერში.

# ერთი ამბავი მხატვრის ცხოვრებიდან

## სასკია

*1606 წლის 15 ივლისს დაიბადა რემბრანდტ ვან რეინი - გენიალური მხატვარი, რომლის დიდებული ტილოებიც ყველას უნახავს და რომლის ბიოგრაფიაც. ალბათ, ყველამ იცის. მაგრამ, ვინაიდან დღეს მსოფლიო მის დაბადების დღეს აღნიშნავს, ჩვენც გავიხსენოთ შუქ-ჩრდილის დიდოსტატი, რემბრანდტი და მასთან ერთად ერთი ჩვეულებრივი ნიდერლანდელი გოგო, სასკია ვან ეილენბურხი.*

რემბრანდტის ამ ყველაზე ცნობილ პორტრეტზე მასთან ერთად სწორედ სასკია, მისი პირველი მეუღლეა გამოსახული. ის ოდნავ დამორცხვებული ზის მეუღლის კალთაში, რემბრანდტი კი, ბედნიერი და კმაყოფილი, აწეული ჭიქით თითქოს თავისი სიხარულის გაზიარებას მოგვიწოდებს. ცოლ-ქმარს მდიდრული სამოსი აცვია - აშკარაა, რომ მეწისქვილის შვილმა კეთილდღეობას მიაღწია. მაგრამ მისი მთავარი განძი სასკია იყო, რომელსაც ძალიან ანებივრებდა და ყველა სურვილს უსრულებდა.

სასკია ვან ეილენბურხი 1612 წელს დაიბადა. მამამისი იურისტი იყო და - რასაც ბიოგრაფები განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნავენ - ორგზის ბურგომისტრი. სასკია თორმეტი წლისა ყოფილა, როცა დაობლდა, და დეიდის სახლში, ამსტერდამში იზრდებოდა.

დიდებული ადგილი ყოფილა მეჩვიდმეტე საუკუნის შუახანების ამსტერდამი, ნიდერლანდების "ოქროს ხანის" დედაქალაქი. ეს მდიდარი, განვითარებული, ნახევარი საუკუნის წინათ ესპანეთის ბატონობისგან გათავისუფლებული ჩრდილოეთ პროვინციების ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი.

ამსტერდამის განლაგება იდეალური იყო. მას არხების ქსელი აცოცხლებდა, იქ დიდი საქონლის საცავები და ნავსაყუდელები შენდებოდა; ფაბრიკებში უამრავი ხალხი ჩადიოდა სამუშაოდ, და ყველა - ახალი თუ ძველი ამსტერდამელი - ძალიან ამაყობდა, რომ მათ ქალაქში ასეთი დიდებული ტაძრები, გალავნები და საგუშაგო კოშკები იდგა და ყველა მოქალაქეს იმ დროისთვის ჩინებულ, ძალიან თანამედროვე სახლში შეეძლო ცხოვრება.

ამსტერდამისკენ ყველა მორბოდა, არა მარტო სამხრეთნიდერლანდელი ლტოლვილები, არამედ ანტვერპენელი სახელგანთქმული ხელოსნები და ვაჭრებიც. პოლონეთიდან და გერმანიიდან, პორტუგალიიდან და ესპანეთიდან შევიწროებისა და დევნის შიშით შეპყრობილმა ებრაელებმა სწორედ ამსტერდამში ჰპოვეს თავშესაფარი, ისევე როგორც სკანდინავილებმა, ბერძნებმა თუ იტალიელებმა - ახალი სამშობლო. ცხადია, აყვავებული ამსტერდამი მხატვრებსა და მწერლებსაც იზიდავდა.

ამ მშვენიერ ქალაქში მცხოვრები პატარა სასკია ხშირი სტუმარი იყო თავისი შორეული ნათესავის სახლში, რომელიც ხელოვნებით მოვაჭრე იყო და რომელთანაც რამდენიმე წლის განმავლობაში გენიალური მხატვარი, რემბრანდტ ვან რეინი ქირაობდა ბინას. სწორედ იქ გაიცნეს მათ ერთმანეთი.

იმხანად რემბრანდტი ოცდახუთი წლისა შესრულდა. ის ამსტერდამში იმიტომ ჩავიდა, რომ "დოქტორ ტულპის ანატომიის გაკვეთილი" შეუკვეთეს. მან ეს შეკვეთა ჩინებულად შეასრულა და იქვე სასკიაც დახატა - შესანიშნავი პორტრეტი, რომლის შემყურეც ნებისმიერი ადამიანი მიხვდება, რომ მხატვარი უგზო-უკვლოდ შეყვარებული იყო.

1634 წელს ისინი დაქორწინდნენ კიდეც და ათი წელი გაატარეს ერთად.

რემბრანდტის სახელოსნო ერთგვარი აკადემია იყო. მასთან მთელი ევროპიდან ჩამოდიოდნენ სწავლას მოწყურებული ხელოვანები, და დიდი მასწავლებლის ხელოვნების ნიმუშების კოლექციაც დღითიდღე მდიდრდებოდა. რას აღარ ნახავდით მის სახელოსნოში: სახელმოხვეჭილ თანამედროვეთა ტილოებს თუ ნახატებს, ეგზოტიკურ ნივთებს, აღმოსავლურ მინიატურებს, ანტიკურ ქანდაკებებს. რემბრანდტი წარმატებული კაცი იყო - არა მარტო როგორც მხატვარი, არამედ როგორც ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრეც. ის იმდენად პოპულარული გახდა, რომ მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ - ძირითადად, მისი შუქ-ჩრდილის გამეორებას ცდილობდნენ, და ყოველ მდიდარ მოქალაქეს ბედნიერებად მიაჩნდათ დიდი ოსტატის ნახატით სახლის კედლების დამშვენება.



რემბრანდტის ამ ყველაზე ცნობილ პორტრეტზე მასთან ერთად სწორედ სასკია, მისი პირველი მეუღლეა გამოსახული.

სწორედ ამ ნათელ დროს იყვნენ ერთად ის და სასკია, მისი დიდი სიყვარული და მუზა, ნათელი იმედების, დიდი ბედნიერების ალეგორია.

რემბრანდტი სასკიას სულ ხატავდა. მისი ტილოები და გრაფიკული ნამუშევრები სასკიას სულ სხვადასხვაგვარად ასახავს: ხან ჩვეულებრივი ტანსაცმელი აცვია, ისეთი, ამსტერდამელ ქალებს რომ ემოსათ იმხანად, ხან ეგზოტიკურადაა გამოწყობილი, ხანაც ქალღმერთია, ფლორა. სასკია ოქროს ჯაჭვით და მარგალიტის ყელსაბამით გვევლინება, მარგალიტის საყურით, გრძელ, "სასკიასფერ" ჟღალ თმაში მოპრიალე შავი ბუმბულით, ოქრომკერდით ნაქარგ კაბაში... ვირსავიაც ისაა და სუსანაც, წმინდა ეკატერინეც და დანაიაც, და ქალიც, რომელიც "ღამის გუშაგებთან" ერთადაა გამოსახული, სასკია გახლავთ. თავად სასკიას ვერც ლამაზს ვუწოდებთ და ვერც ეგზოტიკურს - მოკლე კისერი ჰქონდა, მრგვალი თვალები. უბრალოდ, რემბრანდტს ის ძალიან უყვარდა.

მაგრამ, მერე ყველაფერი უცბად შეიცვალა. ჯერ უმცროსი ვაჟი გარდაეცვალათ, შემდეგ სასკიას და დაიღუპა, შემდეგ - რემბრანდტის ქალიშვილი, პატარა კორნელია, შემდეგ - რემბრანდტის დედა. სულ მალე წყვილმა კიდევ ერთი ქალიშვილი დაკარგა, სასკიას კი კიდევ ერთი და მოუკვდა. მოკლედ, ოჯახმა ხუთ წელიწადში ექვსი ახლობელი ადამიანი დაკარგა.

1961 წელს სასკიამ კიდევ ერთი ბიჭი გააჩინა, მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა - რემბრანდტის მეუღლე რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა.

მაშინ რემბრანდტი ძალიან უბედური იყო. მართლაც სიცარიელეში აღმოჩნდა, ერთადერთი დარჩენილი შვილის იმედად. შემოქმედებითმა კრიზისმაც არ დაახანა (თუკი მის კლასიცისტურ ნაწარმოებებს კრიზისის შედეგს ვუწოდებთ).

მაგრამ, მერე... ცხოვრება გრძელდება, და რემბრანდტმა კვლავ დიდი შემართებით დაიწყო ხატვა და კვლავ ქალი შეუყვარდა - ჯერ ერთი, მერე მეორე...

სასკია კი მხოლოდ ტილოებზე დარჩა: არც ისე ლამაზი, მაგრამ ოდესღაც ძალიან საყვარელი ქალი.

ჭადრაკი

# ნახევრად ჩემპიონი

ლევან ბერიაშვილი

სამშაბათს ტრიპოლიში გამოვლინდა ახალი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში. ეს არის ნაკლებად ცნობილი უზბეკი დიდოსტატი რუსტამ კასიმჯანოვი. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, მსოფლიო ჩემპიონი კი არა, არამედ ნახევრად ჩემპიონი, რადგან თავისი ძალმოსილების დადასტურება კასიმჯანოვს გამაერთიანებელ მატჩში გარი კასპაროვთან მოუწევს და თუ მრისხანე მეტოქესაც გასცდა, მაშინ ნამდვილი ჩემპიონის ტიტულს გაითამაშებს კრამნიკ-ლეკოს შორის გამარჯვებულთან.

მოკლედ, კასიმჯანოვს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი იმისთვის, რომ ღირსეულად დაიმკვიდროს დიდი მოჭადრაკის ადგილი, მაგრამ თავად ფაქტი, რომ უზბეკი დიდოსტატი ტრიპოლის ტრიუმფატორი გახდა, ფრიად საინტერესოა და ფიდეს ვერსიით გამართული ამ ტურნირის ავკარგიანობას ეჭვქვეშ აყენებს. კასიმჯანოვმა ტაი-ბრეიკში სენსაციურად კი დაამარცხა ტიტულოვანი ინგლისელი მეტოქე მაიკლ ადამსი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ უზბეკი დიდოსტატი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეა.

როგორც არ უნდა ვთქვათ, საჭადრაკო სამყაროში სენსაცია მოხდა. ლიბიაში ახალ ჩემპიონს დაადგეს გვირგვინი. მშვიდი საჭადრაკო სამყაროს დამანგრეველი ნაკლებად ცნობილი უზბეკი მოჭადრაკე გახდა. რუსტამ კასიმჯანოვმა პრაქტიკულად გაიმეორა რამდენიმე წლის წინათ უკრაინელი რუსლან პონომარიოვის მიერ ჩადენილი გმირობა.

პონომარიოვის მსგავსად, ჩემპიონატის დაწყების წინ კასიმჯანოვსაც არავინ მიიჩნევდა ფავორიტად. ტურნირის რეიტინგში მისი მოკრძალებული 28-ე ნომერი კასიმჯანოვს ყველა მატჩში აუტსაიდერის როლს აკისრებდა. მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი არითმეტიკული სიზუსტით საწინააღმდეგოდ განვითარდა. უკრაინელმა ვასილი ივანჩუკმა, რუსმა ალექსანდრ გრიშჩუკმა, ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა მომავალ ჩემპიონს ფინალში გასვლის საშუალება მისცეს, სადაც მას ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ ადამსი ელოდა.

კასიმჯანოვთან ჭიდილში რეიტინგის მე-6 ნომერი ადამსი უპირობო ფავორიტად გამოიყურებოდა. თუმცა, პირველივე პარტიამ, რომელიც ყაიმით დასრულდა, ყველას ნათლად დაანახა, რომ ფავორიტის სტატუსი ადამსისთვის აშკარად გადაჭარბებული იყო. ასეც მოხდა: ექვსი პარტიის შედეგების მიხედვით ანგარიში საყაიმო - 3:3 იყო და მოჭადრაკეები იძულებულნი გახდნენ, გამარჯვებულის გამოსავლენად ორი ტაი-ბრეიკი გაეთამაშებინათ.

პირველ ტაი-ბრეიკზე კასიმჯანოვმა შავი ფიგურებით დედოფლები გაცვალა და მიტელშპილში, მეფის ფრთაზე პაიკების მძლავრი შეტევის შემდეგ, ინგლისელს ფარ-ხმალი დააყრევინა. მაიკლ ადამსმა 51-ე სვლაზე დამარცხება აღიარა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ფინალში მოჭადრაკემ შავი ფიგურებით გაიმარჯვა. მეორე ტაი-ბრეიკში კი მთელი მატჩი პრაქტიკულად მეფის ფრთაზე წარიმართა. დედოფლების გაცვლის შემდეგ თეთრებს, რომლითაც კასიმჯანოვი თამაშობდა, ცენტრში ორი ძლიერი პაიკი დარჩა. 25-ე სვლაზე კასიმჯანოვი ცაიტნოტში აღმოჩნდა (15 წამი ჰქონდა დარჩენილი), მაგრამ ბონუსის წამების ხარჯზე უზბეკმა მდგომარეობა გამოასწორა და ერთ-ერთი პაიკი დედოფლად აქცია. ამის შემდეგ მეტოქეებს ხუთი პაიკი და კუ დარჩათ. შედეგად, ყაიმი და რუსტამ კასიმჯანოვი ფიდეს ახალი ჩემპიონია ჭადრაკში.

ახლა, როგორც უკვე ვთქვით, კასიმჯანოვს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისთვის გარი კასპაროვთან მოუწევს შეხვედრა. ამრიგად, გამოდის, რომ მთელი ეს ჩემპიონატი კასპაროვთან შესახვედრად შესარჩევი ტურნირი ყოფილა, ხოლო მისი ჩემპიონი - საუკეთესო უარესებს შორის. თუმცა, 100 ათასი დოლარი და კასპაროვთან შეხვედრის უფლება ნაკლებად ცნობილი მოჭადრაკისთვის განა წარმატება არ არის?

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი კი მიიღებს უფლებას, მონაწილეობა მიიღო ეგრეთ წოდებულ გამაერთიანებელ მატჩში მსოფლიო ჩემპიონთან "აინშტეინ-გრუპის" ვერსიით. ამ ტიტულს კი რუსი ვლადიმირ კრამნიკი და უნგრელი დიდოსტატი პეტერ ლეკო გაითამაშებენ.

**მსოფლიო საუკეთესო მოჭადრაკეთა ახალი რეიტინგი. პირველი ოცეული.**

ვაჟები:

| | |
|---|---|
| კასპაროვი (რუსეთი) | 2817 |
| ანანდი (ინდოეთი) | 2782 |
| კრამნიკი (რუსეთი) | 2770 |
| მოროზევიჩი (რუსეთი) | 2743 |
| ლეკო (უნგრეთი) | 2741 |
| ადამსი (ინგლისი) | 2738 |
| ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2737 |
| ი. პოლგარი (უნგრეთი) | 2728 |
| სვიდლერი (რუსეთი) | 2727 |
| შიროვი (ესპანეთი) | 2725 |
| პონომარიოვი (უკრაინა) | 2722 |
| ივანჩუკი (უკრაინა) | 2715 |
| ბარეევი (რუსეთი) | 2715 |
| ბაკრო (საფრანგეთი) | 2712 |
| გელფანდი (ისრაელი) | 2709 |
| გრიშჩუკი (რუსეთი) | 2705 |
| აკოპიანი (სომხეთი) | 2692 |
| დრეევი (რუსეთი) | 2690 |
| რუბლიოვსკი (რუსეთი) | 2686 |
| ნისიპიანუ (რუმინეთი) | 2686 |

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 15 ივლისი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ჯულიუს ირვინგი
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "SAN ANTONIO SPURS" - "LOS ANGELES LAKERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ამერიკის თასი. კოსტა-რიკა - ჩილე
13:55 ამერიკის თასი. ბრაზილია - პარაგვაი
15:35 თავისუფალი დარტყმა
15:50 "წვრილმანები" უკრაინის სუპერ თასი. "დინამო" - "შახტიორი"
16:10 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" - "ალბასეტე"
17:50 ამერიკის თასი. კოსტა-რიკა - ჩილე
19:35 თავისუფალი დარტყმა
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "შახტიორი". პირდაპირი ტრანსლაცია
21:50 ამერიკის თასი. ბრაზილია - პარაგვაი
23:35 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "კაიზერსლაუტერნი" - "ბავარია". შესვენებისას (00:25) - თავისუფალი დარტყმა
01:30 01:30-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - ტრაგიკული მომენტები
04:00 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "NEW YORK KNICKS" - "LOS ANGELES LAKERS"

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:00, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 "ნადირობის სეზონი"
11:15 ტრიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიაში
12:05 "ბრითიშ ოუფენის" წინ. "ღია ჩემპიონატი ანიდან ჰაემდე"
13:35 "ათენის გზაზე"
14:35 "საუკუნის ათლეტები". "დოქტორ პეტროვის ბედისწერა"
15:05 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მეორე წრის მიმოხილვა
16:15 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
17:35 სპორტული ცეკვები პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
19:15 "ჩქაროსნული სამყარო"
19:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
20:10 "საუკუნის ათლეტენი". "ჩემპიონი-უჩინმაჩინი". რეი იური
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 კანადის თასი 1981: "კანადის თასიდან მსოფლიო თასამდე"
22:00 როდეო. "Bull Riders"
22:45 კიკბოქსინგი. პროფესიული ბრძოლა
00:15 ახალი ამბები
00:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
01:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**
10:30 მარათონი
11:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი შვედეთში
12:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
12:30 ფეხბურთი. ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში. გერმანია - ესპანეთი
14:15 ფეხბურთი. ალპური თასი გერმანიაში
16:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
16:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
19:30 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ოლ!!!
20:00 ფეხბურთი. ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში. გერმანია - პოლონეთი
22:00 ფეხბურთი. ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში. შვეიცარია - ბელგია
00:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
00:45 მოტოკროსი. ფრისტაილი. შეჯიბრება ესპანეთში
02:15 ახალი ამბები
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში
03:00 კრივი

ფეხბურთი

# "ვიტ ჯორჯიამ" "ტორსჰავნს" მოშარდვა არ აპატია

აკა ტონია

ვიტ ჯორჯია - ტორსჰავნი 5:0

**ვიტ ჯორჯია:** *მამარდაშვილი, დათუნაიშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, გველესიანი, ნოზაძე (კვარაცხელია 45`), დიღმელაშვილი, მერებაშვილი (ებანოიძე 45`), გოჩაშვილი (კუპრეიშვილი 69`), მარცვალაძე.*

**ტორსჰავნი:** *რასმუსენი, ი. იონსენი, ნოლსი, ბორგი, ფერნანდესი, ლეივსონი (პ. იონსენი 45`), ნილსენი, ელიასენი, დანიელსენი (ტორსტენსენი 45`), მორტენსენი, ლაკჟანი (იესპერსენი 75`).*

**მსაჯი:** *კოსტას ტეოდატუ (კვიპროსი).*
**გაფრთხილება:** *მამარდაშვილი, ლაკჟანი.*



გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონმა "ვიტ ჯორჯიამ" პირველი მატჩი გამართა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე. მოგეხსენებათ, ქართული კლუბები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში პირველივე ეტაპიდან ერთვებიან, ამ ეტაპზე კი, ძირითადად, ძალიან სუსტი საფეხბურთო ქვეყნების ძალიან სუსტი გუნდები ასპარეზობენ. ასე და ამრიგად, კენჭისყრამ ფარერების "ტორსჰავნი" დაუპირისპირა საქართველოს ჩემპიონებს.

იმის გამო, რომ ჩვენმა ფარერელმა სტუმრებმა მატჩის წინა დღეს, ვარჯიშისას, ეროვნულ სტადიონზე მოშარდეს, მათ წინააღმდეგ გამარჯვება ორმაგად მნიშვნელოვანი გახდა ქართველი ქომაგებისთვის. სტადიონის შეურაცხყოფით გამწარებული ქართველები დიდი ანგარიშით გამარჯვებას ელოდნენ იტელებისგან.

მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე ფარერის კუნძულებიდან იყო, ქვეყნიდან, რომელიც საფეხბურთო ჯუჯად არის მიჩნეული, "ვიტ ჯორჯიას" გამარჯვება სულაც არ იყო თავისთავადი და წინასწარ გადაწყვეტილი. საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ კლუბი ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა, ორმა ლიდერმა დატოვა. თავდამსხმელები გოცირიძე და ადამია რუსულ "კამაზში" გადავიდნენ, "ვიტ ჯორჯიას" კი მათი სრულფასოვანი შემცვლელები არ დაუმატებია. გოცირიძე გუნდის უპირველესი ბომბარდირი იყო, ადამია კი - ამ გოლების მომამზადებელი. შეუძლებელია, ასეთი ფეხბურთელების წასვლა არ დასტყობოდა გუნდს. "ტორსჰავნი", მართალია, წარუმატებლად, მაგრამ მაინც რეგულარულად მონაწილეობს ევროთასების მატჩებში, "ვიტ ჯორჯია" კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირის დებიუტანტია.

ასეა თუ ისე, ფარერები მაინც ფარერებია და საქართველოს ჩემპიონს შესუსტებული შემადგენლობითაც არ გაუჭირდა მეტოქის დამარცხება. "ვიტ ჯორჯია" მატჩის პირველივე წუთებიდან უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა და ასე გაგრძელდა მთელი თამაშის განმავლობაში. პირველი გოლი მე-20 წუთზე გაიტანა ვლადიმერ გოჩაშვილმა, ზუსტად ათ წუთში მარცვალაძემ მეორე გოლი შეაგდო რასმუსენის კარში. პირველი ტაიმის მიწურულს "ვიტ ჯორჯიას" საყრდენმა ნახევარმცველმა დავით დიღმელაშვილმა შორეული, უძლიერესი დარტყმით ანგარიში სამამდე გაზარდა.

ასე და ამრიგად, "ტორსჰავნის" საქმე პირველივე ტაიმში დამთავრდა, აღარავინ ფიქრობდა, რომ სტუმრები მატჩის ბედის შემოტრიალებას შეძლებდნენ.

ეს არც მოხდა. შესვენებისას ორივე გუნდმა ორ-ორი ფეხბურთელი შეცვალა. შეცვლაზე შემოსულმა ებანოიძემ მატჩის მეხუთე და უკანასკნელი გოლიც გაიტანა.

ებანოიძემდე კი ვიტელებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს. მეორე ტაიმი ორი წუთის დაწყებული იყო, როდესაც "ვიტ ჯორჯიას" ცენტრალური მცველი ალექსანდრე ინწკირველი შეტევაში ჩაერთო და თავით გაუტანა რასმუსენს.

მატჩის უკანასკნელი 30 წუთი დიდი სანახაობრიობით არ გამოირჩეოდა. "ვიტ ჯორჯია" უკვე მომდევნო მატჩისთვის ინახავდა ძალებს, სტუმრები კი მაინც ვერაფერს აკეთებდნენ...

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე "ვიტ ჟორჯიას" მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი და სტუმართა მოთამაშე მწვრთნელი, ამ მატჩში მე-11 ნომრით მოთამაშე ჰეიენ ფერნანდესი გამოცხადდნენ. პირველად სწორედ ფერნანდესმა ისაუბრა. "უაღრესად კარგ გუნდთან მოგვიწია შეხვედრა. "ვიტ ჯორჯიამ" სრულიად დამსახურებულად მოიგო. თავისი როლი ითამაშა კლიმატურმა პირობებმაც. აქ ძალიან ცხელა და ჩვენ არ ვართ შეჩვეული ასეთ მაღალ ტემპერატურას. საერთოდ, ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით და არა მარტო უშუალოდ მატჩისას", - განაცხადა ფერნანდესმა. მატჩის მიღმა შეცდომებში ის წინა დღის ინციდენტს გულისხმობდა და ეს მობოდიშებასაც ჰგავდა. თუმცა, ქართველმა ჟურნალისტებმა მომხდარის შესახებ მაინც დაუსვეს კითხვები. ფერნანდესი კომენტარისგან თავის შეკავებას ცდილობდა. ჟურნალისტები კი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ სტუმართა მოთამაშე მწვრთნელს ბოდიში მოეხადა. "ჩვენ განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნები ვართ. არ მეგონა, თუ ამ ფაქტით ასე აღშფოთდებოდით. თუ რაიმე გეწყინათ, ბოდიშს გიხდით", - იყო პასუხი. წმინდა სპორტულ საკითხებზე მისთვის არავის აღარაფერი უკითხავს. ფერნანდესი დარბაზიდან გავისტუმრეთ და სიტყვა მერაბ კოჭლაშვილს დავუთმეთ. თავისი ვიზავის მსგავსად, მოშარდვის ფაქტზე "ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელსაც მოუხდა საუბარი, თუმცა, ეს მისივე ინიციატივით მოხდა: "გუშინდელი ინციდენტის შემდეგ გამარჯვება კიდევ უფრო აუცილებელი იყო, თანაც, დიდი ანგარიშით, ისეთით, როგორიც მოვიპოვეთ კიდეც. ამ სტადიონზე ვისწავლეთ ჩვენ ფეხბურთის სიყვარული, ამ სტადიონზე თამაშობდნენ ქართული ფეხბურთის ლეგენდები". კოჭლაშვილმა თავად მატჩზეც ბევრი ისაუბრა და გაგვიმხილა, რომ თამაშის წინ მისი შეგირდები ნერვიულობდნენ. პრესკონფერენციაზე მყოფი ყველა ჟურნალისტი დარწმუნებული იყო, რომ "ტორსჰავნის" ბარიერი უკვე დაძლეულია და ამაში არც თავად კოჭლაშვილი შეგვკამათებია. საუბარი "ვიტ ჯორჯიას" შემდეგ მოწინააღმდეგეს, კრაკოვის "ვისლასაც" შეეხო. კოჭლაშვილმა კარგად იცის, რომ "ვისლა" "ტორსჰავნი" არ არის, თუმცა, ისიც გვითხრა, რომ პოლონელთა დამარცხების ხერხიც იცის...

# წინ, წარსულისკენ!

## "დინამო" რევანშისთვის ემზადება

მიხეილ აბაიშვილი
ბორისოვიდან

ავიაკომპანია "თბილავიამშენის" თბილისი-მინსკის ჩარტერული რეისით "დინამოსთან" ერთად ბელორუსის დედაქალაქში ჩაფრენისთანავე ძველი, კეთილი დრო გამახსენდა. ორსაათნახევრიანი მგზავრობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ 21-ე საუკუნიდან ისევ საბჭოთა კავშირში აღმოვჩენილიყავი. სოციალისტური წყობა თითქმის ყველგან მახსენებს თავს. ქუჩებში და შენობების თავზე ჩაწიკწიკებული სოცშინაარსის ლოზუნგები, თვალსაჩინო ადგილებზე გადმოკიდებული ურთიერთგადაფსკვნილი ნამგალი და ურო. და, რაც მთავარია, ადგილობრივი მოსახლეობის მენტალიტეტი ბევრით არაფრით განსხვავდება საბჭოური პერიოდის მენტალიტეტისგან. ჩაფრენისთანავე დანიშნულების საბოლოო პუნქტისკენ - მინსკიდან 65 კილომეტრზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით გავემგზავრეთ. ჟურნალისტები ბორისოვში გავჩერდით, "დინამო" კი ცოტა მოშორებით, ბორისოვიდან 15 კილომეტრის მოშორებით, დაბა ჟოდინოში დაბინავდა.

ბორისოვს, რომელიც 1102 წელს დაარსდა, 900-წლიანი ისტორია აქვს. თუმცა, სოცარქიტექტურის მსახვრალმა ხელმა ამ ქალაქსაც დააკარგვინა ინდივიდუალური იერსახე. ბორისოვი ქართული საზომებითაც არ არის დიდი ქალაქი - 200 ათასზე ცოტა მეტი მცხოვრებით. ამის მიუხედავად, ახლო და არც ისე ახლო სლავურ ისტორიაში დიდი როლი აქვს ნათამაშები. მე-19 საუკუნის დასაწყისში ბორისოვსთან მდებარე მდინარე ბერეზინთან რუსეთის იმპერიის ჯარებმა ნაპოლეონის არმიას მწარე მარცხი აგემეს. 2,5 საუკუნის შემდეგ აქვე გაიმართა სტრატეგიული თვალსაზრისით მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი გამორჩეული ბრძოლა, რომელიც ოპერაცია "ბაგრატიონის" სახელით შევიდა სამხედრო ისტორიაში.

ბორისოვის გუნდი, "ბატე", თანამედროვე ბელორუსული საკლუბო ფეხბურთის სავიზიტო ბარათია. 1997 წლიდან მოყოლებული, ამ გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში მხოლოდ ერთხელ დაიკავა მესამე ადგილი. დანარჩენ წლებში "ბატე"



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*თბილისის "დინამოს" მწვთნელი გია გეგუჩაძე ოპტიმისტურად არის განწყობილი.*

პირველ ან მეორე ადგილზე ამთავრებდა ქვეყნის პირველობას. გუნდს წვრთნის გამოცდილი სპეციალისტი იური პუნტუსი, რომელიც, ამავდროულად, ბელორუსის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელიცაა. ძირითადად "ბატეს" ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა ამ გუნდმა ორი თვის წინათ გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იტალიელთა ძლევით ფურორი მოახდინა.

"დინამოსთან" მატჩის წინ "ბატე" საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე, დაბა ვუდინკაში ემზადებოდა. ქართველი ჟურნალისტების თხოვნით, პუნტუსმა, მოუცლელობის მიუხედავად, დრო გამონახა და გუშინ იმპროვიზებული პრესკონფერენცია გამართა.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ კენჭისყრით?**

- ნამდვილად არ მინდოდა, რომ თბილისის "დინამო" ან "თბილისი" შეგვხვედროდა. პოსტსაბჭოური სივრციდან მეტოქედ მხოლოდ მოლდოვას გუნდს ვისურვებდი. სამწუხაროდ, კენჭისყრამ მაინცდამაინც თბილისის "დინამო" შეგვახვედრა. 2001 წელს თქვენს გუნდს უკვე შევხვდით უეფას თასზე და ვაჯობეთ. თუმცა, დღეს სულ სხვა გუნდი გყავთ. ამიტომ სამი წლის წინანდელ "დინამოსა" და მის შესაძლებლობებზე ორიენტაციის აღება სწორი არ იქნება. წლეულს "დინამომ" დსთ-ს თასიც მოიგო და უკეთესობისკენ შეიცვალა. თუმცა, არ იცვლება ქართული ფეხბურთის სტილი - შემტევი, ტექნიკური და სწრაფი.

**- რამდენად ამომწურავ ინფორმაციას ფლობთ "დინამოზე"?**

- გვაქვს დსთ-ს თასზე "დინამოს" თამაშების ვიდეოჩანაწერი. ვუყურეთ თქვენი გუნდის გამოსვლას ავსტრიის "ალფენ ქაფის" ტურნირზე, სადაც "დინამომ" არაერთგვაროვნად ითამაშა. ჯერ "ზალცბურგთან" დამარცხდით, შემდეგ დანიის ვიცე-ჩემპიონი "ბრონდბიუ" დაამარცხეთ. ვფიქრობ, არ შეიძლება, ამ თამაშებს სერიოზული მნიშვნელობა მიანიჭო, რადგან შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. თუმცა, მეტოქის ძლიერ და სუსტ მხარეებზე წარმოდგენის შექმნა მაინც შევძელით.

**- "ბატეზე" რას იტყვით, საკადრო პრობლემები ხომ არ გაწუხებთ?**

- ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი პაველ შმოერი ნამდვილად ვერ ითამაშებს. მან გერმანიაში მუხლზე მძიმე ოპერაცია გადაიტანა. საეჭვოა კიდევ სამი ფეხბურთელის - ბეგანსკის, მოლოშისა და რუპნენკოს მდგომარეობა. ბეგანსკი დუბლშემადგენლობაში უკვე თამაშობს და იმედი მაქვს, განმეორებითი მატჩისთვის მზად იქნება. დანარჩენი ორის საკითხი თამაშის დღეს გაირკვევა.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენგან ან "დინამოსგან" რაიმე სიურპრიზს უნდა ველოდოთ?**

- არა მგონია. გუნდები საკმაოდ კარგად იცნობენ ერთმანეთს იმისთვის, რომ სიურპრიზებისგან დაზღვეულები ვიყოთ.

**- ადგილობრივ პრესაში განაცხადეთ, რომ ხვალვე შეეცდებით ისეთი შედეგის მიღწევას, რომელიც თბილისში მშვიდად ყოფნის საშუალებას მოგცემთ. დიდი ანგარიშით გამარჯვებას გეგმავთ?**

- ეს არ მიგულისხმია. მართალია, ჩვენ ვეცდებით დიდი ანგარიშით გამარჯვებას, მაგრამ დღევანდელი "დინამო" ისეთი გუნდი არ არის, ეს რომ დაგვანებოს. ანგარიში მეორეხარისხოვანი არ არის, მაგრამ ხვალ ჩვენ ერთი მთავარი ამოცანა გვაქვს - გამარჯვება.

ბელორუსში საკმაოდ გვიან ჩამოვფრინდით და საღამოს "დინამოს" არ უვარჯიშია. გუშინ ჩვენმა გუნდმა ბორისოვის ცენტრალურ სტადიონზე ივარჯიშა. სტადიონი 5500 გულშემატკივარს იტევს. დირექციის თქმით, თითქმის ყველა ბილეთი გაყიდულია.

წყალბურთი

# საევროპო რეპეტიციას თასი ამოჰყვა



ვახო ბესელიას ფოტო

ჭაბუკთა ნაკრებს ცივი წყალი დაახვედრეს.

გიგა გურასაშვილი

*ის, რომ საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებზე იმედს ვამყარებთ, მათი თამაშის ოსტატობითა და შედეგებითაა გამყარებული. გარდა იმისა, რომ არაერთხელ გაუმარჯვიათ უკრაინისა და რუსეთის ჩემპიონატებში, რამდენჯერმე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც უასპარეზიათ. ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის საშუალება მათ წლეულს მალტაზეც ექნებათ, მაგრამ მანამდე დაახლოებით ორი თვეა. კონტინენტის პირველობამდე კი ნაკრებს მოსამზადებელი ეტაპი აქვს გასავლელი.*

ერთგვარი სარეპეტიციო დატვირთვა ჰქონდა ახლახან დამთავრებულ ტურნირს სახლწოდებით პოლონეთის "პრეზიდენტის თასი". ბულგარეთის, გერმანიის, შვედეთის, ბელორუსის, ბულგარეთისა და მასპინძელთა ნაკრებ გუნდებთან ჭიდილში ჩვენმა ჭაბუკებმა - თორნიკე თოდაძე, სანდრო ნამორაძე (მეკარეები), ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, სანდრო ხვედელიანი, გიორგი ცირეკიძე, გიორგი ბიბილეიშვილი, ზურაბ რურუა (კაპიტანი), არჩილ მურვანიშვილი, გივი კილურაძე, ნოდარ რაფავა, მიხეილ ბალათურია, ვასილ ლუტიძე, გიორგი სტურუა, ტატო ნიკოლეიშვილი (1987 წელს დაბადებულები) გაიმარჯვეს და "პრეზიდენტის თასს" დაეუფლნენ. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირისა და საუკეთესო მეკარის წოდებებიც ჩვენებმა მოიპოვეს. ბომბარდირი ბექა ქენქაძეა, ხოლო საუკეთესო მეკარე - თორნიკე თოდაძე. გუშინ ნაკრები შინ დაბრუნდა. ჩვენ გუნდის მთავარ მწვრთნელს სოსო მაისურაძეს გავესაუბრეთ.

**- წასვლის წინ ამბობდით, მეტოქეებზე ნაკლებად ვარ ინფორმირებულიო. მიუხედავად ამისა, ყველა მატჩი მოიგეთ. მთლიანობაში ბიჭების თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?**

- ამ ტურნირისთვის საგანგებოდ არ მოვმზადებულვართ. უფრო ფიზმომზადებაზე ვაკეთებდით აქცენტს. მაინტერესებდა, რა კონდიციამდე იყო მისული გუნდი.

**- რა გაარკვიეთ, კმაყოფილი დარჩით მომზადების დონით?**

- ბიჭები ნორმალურად არიან მომზადებული. ახლა შემდგომ ეტაპზე გავამახვილებთ ყურადღებას.

**- რა გამოხმაურება მოჰყვა საქართველოს ნაკრების წარმატებას?**

- ტურნირის მთავარ მსაჯსა და კომისარს, რომელიც თავისი სიმკაცრითაა ცნობილი, ჩვენების თამაში ძალიან მოეწონა. გვითხრა კიდეც, ამ გუნდით ბევრად მეტის გაკეთება შეგიძლიათ და ჯობს, დიდების პირველობებზე გამოხვიდეთო.

**- აგვისტოს დასაწყისში მიწვეული ხართ თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე, რომელზეც, ახლანდელისგან განსხვავებით, უფრო ძლიერი გუნდები გამოვლენ. თქვენი შესაძლებლობებიც რეალურად, ალბათ, იქ გამოჩნდება...**

- სამი წელიწადია, რაც დიდებში გამოვდივართ. ესე იგი, ამ ბიჭებს მათზე ორი-სამი წლით უფროსებთან უთამაშიათ და, აქედან გამომდინარე, თურქეთში თანატოლებთან თამაში გაუადვილდათ. ასე რომ, წესით, თურქეთშიც ურიგოდ არ უნდა გამოვიდეთ. თუმცა, მათი რეალური შესაძლებლობები 2005 წლის ოთხმოცდაშვიდიანელთა ევროპის ჩემპიონატზე გამოჩნდება.

**- და მაინც, თურქეთში ბევრად ძლიერი მეტოქეები გეყოლებათ - იუგოსლავია, რუსეთი, უნგრეთი, აშშ...**

- უნგრეთმა და ამერიკამ მონაწილეობაზე უარი თქვეს. ისინიც რომ გამოსულიყვნენ, ბევრად უკეთ შევაფასებდით ჩვენს შესაძლებლობებს.

**- მაგრამ უარი არ უთქვამთ რუსეთსა და იუგოსლავიას, გუნდებს, რომლებიც დღეს ამინდს ქმნიან წყალბურთში...**

- რუსეთსა და იუგოსლავიას ძლიერი სკოლა აქვთ. ძირითადი ბრძოლაც სწორედ მათთან გადაგვხდება, მით უმეტეს, რომ ჩვენს ქვეჯგუფში არიან, ისევე როგორც რუმინეთი, თუმცა, მათთან შედარებით რუმინეთი საშუალო გუნდია. პოლონეთის ტურნირმა კი გვიჩვენა, რომ საშუალო გუნდები ჩვენი მეტოქეები აღარ იქნებიან. უფრო ძლიერებთან გაჯიბრება გვჭირდება.

**- მეორე ჯგუფში ვინ იასპარეზებს?**

- საფრანგეთი, ბულგარეთი, ეგვიპტე და მასპინძლები.

**- გამოდის, რომ ძლიერ ჯგუფში ხართ და ფინალისტის ვინაობაც თქვენს შორის გაირკვევა...**

- ძლიერ ჯგუფში მოხვედრა გვახარებს. ჯგუფიდან კი ორი გუნდი გადის. ჩვენთვის მთავარია, საკუთარი თავი გამოვცადოთ. ძლიერ გუნდებთან უკეთ ჩანს ხარვეზები. ერთი სიტყვით, თურქეთსაც მოსამზადებელი ეტაპის დატვირთვა ექნება.

**- პოლონეთში გამგზავრების წინ თბილისის მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი უდესიანმა გითხრათ, თუ ბიჭები თავს გამოიჩენენ, ფულად პრემიებს დავურიგებთო, რაზეც უპასუხეთ, რომ სპორტის სამსახურის პირობას ბიჭებს იქ, შეჯიბრების წინ გავანდობო. როგორი რეაქცია ჰქონდათ ბიჭებს?**

- არ მოელოდნენ. რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდათ. მაგრამ წარმოიქმნა ერთი პრობლემა. საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი ამბობს, რომ მერია "ლაგუნა ვერეს" გაზის ფულს არ ურიცხავს. ერთი სიტყვით, გოიაშვილი გვეუბნება, რომ წყალს 23 გრადუსზე მეტად ველარ გავათბობო. ჩვენ კი ამ ტემპერატურაზე ვერ ვივარჯიშებთ. კარგ ამინდში 25 გრადუსი უნდა იყოს, ისე კი 26-ია აუცილებელი. ცივი წყლის გამო პოლონეთში ცუდ დღეში ჩავვარდით. მოგეხსენებათ, შეჯიბრებები ღია წყალში მიმდინარეობდა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ტურნირის წინა დღეს გამოცვლილი წყალი სათანადო ტემპერატურამდე ვერ მიიყვანეს, რის გამოც ნახევარი გუნდი, მათ შორის, ქენქაძეც გაცივდა.

**- კი მაგრამ, ქენქაძე ხომ 16 ბურთით ბომბარდირი გახდა?**

- დიახ, მაგრამ ყური სულ სტკიოდა. რურუამ, რაფავამ და კოტარიამ კი ორ-ორი მატჩი გამოტოვეს, თორემ, შესაძლოა, რომელიმე მათგანი გამხდარიყო ბომბარდირი. მათ 12-12 ბურთით შეწყვიტეს თამაშები.

**- გამოდის, რომ ბომბარდირის წოდებისთვის ჩვენს ბიჭებს ერთმანეთში უწევდათ ურთიერთობის გარკვევა...**

- ასე იყო. მეტოქეებზე მეტად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

**- ოთხმოცდაშვიდიანელებზე გარკვეულ იმედს ამყარებენ, მაგრამ თუ მოდის ისეთი თაობა, რომელიც მათგან ჩაიბარებს ესტაფეტას?**

- მოდის ორი კარგი გუნდი, რომელზეც ასევე დიდ იმედს ვამყარებთ.

კალათბურთი

# საქართველო ბოლოა



მანუჩარ მარკოიშვილი საუკეთესო კი იყო, მაგრამ საქართველოს ნაკრებს მაინც ვერაფერი ეშველა.

პაატა თოთაძე

ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ გვაქვსო და, ჭაბუკმა ქართველმა კალათბურთელებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მათთვის ბოლო მატჩი სერბებთან 37-ქულიანი სხვაობით დათმეს - 101:64.

რუსეთთან გუშინწინ წაგებული მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებს საგრძნობლად შეუმცირდა ჯგუფიდან გასვლის შანსი. ერთადერთი შანსი იყო: სერბეთს ლატვიასთან უნდა გაემარჯვა, ჩვენ კი - სერბეთთან. ამ შემთხვევაში ჩვენ და სერბეთი თანაბარ ქულებს ვაგროვებდით, თუმცა მოგების ხარჯზე მომდევნო ეტაპზე საქართველოს ნაკრები გადიოდა. სერბებს რომ ვერ მოვუგებდით, წინასწარვე იყო გადაწყვეტილი. გამყრელიძემ და ხურციამ ვერც ამჯერად ითამაშეს, მოედანზე არ გამოუყვანიათ ვიქტორ სანიკიძეც. დანარჩენებს კი დიდად არ მოუკლავთ თავი, რაც მატჩის შედეგზეც აისახა. თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველ მეოთხედში იყო, როცა სერბებმა პირველი ათი წუთი 18:17 მოიგეს. ამის შემდეგ ყოველი მეოთხედი მათ, სულ მცირე, ათი ქულის სხვაობით მოიგეს.

ქართველთა შორის საუკეთესო იყო მანუჩარ მარკოიშვილი (16 ქულა). გიორგი ცინცაძის ანგარიშზე 13 ქულაა. თანაგუნდელებს მხარი აუბეს ტატო ჯანეზაშვილმა და ბესიკ ლეჟავამ, რომლებმაც, შესაბამისად, 13 და 14 ქულა მოიპოვეს. დანარჩენები ერთად მხოლოდ 8 ქულას დასჯერდნენ. საბოლოოდ ხუთ მატჩში ქართველებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგეს (ლატვიასთან) და ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ. ბუნებრივია, გულდასაწყვეტია, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ უფულობის გამო გუნდი ამ შეჯიბრებისთვის ნორმალურად ვერ მოემზადა, ასეთი შედეგი მოსალოდნელიც იყო. მდგომარეობა მოთამაშეთა ავადმყოფობამაც გაართულა. თითქმის ნახევარ გუნდს რაღაც ვირუსი შეეყარა, რის გამოც ზოგიერთმა საერთოდ ვერ შეძლო თამაში, ზოგიც ნაავადმყოფარი გამოვიდა მოედანზე. ყველაფერ ამას დაემატა ქართველთა გაუმართავი ტაქტიკური თამაში. ერთი სიტყვით, წასაგები იყო და წავაგეთ.

ჯგუფიდან გასვლა ვერც ლატვიელებმა მოახერხეს. მათ ბოლო შანსი მაშინ წაერთვათ, როცა რუსეთის ნაკრებმა ფრანგთა გუნდი დაამარცხა.

ესპანეთიდან მოთამაშეთა უმეტესობა შინ ბრუნდება, ოთხი მათგანი (მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ლაშა გამყრელიძე, გიორგი ცინცაძე) კი იტალიაში გამეგზავრება. 20 ივლიის იქ საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩადის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. ეს კალათბურთელებიც დრაჟენ ბრაიკოვიჩმა რუსეთთან, შვედეთთან და იტალაისთან დასაპირისპირებლად გამოიძახა.

ველოსპორტი

# ზღაპარი, რომელიც არ თავდება

ირაკლი ბერიაშვილი

სპორტის ეს სახეობა მხოლოდ ერთი რამით ჰგავს კორიდას. ან ძალიან უყვართ, ან ძალიან გულგრილნი არიან მის მიმართ.

დანარჩენში ისინი არაფრით ჰგვანან ერთმანეთს. ველოსპორტში არც იმთავითვე უშანსო, ბოლოს კი უეჭველად არენაზე გართხმული, შეურაცხყოფილი და ყურმოჭრილი ხარია, არც კეკლუცი მატადორი, გრაციოზული მიხრა-მოხრითა და მზის სხივებზე მოლაპლაპე მახვილით, არც წინასწარ განზრახულად დაღვრილი სისხლი, აუცილებლად ხარისა და დროდადრო მატადორისაც. თუმცა, მე რომ მკითხოთ, ეგეც ცოტაა მაგათთვის, ის სისხლიცა და ის ჭრილობებიც ხომ სატრაბახოდ, თავის მოსაწონებლად სჭირდებათ.

რისკიანი საქმეაო, ამბობს ხალხი. ბოლო ათ წელიწადში კი ათჯერ მეტი ველომრბოლი დაიღუპა იმავე ხალხის აზრით სავსებით უხიფათო შეჯიბრებებში - "ტურ დე ფრანსის" ტრასის გზისპირები იმ დაღუპულ ველომრბოლთა ობელისკებით არის მოფენილი. გადაყვლეფილ ხელ-ფეხს, ტვინის შერყევებსა და დამტვრეულ ნეკნებს ხომ ვერ დაითვლი - ყოველდღე და რამდენიც გნებავთ.

ეს არ არის კორიდა წინასწარ განწირული ხარებით, მოყელყელავე მატადორებითა და სისხლს მოწყურებული ტრიბუნებით. ეს "ტურ დე ფრანსია", სადაც გაცილებით მეტი მოთმენა, გამძლეობა და, თუ გნებავთ, ვაჟკაცობაა საჭირო.

სწორედ აქ ვიმყოფებით და იმაზე ვფიქრობთ, რა იყო გუშინ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რა იქნება ხვალ. ხვალ ასპინის უღელტეხილი და ლა მონჟია. ორი ძალზე გრძელი, ლამის ღრუბლებისკენ წასული აღმართი.

და იცით, რატომ მიყვარს "ტური", კონკრეტულად კი მთის ეტაპები?

თითქმის ზუსტად ვიცი, რა მოხდება ხვალ. არა, რა თქმა უნდა, შედეგს არ ვგულისხმობ. შედეგი მხოლოდ კორიდაშია გარკვეული - ერთ-ერთი მხარე აუცილებლად კვდება და ეს ერთი მხარე ყოველთვის ხარია. ხვალ კი, ასპინსა და ლა მონჟიზე მხოლოდ ის ვიცი, ვინ მიიღებს მონაწილეობას მთავარ ბრძოლებში. შემიძლია, ჩამოვთვალო კიდეც: არმსტრონგი, ულრიხი, მაიო, ჰამილტონი, მანსებო, სევილა, მერკადო... თუმცა, რაღა მარტო ხვალ, ტურის ბოლომდე, თვით ელისეს მინდვრებამდე, ესენი იქნებიან და სხვა თითქმის არავინ, ესენი დაიმკვიდრებენ ადგილებს პირველ ათეულში. აქ, ველორბოლაში, განსაკუთრებით კი მრავალდღიანებში - "ტურზე", "ჯიროზე", "ვუელტაში" -ფეხბურთისა და ზოგიერთი სხვა



REUTERS

ლიმოჟიდან სენ ფლორამდე გადაჭიმული რბოლა რიშარ ვირანკმა მოიგო.

სახეობისგან განსხვავებით, შემთხვევით არაფერი ხდება, შემთხვევით არავინ დანიშნავს პენალტს და შემთხვევით არ ჩათვლის ხელით გატანილ გოლს. აქ ყველაფერი კანონზომიერია, გამარჯვებაცა და მარცხიც. ეს არის, "ტურის" დირექტორი ჟან-მარი ლებლანი ურევს ხოლმე დროდადრო. თუმცა, დირექტორი ხომ სწორედ იმისთვის არის საჭირო, რომ საქმეს პირი შეუშალოს, აქაოდა, რაღაცაში საჭირო ვარო, უადგილო ადგილას გაეჩხიროს აფრაკივით, აი, პირმრუდე ფიცარზე რომ იტყვიან, - ვერც თავში რომ მოარგებ რამეს და ვერც ბოლოში.

მოკლედ, აქ, "ტურზე" ვიმყოფებით და როცა ასპინის უღელტეხილიდან დაეშვებიან, არ გაგიკვირდეთ, "ფიგაროს" ან რომელიმე სხვა ფრანგული გაზეთის ნახევარი რომ დააძრონ და უბეში, მაისურასა და გაოფლიანებულ გულ-მკერდს შორის ჩაიფინონ. მართალია, პირველყოფილი ხერხია, მაგრამ სინთეტიკაზე კარგად აშრობს ოფლს და არც ცივი ჰაერის ნაკადს ატარებს. ამ ნახევრად შიშველ ბიჭებს ნამდვილად გადადებული აქვთ თავი - აბა, რომელი ჭკუათმყოფელი დაეშვება პირდაპირ უფსკრულში მიმავალ გზაზე, სულ ცოტა, ოთხმოცი კილომეტრი სიჩქარით. ობელისკებიც სწორედ ეგეთი ხევების გზისპირებზეა აღმართული...

თვალი გადავავლე ნაწერს და ცოტა მეუხერხულა კიდეც. ნამეტანი აღმატებით ხარისხში გამომდის წერილი. არადა, ჩემი ნაცნობების დიდი უმეტესობა, ველოსპორტზე რომ ჩამოვუგდებ სიტყვას, მხოლოდ მხრებს აიჩეჩავს ხოლმე.

ჩემი საქმე გარკვეულია. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც. სანამ ტელევიზიით პირველ "ტურ დე ფრანსს" ვნახავდი საკუთარი თვალით, ანკეტილი, მერქსი, ინდურაინი, რა თქმა უნდა, გაგონილი და წაკითხულიც მქონდა, მაგრამ იმ პირველმა გადაცემამ, უფრო სწორად, პირველმა მთის ეტაპმა გადაწყვიტა ყველაფერი. იმ მთის სახელი აღარ მახსოვს, პირენეები რომ იყო და ანდორა, ეს კარგად ვიცი. საოცრად ნისლიანი დღე იყო. ბიარნე რიისი, "ტურის" მაშინდელი ჩემპიონი, ულრიხი, რიშარ ვირანკი (მომავალში, თუ არ ვცდები, ხუთგზის "მთის მეფე"), ლორან ბროშარი, ლორან დიუფო და, რაღა თქმა უნდა, ველოსპორტის მოყვარულთა კერპი მარკო პანტანი - "ილ პირატა", ანდა, თუ გნებავთ, "ელეფანტინო". ეს ბოლო მეტსახელი ყურების გამო შეარქვეს, გადახოტრილ თავზე, ანტენა-თეფშებს რომ ეძახიან, ზუსტად ისე ჰქონდა მიმაგრებული ორთავ მხრიდან.

ერთხელ როგორღაც უკვე ვთქვი, რომ "ტურზე" მთავარი და მნიშვნელოვანი სწორედ წვრილმანებია. პირდაპირ საჩუქრებივით ცვიოდა ეს წვრილმანები: მრბოლებს ადევნებული ბიჭები, წყლით სავსე ბოთლები, ლოზუნგები, დროშები, ალმები და ათასობით ქომაგი - ფრანგი, შვეიცარიელი, ესპანელი, გერმანელი, იტალიელი, ამერიკელებიც კი... "ტურის" მეათე ეტაპი იყო, მთის ეტაპებიდან კი - პირველი. მეც ყველაფერი წინ მქონდა - უდიდესი სიამოვნება, იმედგაცრუება, გულგატეხილობაც კი. მაშინ თავისი პირველი ტიტულისკენ მიჰქროდა იან ულრიხი, ჯერ კიდევ სანახავი მქონდა რიისის თავგანწირვა და გუნდის მიერ გაწირული რიისი, ანდორიდან ძალიან შორს, ამერიკაში, მომავალ გამარჯვებებზე ჯერ მხოლოდ ოცნებობდა ლანს არმსტრონგი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო "პირატა"... და ამ სქელ, მხოლოდ მთაში რომ იცის, საოცრად ლამაზ და იდუმალ ნისლში, ცაში გამოკიდებულ ასფალტზე ხდებოდა ის, რასაც ვერსად და ვერასდროს ვერ ნახავთ. ეს სპორტული შეჯიბრება კი არა, ზღაპარი იყო, ზღაპარი, რომელსაც ასი წელიწადი ჰყვებიან, რომელიც არც თავდება და ალბათ, არც არასდროს გათავდება.

**მე-10 ეტაპი. ლიმოჟი - სენ ფლორი. 237 კმ.**

| | |
|---|---|
| რიშარ ვირანკი (საფრანგეთი) | 6.00.24 |
| ანდრეას კლოდენი (გერმანია) | 5.19 |
| ერიკ ძაბელი (გერმანია) | |

**საერთო ჩათვლა:**

| | |
|---|---|
| ტომას ვეკლერი (საფრანგეთი) | 42.42.14 |
| სტიუარტ ო`გრეიდი (ავსტრალია) | 3.00 |
| სანდი სეზარი (საფრანგეთი) | 4.13 |

ჩოგბურთი

# ბებერი რეკორდსმენი

სანდრო ნავერიანი

ATP-ს ტურნირების მერვაასე შეხვედრის მოგების შემდეგ ანდრე აგასი მსოფლიოში მეექვსე ჩოგბურთელი გახდა, ვისაც ამ ზღვრისთვის მიუღწევია. ამაში კი მას რუსი წარმოშობის ამერიკელი ალექს ბოგომოლოვი დაეხმარა. ეს ყველაფერი ლოს ანჯელესში მიმდინარე მერსედეს-ბენცის თასის გათამაშებაზე მოხდა. აგასიმ ორ სეტში (6:3, 6:1) დაამარცხა რუსეთში დაბადებული ბოგომოლოვი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შტეფან ედბერგთან, ივან ლენდლთან, გილიერმო ვილასთან, ჯონ მაკინროისთან და ჯიმი კონორსთან ერთად, აგასი მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდის შემადგენელი ნაწილია. ზემოთ ჩამოთვლილი ჩოგბურთელები ისინი არიან, რომლებმაც აგასიმდე შეძლეს 800 მატჩის მოგება ATP-ს ტურნირებზე. მერვაასე მატჩის შემდეგ აგასიმ განაცხადა: "დიდი პატივია, ვიყო იმ სიაში, რომელშიც ასეთი დიდი, ლეგენდარული ჩოგბურთელები არიან". მართლაც, დიდი პატივია ამერიკელი ჩოგბურთელისთვის, რომელმაც თავისი პირველი პროფესიული შეხვედრა 15 წლის ასაკში გამართა.

1986 წელს აგასი პროფესიონალი ჩოგბურთელი გახდა. 18-წლიანი კარიერის განმავლობაში მან 58 ATP-ს სერიის ტურნირი მოიგო. რვაჯერ მოიპოვა პირველობა "დიდი სლემის" ტურნირებზე -ოთხჯერ ავსტრალიის ღია პირველობაზე, ორჯერ ამერიკის ღია პირველობაზე და თითოჯერ "უიმბლდონსა" და "როლან გაროზე". ექვსჯერ იყო "დიდი სლემის" ტურნირების ფინალში. გარდა ამისა, აგასიმ 16 გამარჯვება მოიპოვა მასტერსის სერიის ტურნირებზე. ლეგენდარული ვინსენტ რიჩარდსის შემდეგ აგასი იყო პირველი ამერიკელი, რომელმაც ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. ეს მოხდა 1996 წლის ატლანტის ზაფხულის ოლიმპიადაზე. რაც შეეხება სეზონურ რეკორდებს, ეს 1995 წელს იყო, როდესაც მან შვიდი ტურნირი მოიგო და კიდევ ოთხი ATP-ს სერიის ტურნირის ფინალისტი გახდა.

"ახლა ვაცნობიერებ, რომ მართლა ძალიან დიდ შედეგს მივაღწიე, - აცხადებს აგასი, - ციფრებს არასოდეს ვაკვირდებოდი. ისინი არც არაფერს ნიშნავდა ჩემთვის, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ, ადრე თუ გვიან, მაინც მივაღწევდი ამ ზღვარს".

აგასიმ თავისი 799-ე მატჩი მარტში მოიგო, მაგრამ მას მერე ტრავმა ჰქონდა. ამის გამო ბევრი ტურნირი გამოტოვა, მათ შორის "უიმბლდონიც".

რაც შეეხება მერვაასე მატჩს, აგასიმ ბოგომოლოვთან პირველი სამი გეიმი დათმო. ამის შემხედვარეს, ყველას ერთი აზრი უტრიალებდა: აგასის დრო წავიდა. მაგრამ ამერიკელმა გარდატეხა შეიტანა თამაშში და ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო. პირველი სეტის შემდეგ კი ველარავინ იფიქრებდა, რომ ბოგომოლოვი რამეს მოახერხებდა. ასეც მოხდა: აგასიმ მეორე სეტი პირველზე იოლად მოიგო.

ამერიკელმა კიდევ ერთი რამ განაცხადა: "ჩემი შემდეგი მიზანი ATP-ს ორი ტურნირის მოგებაა. თუ ეს შევძელი, მაშინ მოგებული ტურნირების რაოდენობა სამოცს მიაღწევს და ამით კიდევ ერთ რეკორდს დავამყარებ".

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

განახლებული ტელეშოუ "ხალხის პირისპირ" სექტემბრიდან კვლავ გავა რუსთავი 2-ის ეთერში. კასტინგი დაიწყება ივლისიდან. ასე რომ თუ [illegible] გამოგვიგზავნეთ ანკეტები და შეკითხვები.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის [illegible] "ხალხის პირისპირ" [illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საშუალებით, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ ჰყავთ)

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადამხდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაერთვის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტებს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

წესები კითხვის შემდგენელთათვის:

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# "ძირითადი ინსტინქტი" გრძელდება



შერონ სტოუნმა ამასწინათ განაცხადა იმის თაობაზე, რომ 1992 წლის თრილერის, პოლ ვერჰოვენის "ძირითადი ინსტინქტის" გაგრძელების გადასაღებად უკვე ემზადებიან.

"ამჯერად პროექტის დეტალებზე ვმუშაობთ. თუმცა, ფილმის გადაღების კალენდარული გეგმა ჯერჯერობით არ არსებობს," - თქვა 45 წლის მსახიობმა, რომელიც მაიკლ დუგლასთან ერთად "ძირითად ინსტინქტში" მთავარ როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ამ ფილმის გარშემო გარკვეული გაუგებრობები და ერთგვარი უთანხმოებაც კი წარმოიშვა, სტოუნმა ამერიკის ერთ-ერთი ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ფილმის გაგრძელების გადაღების შეფერხება მისი ჭირვეულობით არ იყო გამოწვეული...

საზოგადოების მძაფრი რეაქცია გამოიწვია ფილმის ერთმა ეპიზოდმა, სადაც სტოუნი დაკითხვაზე ზის და ფეხი ფეხზე აქვს გადადებული. სტოუნი ხომ იმ ქალს ასახიერებს, რომელსაც საყვარლების მკვლელობაში ედება ბრალი.

თავის დროზე მსახიობმა სარჩელი შეიტანა "ძირითადი ინსტინქტის" პროდუსერების წინააღმდეგ. კინოვარსკვლავი ამტკიცებდა, რომ უარი თქვა სხვა ფილმში გადაღებაზე იმის გამო, რომ ვერჰოვენის ფილმის გაგრძელებას ელოდებოდა.

პროდიუსერებმა - მარია კასარმა და ენდრიუ ვანჯამ თავის მხრივ განაცხადეს, რომ სტოუნმა ძალიან დიდი თანხა მოითხოვა. თუმცა, მოგვიანებით მხარეებმა შეძლეს კონსენსუსის მიღწევა.

"ძირითადი ინსტინქტის" მეშვეობით სტოუნი პოპულარული გახდა. სწორედ ამ ფილმს მოჰყვა მარტინ სკორსეზეს "კაზინო" და "სწრაფი და მკვდარი".

# მაფიოზები და კინო



ხანდახან რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სიცილიაში არაფერი იცვლება და რომ პალერმოს ცნობილი მერის ძალისხმევა, რომელიც მაფიასთან ბრძოლას ქართველებსაც გვასწავლიდა, უშედეგოდ ქრება.

ასე განწყობილნი იმასაც ამტკიცებენ, რომ სიცილია მაფიის გარეშე, უბრალოდ, არ არსებობს და დასტურად თუნდაც ორიოდე დღის წინ მომხდარ შემთხვევას იხსენებენ, როცა ადგილობრივი მაფია ჰოლივუდს შეეჯახა.

სიცილიაში "ოუშენის 11 მეგობრის" გაგრძელების გადასაღებად ჩასულ ჯგუფს მთელი დღე-ღამის გარეშე უტრიალებდა რამდენიმე მაფიოზი. პოლიციის ვარაუდით, მათ პროდიუსერების დაშანტაჟება და ფულის გამოძალვა სურდათ. იმ მომენტში იღებდნენ კეტრინ ზეტა-ჯონსისა და ბრედ პიტის მონაწილეობით ეპიზოდებს, მაგრამ მათ სიცილიელი მაფიოზების განზრახვის შესახებ არაფერი იცოდნენ. შესაბამისად, ჰოლივუდელებმა არც ის იცოდნენ, რომ გადასაღები მოედნის გარშემო მოფუსფუსე კრიმინალებს პოლიცია ადევნებდა თვალს და მათ წინააღმდეგ საიდუმლო ოპერაციის გეგმასაც ამუშავებდა, - აცხადებს პოლიციელი ჯუზეპე ლინარესი.

ახალი ამბავი მაფიოზების ფარული განზრახვის შესახებ მაშინ გამჟღავნდა, როცა სიცილიელმა სამართალდამცავებმა ორწლიანი გამოძიების შემდეგ 23 ბანდიტი დააკავეს. მათ ბრალად ედებოდათ ადგილობრივი ბიზნესმენების დაყაჩაღება და იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო ფლობა. მეტიც, ისინი მაფიოზთა ადგილობრივი ცნობილი ოჯახური კლანის წევრები აღმოჩნდნენ. დაკავების ოპერაციაც მათ "სამბრძანებლოში" ტრაპანის პროვინციის პატარა ქალაქ კასტელამარე დელ გოლფოში მოხდა, გადასაღებ მოედანთან ახლოს.

"მაფიოზთა ოჯახის სამი წარმომადგენელი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ცდილობდა კინოსთვის გამოყოფილ უბანში შეღწევას. ისინი უთვალთვალებდნენ გადასაღებ მოედანს და სასტუმროსაც, სადაც მსახიობებს ეძინათ. მაგრამ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ შეჰქმნია. ბანდიტებს პოლიცია სატელისტური აღჭურვილობით ადევნებდა თვალს. იქვე ჩასაფრებულნი იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სამართალდამცავებიც, რათა ნებისმიერი საეჭვო მოქმედების დროს შეტევაზე გადასულიყვნენ", - დასძენს ლინარესი.

ასე რომ, ბრედ პიტმა და კეტრინ ზეტა-ჯონსმა მხოლოდ მოგვიანებით გაიგეს, რომ სიცილიელ მაფიოზებთან ურთიერთობას პოლიციელების წყალობით გადაურჩნენ. გადაღებები იტალიურ ნაწილში, კერძოდ კი, სიცილიასა და რომში უკვე დასრულებულია. ფილმის ბრიტანული პრემიერა 2005 წლის პირველ ნახევარში იგეგმება. ამერიკაში კი სოდერბერგის ახალ ნამუშევარს 2004 წლის დეკემბერში იხილავენ. დასი კვლავაც ვარსკვლავურია - ჯულია რობერტსი, ჯორჯ ქლუნი და მეთ დეიმონი ფილმს "ოუშენის 11 მეგობრიდან" გადმოჰყვნენ.

# მიირთვით დილანი



იტალიურმა ღვინისმწარმოებელმა კომპანია Fattoria Le Terrazze-მ წითელი ღვინის სერია ლეგენდარულ ბობ დილანს მიუძღვნა. ერთ-ერთი სახეობა, რომლის სახელწოდებაა Visions of Johanna, დამზადებულია იტალიის ერთ-ერთ რეგიონში - მარშეში მოწეული ყურძნისგან და ერთი ბოთლის ღირებულბა 65 ამერიკული დოლარია. კომპანიის მფლობელი ანტონია ტერნი დილანის დიდი ხნის თაყვანისმცემელია. "მისი მუსიკა პირველივე მოსმენისას შემიყვარდა. თანაც, მაშინ სულაც არ მესმოდა ინგლისური. და რასაკვირველია, იმ დროს წარმოდგენაც არ შემეძლო, თუკი ოდესმე შევხვდებოდი და მასთან მუშაობა მომიწევდა. ეს ყველაფერი, უბრალოდ, ახდენილი ოცნებაა", - კმაყოფილია მეღვინე ქალბატონი.

# აკადემიკოსი ელტონ ჯონი



სერ ელტონ ჯონი ბრიტანეთის კომპოზიტორებისა და სიმღერათა ავტორების აკადემიის წევრი გახდება. მასთან ერთად Ivor Novello Awards-ის საიუბილეო, 50 წლისთავზე აკადემიაში მიიღებენ ოთხ ახალ წევრს.

აკადემიამ დააფასა მუსიკაში სერ ელტონ ჯონის გაწეული ღვაწლი. თავის მხრივ, მუსიკოსმაც გამოხატა მადლობა და თქვა, რომ Ivor Novello Awards ერთ-ერთი ღირსეული პრემიაა. ელტონ ჯონამდე აკადემიამ ასეთი პატივი სერ პოლ მაკარტნის მიაგო.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

15 ივლისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელედიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "საჰარის საიდუმლო" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "ცუდი ბიჭები 2" (გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელედიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "საჰარას საიდუმლო" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "დიდი თევზი". მთ. რ-ში: ევან მაკგრეგორი (15)ყ

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **12.15** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **18.45** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: სიახლეები სამეცნიერო სფეროში. **23.00** სისხლი მელნის ნაცვლად. მესაზღვრეების მემუარები **24.35** მეზღვაური. მხ. ფილმი. რეჟისორი რენე ალიო.**04.10** ზაფხულის ერთდღეს. ტელესერიალი.

### JST

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ნოსტალგია მამილოზე". მთ. რ-ში: დირკ ბოგარტი. **03.00** პაუზის გარეშე.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "პატრიცია კაასი" **15.20** სერიალი "რვაფეხა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **17.30** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "მილენიუმი" **22.30** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ვალენტინი" (გ)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "თეთრი ოლეანდრი" (მ. ფაიფერი) (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "უძინარნი სიეტლში" (ტომ ჰენკსი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "პიანისტი" (ედრიან ბროუდი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მინისერიალი "მისტერ მკვლელობა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "კონან დოილის ქრონიკები" **13.10** მხ. ფილმი "მეექვსე გრძნობა" (ბრიუს უილისი) (გ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "არაბული ღამეები" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.50** მინისერიალი "ოდისევსი" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "საიდუმლო გასასვლელი" (ტერა ფიჯერალდი) (15)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** დოკ. ფილმი "სისი ავსტრიის დედოფალი" **22.00** მხ. ფილმი "ჩემი ამერიკელი ძია" (12)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 13-14 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **09.10** სერიალი "რელიკვიების მაძიებელი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** არტ-ბულვარი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.25** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ორშაბათიც გათენდება" (გ) (ვ. ტიხონოვი) **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **21.30** საქმე ! **23.00** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **23.30** მხ. ფილმი "სიესტა" (ე. ბირკინი) (15)

### იბერია

**18.00** მინისერიალი "ხაბაზები" **18.55** დოკ. ფილმი **19.55** კონცერტი **21.30** დოკ. ფილმი **22.30** მხ. ფილმი "ამომავალი ვარსკვლავი" (15)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.50** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** მულტფილმი "უძველესი დედამიწა" **10.05** სათავგადასავლო ფილმი "ჯაშუშთა შვილები" **11.50** დოკუმენტური ფილმი **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია "რისხვის მართვა" **14.30** მელოდრამა "მეღვინეთა წესები" **16.45** მულტფილმი "ბილისა და თედის დაუჯერებელი თავგადასავალი" **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** ტელესერიალი "კონკიაზე ნადირობა" **19.50** დოკუმენტური ფილმი **21.00** თრილერი "გადამზიდველი" **23.00** "ექსკლუზივი" **23.40** მელოდრამა "წყნარი ოკეანის ისტორია" **02.10** თრილერი "ბუნდოკელი წმინდანები" **04.00** მუსიკა **04.25** მხატვრული ფილმი "ობობა"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 10.30, 18.50 Сериал "Клон" 11.20** Мультсериал "Кошки-мышки" **11.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" **12.10** Михаил Пуговкин в комедии **"Спящий лев" 13.30** "Гении и злодеи" **14.00 Сериал "Женщины в любви" 15.20 Сериал "Сезон охоты" 16.30** Криминальная Россия. "Последнее дело Пушкина". 2-я серия **17.00** "Слабое звено" с Марией Киселевой **18.20** "Анекдоты" **19.50** "Стирка на миллион" **20.00 Сериал "Черный ворон" 21.00** Время **22.40** "Человек и закон" **23.30** Ударная сила. "Ядерный щит" **00.00** Премьера. "Место действия - Россия"." Кузнецы своего счастья" **00.50** Премьера. "Академия жизни". Документальный фильм. Часть 2-я **01.30 Элизабет Шу в фильме "Молли" 03.15 Триллер "Смертельное видео" 04.40 Сериал "Бадди Фаро"**

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 10.00** Сегодня утром. **10.25** Квартирный вопрос: детская под облаками. **11.20** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 01.05** "Сегодня" **12.30** Михаил Глузский в детективе **"ДЕСЯТЬ НЕГРИТЯТ". 1-я с. 14.05** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Ловцы серебристых стай". **18.35** Протокол**.** **19.40** Детектив на НТВ. **"ЛЕДНИКОВЫЙ ПЕРИОД".** 4-я серия. **20.50 Сериал "НЕ ССОРЬТЕСЬ, ДЕВОЧКИ!"** 12-я с. заключительная. **22.00** "Страна и мир" **22.35 Сериал "НЕУДАЧА ПУАРО". 4-я серия. 23.50** Роберт Де Ниро в остросюжетном фильме **"ЗЛЫЕ УЛИЦЫ"**

# "ბითლზის" უცნობი არქივი



ავსტრალიაში ძველმანების ბაზარზე ერთმა მყიდველმა მოულოდნელი აღმოჩენა გააკეთა - ძველ ჩემოდანში ჩანაწერების არქივს, მათ შორის, ლეგენდარული "ბითლზის" უცნობ სიმღერებს მიაკვლია. ექსპერტები ჯერ კიდევ იკვლევენ ამ მასალებს. მათი განცხადებით, ფირებისა და ფოტოსურათების სენსაციური კოლექცია თავდაპირველად ეკუთვნოდა მუსიკოსსა და ხმის რეჟისორს - მელ ევანსს, რომელიც "ბითლზთან" თანამშრომლობდა. სპეციალისტთა ვარაუდით, მაგნიტოფონის ფირზე ლივერპულელი ოთხეულის აქამდე უცნობი ჩანაწერებია შემონახული. ჩემოდანი ბრიტანელმა ტურისტმა შეიძინა ქალაქ ლარში, მელბურნის სიახლოვეს, სულ რაღაც 50 ავსტრალიურ დოლარად, ანუ 36 ამერიკულ დოლარად. როგორც გაირკვა, ბრიტანელ ფრეიზერ კლოფტონს რამე იაფფასიანი ჩემოდნის შეძენა სურდა, ბარგი რომ ჩაელაგებინა. როდესაც ჩემოდანი აიღო, ემძიმა და მიხვდა, რომ მასში რაღაც იდო. ჩემოდანში 400-მდე ფოტოსურათი, საკონცერტო პროგრამები და ჩანაწერები აღმოჩნდა; მათ შორის, ჯონ ლენონისა და პოლ მაკარტნის ოთხსაათიანი საუბარი, რომელიც სტუდიაში მათი მუშაობის დროს არის ჩაწერილი.

სხვათა შორის, დიდი ხანია დადიოდა ხმები რაღაც არქივის შესახებ, რომლისთვისაც მელ ევანსი მასალებს აგროვებდა. ევანსი "ბითლზის" შესახებ მემუარების დაწერასაც აპირებდა, მაგრამ აღარ დასცალდა - 1976 წელს ის ლოს ანჯელესში პოლიციამ ჩაცხრილა. გაქრა არქივიც, "ბითლომანებს" ის უკვე სამუდამოდ დაკარგულად მიაჩნდათ. მხოლოდ ლეგენდებიღა დადიოდა ევანსის ჩემოდანის შესახებ. ახლა არქივი "კრისტის" აუქციონზე გაიყიდება. "კრისტის" ექსპერტებმა უკვე დაადასტურეს, რომ ეს ნამდვილად ევანსის ჩემოდანია, რომლის ფასიც ალბათ რამდენიმე ასეული ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება.

# გრანდიოზული კონცერტი ლონდონში

ლონდონის ჰაიდ-პარკში გრანდიოზული საღამო გაიმართა. საქველმოქმედო კონცერტზე, რომლის ორგანიზატორიც პრინცი ჩარლზი გახლდათ, 100 ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი. კონცერტის მთელი შემოსავალი სტუდენტებისთვის განკუთვნილ გრანტებსა და სტიპენდიებს მოხმარდება. კონცერტი მომღერალმა უილ იანგმა გახსნა. მას მოჰყვა ლენი კრავიცი, ალანის მორისეტი, რიკი მარტინი და სხვები. რა თქმა უნდა, ამ კონცერტს თავად ორგანიზატორიც - პრინცი ჩარლზიც ესწრებოდა, რომელიც მსგავს ღონისძიებებს ყოველწლიურად აწყობს. თუმცა ამჯერად კონცერტი უამინდობის გამო კინაღამ ჩაიშალა. ამ ბოლო დროს ლონდონში ძალიან აცივდა.




კონკურსი ჟურნალისტებისათვის

gtz

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება შპს (GTZ) აცხადებს კონკურსს ბეჭდვითი მედიის ჟურნალისტებისათვის.
საკონკურსო თემაა - **პრესის თავისუფლება საქართველოში**

კონკურსი დაიწყება 2004 წლის 17 ივლისს და დასრულდება 17 სექტემბერს.

საკონკურსო ნაშრომები მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ანკეტასთან ერთად 7 სექტემბრამდე GTZ-ის პროექტის ბიუროში მისამართზე:

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**
**რუსთაველის პროსპექტი 30**
**0146 თბილისი**

დაწვრილებითი ინფორმაცია და ანკეტა მონაწილეობის მისაღებად შეგიძლიათ მიიღოთ:

- იუსტიციის სამინისტროს შემოსასვლელში
- ტელეფონებზე: **93 37 12**
  **98 71 63**
- ჩვენს ვებ-გვერდზე: **http://www.gtz-law-caucasus.net**

**დაიკარგა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.**
**განაცხადის რეგისტრაციის №3443/4004,**
**სარეგისტრაციო № 1/18/3/61/23.**




**American University in Bulgaria**
announces
**GENEROUS FINANCIAL SUPPORT FOR**

QUALIFIED GEORGIAN STUDENTS FOR FALL 2004
The American University in Bulgaria offers:

- US accreditation by the New England Association of Schools and Colleges
- Outstanding American and Western-educated faculty
- English as the language of instruction
- Diverse international student body
- State-of-the-art facilities, computer labs and library
- Residential life experience
- Majors in Business Administration, Computer Science, Economics, European Studies, History, Journalism/Mass Communications, Mathematics, Political Science/International Relations, and Southeast European Studies

- Announcing New College of Business in Sofia

AUBG Director of Admissions Ms Yordanka Melnikliyska will be available for meetings in the Marriott Courtyard Hotel in Tbilisi on **July 15-16, 2004**, mobile: +359 888 960 363

For further information please write to **admissions@aubg.bg** or visit the university website at **www.aubg.bg**, where an online application is available, or call +359 73 888 233; +359 73 888 226; + 359 888 235

**ამერიკული უნივერსიტეტი ბულგარეთში**
**აცხადებს მიღებას და მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას კვალიფიციური ქართველი სტუდენტებისათვის 2004 წლის შემოდგომისათვის**

**ამერიკული უნივერსიტეტი ბულგარეთში გთავაზობთ:**
- ა.შ.შ-ს აკრედიტაცია, გაცემული ახალი ინგლისის სასწავლებლებისა და კოლეჯების ასოციაციის მიერ
- მაღალი დონის ამერიკელი და დასავლეთ ევროპელი პროფესორ-მასწავლებლები
- ინგლისური როგორც ინსტრუქტაჟის ენა
- მრავალფეროვანი ინტერნაციონალური სტუდენტთა გარემო
- კარგად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა
- ცხოვრება უნივერსიტეტის საცხოვრებელში
- სპეციალობები: ბიზნეს ადმინისტრაცია, კომპიუტერული მეცნიერება, ეცონომიკა, ევროპის შესწავლის საკითხები, ისტორია, ჟურნალისტიკა/მასობრივი კომუნიკაციები, მათემატიკა, პოლიტიტოლოგია/საერთაშორისო ურთიერთობები და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის საკითხები

აცხადებს ბიზნესის ახალი კოლეჯის გახსნას სოფიაში
**უნივერსიტეტის მიმღები დირექტორი ქალბატონი იორდანკა მელნიკლისკა ჩაატარებს შეხვედრებს სასტუმრო მარიოტ ქორთიარდში თბილისში 15-16 ივლისს, 2004. მობილური: +359 888 960 363**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით**
**admissions@aubg.bg ანდ ესტუმრეთ უნივერსიტეტის ვებსაიტს www. Aubg.bg სადაც შეგიძლიათ ნახოთ აპლიკაციის ელექტრონული ვერსია. ან დარეკეთ +359 73 888 233: +359 73 888 226: 359 888 235**

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.